# საერთო გაზეთი

№44 (777)
ოთხშაბათი
18 დეკემბერი,
2024 წ.
ფასი 2 ლ.


წლევანდელი წელი ბოლო დღეებს ითვლის... მიილია სირთულეებით, წინააღმდეგობებითა და უსიამოვნებებით აღსავსე წელი, რომელსაც, ყველაფრის მიუხედავად, დადებითი მომენტებიც ახლდა... ახლა არც უარყოფითი ასპექტების მიმოხილვას ვაპირებთ და არც პოზიტიურისას. მთავარია, წლის ბოლომდე მეტ-ნაკლები მშვიდობით მოვედით. იმედია, მომავალი, 2025 წელი საქართველოსთვის, ჩვენი რეგიონისა და მთელი მსოფლიოსთვისაც მშვიდობის წლად იქცევა, რადგან მშვიდობაზეა დამოკიდებული შენება, წინსვლა და ადამიანების კეთილდღეობა. დარწმუნებული ვართ, ამისთვის ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ძალ-ღონეს არ დაიშურებს.

დაე, 2025 წელს ჩვენი კეთილი სურვილები, ოცნებები და ჩანაფიქრები ასრულებულიყოს. ადამიანების გულებში სიმშვიდეს და მშვიდობას დაესადგურებინოს, ჩვენს სამშობლოს კი ღირსეული ადგილი დაემკვირებინოს ღირსეული პარტნიორების გვერდით.

„საერთო გაზეთი“



**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა 2025 წლის 15 იანვარს**



ირაკლი კობახიძე:
ევროპარლამენტის სხდომაზე სალომე ზურაბიშვილის მიწვევით პატარა პერფორმანსი უნდა შედგეს, მას ფეხზე უნდა წამოუდგნენ, როგორც ზელენსკის და ოვაციებით დაასრულოს გამოსვლა, კონკრეტული ჩინოვნიკები და პოლიტიკოსები ამით ჩვენს ქვეყანაში მოვლენების განვითარებაზე გავლენას ვერ მოახდენენ.

# ჯეფრი საქსი: „თეთრ სახლში ჩემთვის რომ მოესმინათ, ეს ომი არ დაიწყებოდა“

„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა აღიაროს, რომ ნატოს გაფართოება ცუდი იდეა იყო, რომლითაც რუსული მხარის სრულიად გასაგები წითელი ხაზები გადაიკვეთა. რუსებს არ სურთ, იხილონ საკუთარ საზღვარზე ამერიკული შეიარაღება რაციონალური მიზეზებით. მაგალითად, მე არ მსურს რუსეთის ჩვენს საზღვრებთან ყოფნა. ზოგადად, მიმაჩნია, რომ დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს უნდა მოერიდონ. ეს - თუ როგორ მორჩება ომი.

ჩემი აზრით, თუ ვიხილავთ ომის დასასრულს, მოლაპარაკებებს და არა გაყინულ კონფლიქტს, მოლაპარაკებების წარმოების შემთხვევაში, ეს დიდი ალბათობით ნიშნავს, რომ ნატოს გაფართოების პოლიტიკა დასრულდა. ეს კი, თავის მხრივ, რუსეთის მიერ ომის წარმოების დასასრულს ნიშნავს. ამავე დროს, საჭირო იქნება უკრაინისათვის საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიების მინიჭება, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ეგიდით.

უკრაინას მოუწევს მიწის დათმობა, ვინაიდან რუსეთი ყირიმს არ შეელევა. კრემლი არც დონბასში, ზაპოროჟიესა და ხერსონში დაპყრობილი მიწის დათმობას აპირებს. საბოლოო შეთანხმება ტერიტორიებთან დაკავშირებით, უკრაინის ნეიტრალიტეტთან ერთად, უნდა იყოს შემდეგი - ერთიანი პაკეტის ნაწილი უნდა მოიცავდეს ამ მოლაპარაკებებში ნატოს გაფართოების პოლიტიკის დასასრულს, უსაფრთხოების გარანტიებს უკრაინისათვის, მიწის დათმობას კიევის მიერ და რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მოხსნას, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ნორმალიზაციას. სწორედ ამის ხილვა მსურს და ეს შესაძლებელია, ეს ომი სწორედ ასე უნდა დასრულდეს.

ეს ომი არასოდეს არ უნდა დაწყებულიყო. თეთრ სახლში ჩემთვის რომ მოესმინათ, ეს ომი არ დაიწყებოდა, მე მათ ზუსტად ვუთხარი, თუ როგორ აეცილებინათ თავიდან ეს ომი, მისი დაწყებისთანავე თუ როგორ შეეჩერებინათ იგი. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ 2022 წლის მარტშიც კი, რუსეთი და უკრაინა შეთანხმდნენ, უკრაინას არავინ სთხოვდა დონბასის დათმობას, 2022 წლის მარტში კრემლი მხოლოდ და მხოლოდ მინსკის შეთანხმებებით გათვალისწინებული დებულებების შესრულებას მოითხოვდა, დონბასს სთავაზობდა ავტონომიას და არა რუსეთს ტერიტორიას. მე მათ ვურჩევდი ამ პირობებზე დათანხმებას, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი ეს შეთანხმება ჩაშალეს. ახლა უკრაინა უარეს დღეშია.

2022 წლის გაზაფხულზე დავწერე სტატია, სადაც ვამტკიცებდი, რომ კიევი ამ პირობებს უნდა დათანხმებულიყო, ვინაიდან ვითარება მხოლოდ და მხოლოდ გაუარესდებოდა. ორი წლის წინ დაწერილ ყველა ამ ჩემს სიტყვას დღესაც ვადასტურებ, მე წინასწარმეტყველი ხომ არ ვარ, უბრალოდ, ნათელი იყო, თუ რა გველოდა წინ. რა - უკრაინა რუსეთს დაამარცხებდა? ვინ ხუმრობს ასე, შანსი არ იყო. ასე რომ, ამ პირობებზე თანხმობა გახლდათ სწორი ნაბიჯი.

ბაიდენი, ამერიკის შეერთებული შტატები კი აცხადებდა, რომ უკრაინას დავეხმარებით მანამ, სანამ ეს საჭირო იქნება, ეს კი ნიშნავს ბოლო უკრაინელამდე ბრძოლას. ეს ტრაგიკულია. ბაიდენი არაკომპეტენტური პრეზიდენტია, მე ამას ჩემს გამოცდილებაზე დაყრდნობით ვამბობ, საკმაოდ ადვილი გამოსაცნობი იყო, თუ რა მოხდებოდა, ისინი კი ვერაფრით დაადგნენ დიპლომატიის გზას“, - აღნიშნა ჯეფრი საქსმა.

# კახა კალაძე: არავის მივცემთ უფლებას, ბატონყმური დამოკიდებულება ჰქონდეს საქართველოს მიმართ

„ტყუილია. რაც შეეხება ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნა-არგახსნის საკითხს, საქართველოს მთავრობას არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. მოლაპარაკებები უნდა გახსნას ევროკავშირმა. გახსნან, დღესვე ვაწერთ ხელს. არანაირი პრობლემა არ არსებობს ამ მიმართულებით. შანტაჟი კატეგორიულად მიუღებელია, ისევე, როგორც კანდიდატის სტატუსთან იყო. გახსოვთ, როგორ იყენებდნენ ამ ყველაფერს. გვეუბნებოდნენ, ქართველებს გგულშემატკივრობთ, კარგი ხალხი ხართ, მაგრამ ხელისუფლება გყავთ ცუდი. იგივე შანტაჟი გრძელდება დღეს, მოლაპარაკებების გახსნა-არგახსნასთან დაკავშირებით“.

„არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ ბატონყმური დამოკიდებულება ჰქონდეს ქართველი ხალხისა და საქართველოს მიმართ. არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ იგივე პროცესები განვითარდეს ქვეყანაში, რაც დღეს უკრაინაში ხდება. ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ ქართველ ხალხს რაღაცები ავიწყდება. ამოიღეთ განცხადებები, რომელიც კეთდებოდა მეორე ფრონტთან დაკავშირებით. სანქციებზეც ხომ ამბობდნენ, არავის მოვუწოდებთ სანქციებთან მიერთებასო? ჩაწერეს თუ არა რეზოლუციაში? არც სანქციებს მივუერთდებით და არ ქვეყნის უკრაინიზაცია მოხდება. საქართველოში გვექნება მშვიდობა, სიმშვიდე და ეკონომიკური განვითარება“, - განაცხადა კახა კალაძემ.

# ღია წერილი ქვეყნის სიყვარულით სავსე, დედაქალაქზე მუდამჟამ მოფიქრალ ნაღდ პატრიოტ თბილისის მერს, ბატონ კახი კალაძეს

ძვირფასო კახი, გმადლობთ, იმისთვის, რასაც ჩვენი ქვეყნის და ქალაქის სიმშვიდისა და სტაბილურობისთვის აკეთებთ. რომელი ერთი ჩამოვთვალო... ნაძვისხესთან დაკავშირებით ზეიმის გადადება ხომ საერთოდ, გმირობის ტოლფასი იყო. ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ გამახსენდა, მშობელმა დედამ შვილი ტკივილისთვის რომ ვერ გაიმეტა და მასზე უარი თქვა... ჩვენი ხალხის სიმშვიდისთვის ძალას და ენერგიას არ იშურებთ. ჭიაღუებივით იმრავლეს ქვეყნის აგენტებმა, თითქმის ყოველდღე გიწევთ მათი მხილება. ქალაქის კეთილდღეობის სადარაჯოზე მყოფს ბევრის დათმენაც გიწევთ...

პატარა გადახვევას გავაკეთებ... ორი წლის წინ ჩაფიძის კლინიკაში ვიწექი, დიდებული დასტაქარის ავთო ჯორბენაძის სამაგალითო კლინიკაში, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი კეთილი სული. ჰოდა, ახალი წლის დილას ჩავრთე ტელევიზორი. ვხედავ, ყველასთვის ცნობილი ჭინკა-ქალბატონი თამარ ჩერგოლეიშვილი პარლამენტის წინ ჩემ მიერ არჩეული მერის ბანერს შეურაცხყოფს გადაჭრილი კარტოფილებით. უმალვე მერიაში დავრეკე აღშფოთებულმა და მოვითხოვე, რომ ესე ქალი ამ უმსგავსობისთვის დაესაჯათ. მართლაც, ბანერი მალევე მოხსნეს. აი, ასე უნდა ვიბრძოლოთ ყველა უმსაგავსობის წინააღმდეგ.

ბატონო კახი, თქვენ უბადლო სპორტსმენი ბრძანდებით, მსოფლიოში ცნობილი, ღმერთით ბოძებული ნიჭისა და დიდი შრომის წყალობით არაერთხელ ასახელეთ საქართველო. ასევე, დიდი შრომისა და ძალისხმევის შედეგად გახდით გონიერი პოლიტიკოსი, რომელსაც გულწრფელად უყვარს სამშობლო და ადამიანები. ხართ სამაგალითო ოჯახის თავკაცი, ოთხი ვარსკვლავბიჭუნას მამა. მეგობრობაც იცით და ერთგულებაც... ვაფასებ ბატონი ბიძინას მიმართ თქვენს ასეთ დიდ სიყვარულს და ნდობას და იმას, რომ უღალატო ბრძანდებით...

მძიმე გამოდგა ეს წლები. შენი ხალხი და სამშობლო ასე როგორ უნდა გძულდეს, რომ იმას დაუპირისპირდე, რაც დანარჩენი მსოფლიოსგან გამოგარჩევს, რწმენას, რომელიც ყველაზე ღირებულია, ჩვენი სიწმინდისა და სისუფთავის საფუძველთა საფუძველია. შეიძლება, გულიც კი გაუსკდეს ადამიანს, ისეთ რაღაცებს ვიგებ... მაგრამ არ დანებდეთ, ბატონო კახი!

დედაშვილურად გლოცავთ, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული და თავდადებული 90 წლის პენსიონერი, აფხაზეთის დამსახურებული არქიტექტორი.

გისურვებთ, მშვიდად, დინჯად გემართოთ ჩვენი ქალაქი.

ლამარა გურული



# ჩემი თბილისის ვარამი...




ჩემი სამშობლოს დედაქალაქი, ჩემი თბილისი, ყოველთვის იყო და იქნება თბილისი და ვერაფრით ვერ გადაიქცევა ბრიუსელად, ვაშინგტონად ან მოსკოვად!

... და აი, ამ მრავალეროვანი ქვეყანის დედაქალაქში მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ რომელ მშობლიურ ენაზე დაილაპარაკებდა, ერთმანეთისა ყველას ყველაფერი გვესმოდა. შესაბამისად, ადვილი საცნობი იყო თბილისელი, ვინაიდან, ყველა ნაღდი თბილისელი არაერთ ენას ფლობდა საყველპუროდ, ყველა მათგანი უდიპლომო პოლიგლოტი იყო და იმ თბილისს უმღეროდა თავის ენაზე, რომელიც საკუთარი სამშობლოს დედაქალაქად ჰქონდა გულში ამოტვიფრული. ვინც იმ თბილისში ცხოვრობდა და მხოლოდ მსოფლიოში აღიარებული ერთი ან რამდენიმე ენა იცოდა, მაგრამ ქალაქური ენისა არაფერი გაეგებოდა, რაგინდ დიდი ენათმეცნიერი ან პოლიგლოტობის ნიჭით დაჯილოებული ყოფილიყო, „სირიკო ბალავანჩივაძე“ იყო მისი წოდება.

გამოხდა ხანი. ამასობაში გადავიარეთ ქარტეხილები. ნახევარი საუკუნის შემდეგ რომ ვადარებ იმ დროის საქართველოს დედაქალაქ თბილისსა და დღევანდელს, გული მტკივა — დღეს ვხედავ ქალაქს, რომელიც ჩემს ქალაქს აღარ ჰგავს... ისეთი დღე გვაყარეს, რომ „ხორნაბუჯში ხორნაბუჯს ეძებს ხორნაბუჯელი“...

„სირიკო ბალანჩივაძეები“ რომ თითზე ჩამოსათვლელები იყვნენ, ის დრო ჯობდაო იტყვი და, „კომუნისტური გადმონაშთი რუსეთუმე ხარო“ დაგესევიან ის ქვემორე ხელისმომწერები, ახლა რომ ჩამოვაგვირისტებ. ოღონდ, ამ უსამშობლოებს არ ვხედავდე, როგორ ცდილობენ, დამინგრიონ აქამდე სისხლით მოტანილი და ნაფოფინები ჩემი თბილისი და, მე — ჯანდაბას, თუგინდ სულეიმან იბნ დაუდის უკანონო შვილი ვიყო!

ერთი საკვირველება დავაფიქსირე — ბრბო, რომელიც თბილისს ანგრევს, წვავს და ამახინჯებს, წარწერებით იქნება, საღებავებით თუ კიდევ სხვა დასაძრახი საქციელით, მენტალურად არაქართველი და არათბილისელია;

არაქალაქელია ყველა, ვისაც აღრეული სექსუალური იდენტობის გამოფენის მოთხოვნილება აქვს — როსტომ ხანის ჩამოყვანილი მეკურტუმე ბიჭების მიმდევრების რა მცოდნია!

არაქალაქელია ყველა ის ქალაქის თავკაცი, რომელმაც მწვანეში ჩაფლული თბილისი ბეტონის კონსტრუქციების ქალაქად მიქცია — მუხრანის ხიდიდან „ტფილის-ქალაქის დარაჯი“, მამადავითი აღარ ჩანს...

თბილისელობა დაბადების ადგილის მიხედვით არ განისაზღვრება... კატამ ცინდლები გაზქურაში რომ დაყაროს, ისინი ვერასდროს გახდებიან ბისკვიტები...

„აგრესიული პროვინციალიზმი“!!!

დიახ, აგრესიული პროვინციალიზმი დააბიჯებს თბილისის ქუჩებში და ვისაც რაღაცანაირად შეფუთული ჰქონდა შინაგანი ტეტიაობა, ერთიანად იფეთქა დაგროვილი ბოღმის სახით, აზროვნებით პროვინციელის შურიანმა კომპლექსმა...

რა ქნას უწიგნურმა, მან ხომ არ იცის, რომ პროვინციალიზმი დაბადების ადგილის განმარტება კი არა, განუვითარებელ, პირველყოფილ ადამიანთან მიახლოებული აზროვნებაა...

საქართველო და მისი კულტურა სრულიად საქართველოზე იდგა ყოველთვის და არა კონკრეტულად თბილისში ან კონკრეტულად პროვინციაში დაბადებულებზე...

თბილისი, როგორც საქართველოს დედაქალაქი, ორგანიზმია, დაიბადა, გაიზარდა, სუნთქავს და ცოცხლობს,.. ის ვერ ითვისებს სხეულში ჩიჭვს ტეტიას სახით, ორგანიზმიდან აუცილებლად იგდებს უცხო სხეულს. რაგინდ პარაზიტად ეტმასნოს თბილისის სხეულს უსამშობლო უგნური მავნებელი და მის დაზიანებაზე გაფაციცდეს, თბილისი მაინც ფენიქსივით აღდგება!!!

მას შემდეგ, რაც ვარან თანგ ხოსროიანმა დედაქალაქი არმაზიდან თბილისში გადმოიტანა და მისმა შვილმა დაჩიმ დედაქალაქის სტატუსი მიანიჭა, თბილისი 29-ჯერ გადაიწვა — პირადად მე განსხვავებას ვერ ვხედავ თბილისის დამანგრევლებს შორის, ბუღა თურქი და უსამშობლო ქართველი ერთნაირი მტერია თბილისისა!

„თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვენაში, ტაძრის ნაცვლად, მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალ ედ დინები, ჩინგიზ ხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰები. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხესიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე...“ — ავსტრიელი მწერალი იყო ჰუგო ჰუპერტი, რუსთველოლოგი ამბობს ამას და როგორ არ გაგისკდება გული, როცა ქართველს ქართული აღარ ესმის, ქართველმა ქართული აღარ იცის, რადგან ქართველობის ერცხვინება, როგორც „გოიმური“ მოცემულობისა და უსამშობლოდ ქცეულს, ყურით მოთრეული სიტყვა აქვს მოსხმული მხრებზე — „მსოფლიოს მოქალაქე!“

უეროვნებო „მსოფლიოს მოქალაქე“ რა მოსატანია, როცა, 200 000-ზე მეტი ეთნოსი და ენაა მკვდარი, მაგრამ საქართველო და ნაღდი ქართველები ისევ ისეთივე ქარველები ვართ, როგორც გენეტიკურად მოგვდგამს — „რა უნდა მტანჯონ, მაწამონ, მაინც ვიქნები ქართველი!“ გვჭირს ნამდვილ ქართველებს...

ვგლოვობ, მაგრამ არ გამომიგლოვია ის პრუსიული განათლების სისტემა, რომლითაც ის, უსამშობლოებისთვის დასაცინი თაობები გავიზარდეთ, დღემდე რომ შემცვლელი არ გვყავს და ისევ ჩვენ ვზიდავთ მხრებით საქართველოს ვარამს...

ძალიან „წინწასულ“ შიგ ევროპაში მიმავლებს, ე. წ. პეროგარჭობილებს საქართველოს სიყვარულს ვერ ასწავლი, რადგან „სამშობლო“ და „პატრიოტიზმი“ სანაგვეზე მოსასროლ მოძველებული ცნებებად გამოუცხადა წლების წინ ევროსაბჭოს თავმჯდომარემ ჰერმან ვან რომპეიმ და უფრო ძლიერ ჩაახუტა საქართველო საქართველოს განათლების სისტემიდან ამოსაძირკვ „ბოლონიის პროცესს“ — ეს არის თავი და თავი ქართველი ახალგაზრდების უწიგნურობისა და მისგან გამომდინარე გამოთაყვანებისა, უსამშობლოდ მათი ქცევისა....

ერთ-ერთი მოწინავეები ვიყავით მსოფლიოში განათლების დონით და ახლა, ქართველები, წაკითხულიდან აზრის გამოტანის ინდექსით 81 ქვეყნიდან 67-ე ადგილზე ვართ — წაკითხულიდან აზრის გამოტანით! — ეს კატასტროფაა!!!

აზრი რომ ვერ გამოაქვთ, იმიტომ არიან ადვილი სამართავები!

ვუყურებ ამ დადგმულ ბაქანალიას და მისი დაწყებიდან დღემდე მხოლოდ ერთი შეკითხვა მაქვს: რას აპროტესტებენ?

ძალზე გარკვევით თქვა გიორგი გახარიამ: „საჩვენოდ 20 იანვრამდე არაფერი შეიცვლება — ან მანამდე ვახდენთ რევოლუციას, ან აზრი არა აქვს არაფერს!“

იმას აპროტესტებენ? რომ გახარიას, რომელსაც თავადვე დაარქვეს „თვალთხარია“, რევოლუციის მოწყობის საშუალებას არ აძლევს ხალხი, რომელმაც შეკვეთა მისცა თავის არჩეულ ხელისუფლებას, მშვიდობა განმიმტკიცე ჩემს გარშემოო?

რას აპროტესტებენ? აშშ-სთან ურთიერთობის გაჯანსაღებას და, სავარაუდოდ, მართლაც მეგობრულ-პარტნიორული ურთიერთობის დამყარების პერსპექტივას?

ევროპასთან ღირსებით გაერთიანების მოთხოვნას?

არ არის უსაშველო ეს „ავადობა“, განკურნებადია, ექვემდებარება მკურნალობას...

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის 2022 წლის მონაცემებია, მაგრამ რა, მომდევნო წლების უარესი თუ არა, უკეთესი ვერაფრით იქნება. 81 ქვეყანას შორის მე-60, 66-ე და 67-ე ადგილები საქართველოსთვის, ჩემთვის ისეთი ლახვარია, თითქმის რეალურს უტოლდება.

წლების წინ დავიწყე გაზეთის ფურცლებიდან ბრძოლა ყველაფრის „გაციფრების“ წინააღმდეგ, მაგრამ ვერავის გავაგონე, არავინ ამყვა და დავრჩი „უდაბნოში მღაღადებლად“...

ახლა, ბოლო ორი წელია, შეუჩერებლად გავყვირი ერთსა და იმავეს, რომ არაფერი ეშველება საქართველოში ახალგაზრდების გამოთაყვანებას მანამ, სანამ საქართველო არ ჩაეხსნება „ბოლონიის პროცესს“ და სანამ არ დაუბრუნდება განათლების იმ პრუსიულ სისტემას, რომელიც კარგად აპრობირებულია და მის შედეგს დღემდე ვხედავთ — მაინც არავის ესმის.

ძველი ანეკდოტია — ერთი ბორდელის მეპატრონე მეორეს ეკითხება, რანაირად ახერხებ, რომ მუდმივად გყავს კლიენტურაო? იმან უპასუხა: პაპაჩემისგან ვისწავლე, — საქმე რომ შეფერხდება, ცალკე ლოგინებს დავარიხინებ, ცალკე ბოზებს ვცვლიო.

ჩვენს განათლების სისტემაში კი ისეთი უძრაობაა, არც რიხინის ხმა ისმის, არც წივილ-კივილისა, მინისტრების ცვლილებას კი რა აზრი აქვს, თუ კარზე ჩამოკიდებულ აბრაზე წარწერაა: „არ მუშაობს!“

ახალი წიგნის (ნაბეჭდი პროდუქციის) სუნი თუ ვერ იგრძნო ბავშვმა და იგრძნო, მაგრამ არ მოეწონა, ის წიგნს გაექცევა, მხოლოდ დიდი ძალისხმევის შემდეგ თუ შეიყვარებს წიგნს, ისიც, კარგი აღმზრდელის სწორი მიდგომით...

მე ჩვენსას ვტირი, თორემ იგივეს მოსთქვამს ნაკითხი ევროპაც. შვედური განათლების სისტემა ოდესღაც ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნეოდა ევროპაში, მაგრამ „გაციფრულებამ“ საგანმანათლებლო სისტემა პირქვე დასცა, დაწყებითი კლასების მოსწავლეებს წერა აღარ შეუძლიათ, მაგრამ ელვისებურად კრეფენ ტექსტებს კლავიატურაზე. იგივე სურათი და იგივე პრობლემებია მთელ ძალზე „წინ წასულ ევროპაში.“ ახლა ისინი გონზე მოდიან, მაგრამ „ჩვენები“ როდის მოვლენ გონზე?

ტექნიკის უმნიშვნელო წინსვლამ, სულიერი არსებები აქცია ნივთებად. არ არსებობდა სმარტფონ-აიფონ-ანდროიდ-ინტერნეტი, შესაბამისად, არ არსებობდა სოცქსელები და მისგან გამომდინარე არავითარი სტრიმები, ბლოგები და ბლოგერები, ინფლუენსერები და ა. შ. ბევრი ის უბედურება, რამაც არასწორად განავითარა მოზარდი. დაეკარგათ ბავშვებს ბავშვობა, სილაღე, თავისუფლება და იქცნენ იმ არაკაცების ლუკმად, როგორიც, მაგალითად, არაკაცი გიორგი ვაშაძე და მისი ხორციელი თუ სულიერი ძმები არიან, გნებავთ, ანა დოლიძე და მისი დიდან დაწყებული დები.

გრიგოლ ვაშაძე რომ ნაძირალაა და მასზე არანაკლები რომ არიან სხვები, ეს კი არ არის უბედურება, არამედ ის, რომ ისე გადააგვარეს მათ მუჭში მომწყვდეული ახალგაზრდები, ერთს არ გაუჩნდა პროტესტის გრძნობა, რას ჰქვია, დედაჩემს ვუთხრა, მრცხვენია, რომ შენი შვილი ვარ, შენი დედა კი მოვ***ნო და არ მიუნგრია ცხვირ-პირი!..

არცერთი იქ მდგომი დედა არ გამოენთო ვაშაძისთვის ენის ამოსაძრობად...

დოქსოპულოებს დედა არ ჰყავთ.. არც მამა... ბებია-ბაბუები კი ის წინაპრები არიან, „ბებრუხანები“ რომ ჰქვიათ და მათ „სასარგებლო სიკვდილზე“ ოცნებობენ ჯენზი შვილიშვილები, ერთნი — აქციების დაშლის დროს, მეორენი — ზოგადად, მოძველებული შეხედულებების გამო, რადგან თურმე მანამდე არაფერი ეშველებათ...

დოქსოპულოების დამყრელები დედები არ არიან...

დოქსოპულოების დამყრელებს არ ეცალათ, „დედების მარში“ ჰქონდათ გასაფორმებელი, სახელად — „ხელი გაუშვით, ჩემი შვილია!“

ამათი დაგდებული შვილები სხვანაირები ვერც გამოვიდოდნენ — დედა არა მამა!..

დედებს ფიზიკურად ერევიან და კლავენ, მამებთან ცოტა უჭირთ, მაგრამ თუ არ შემოაკვდათ, დუმაში მაინც ჭრიან...

ამ ფონზე რა გასაკვირია, რომ ნაძვის ხის ანთებაზე დასასწრებად მისულ ბავშვს ქვა მოხვდა „მშვიდობიანი უსამშლობლოსგან“. ის საწინააღმდეგო მხარეს მდგომი დედის შვილი იყო, მას არ ეხებოდა „ხელი გაუშვით, ჩემი შვილია“, ისევე, როგორც „მტრები და მტრების შვილები“ არიან დამწვარი და სხვადასხვა დაზიანებებით სამკურალო დაწესებულებებში მოთავსებული სამართალდამცავები — ეს ყველაფერი კი პროვოცირებულია იმ უსამშობლო დედის მიერ, საკუთარი შვილების დროებითი კეთილდღეობის სანაცვლოდ საქართველო და ქართველები რომ გაყიდა; იმ თავმოყვარეობაუქონელი ნაცისტების ანასხლეტისა, გაცვეთილი ენა-პირით რომ არის ჩაბღაუჭებული საქართველოს პრეზიდენტის სავარძელს.

არ აანთო ე. წ. მთავარი ნაძვისხე თბილისის მერმა – 14 დეკემბერს რუსთაველის პროსპექტზე „კავკასიური ცარცის წრე“ გათამაშდა, დედა-გრუშემ ბავშვი-საქართველო გასაგლეჯად არ გაიმეტა...

როდემდე ვითმინოთ?

ღმერთო, როდის გაიწმინდება ჩემი სამშობლო უსამშობლო და დედაატროვებული დოქსოპულოებისგან?!

**მაია ჭელიძე**

# მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა ხმა მშვიდობას და ქართულ ტრადიციებს მისცა



**პოლიტიკური პარტია „ხალხის ძალა“ საპარლამენტო უმრავლესობას ტოვებს და ოპოზიციაში გადადის. რატომ მიიღეს აღნიშნული გადაწყვეტილება და რას სთავაზობენ თავიანთ ამომრჩეველს, ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება „ხალხის ძალის“ წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი თამარ ჩიბურდანიძე:**

- ორი წლის წინ, როდესაც „ქართულ ოცნებას“ სამი დეპუტატი გამოეყო, მათ თქვეს, რომ ჰქონდათ აზრობრივი განსხვავება უმრავლესობისგან, რათა ხალხისთვის მიეწოდებიათ მეტი ინფორმაცია, თუ რა ხდება, რეალურად, პოლიტიკურ კულისებში და მათ ეს შეძლეს. ამ სამ დეპუტატს, დიმიტრი ხუნდაძეს, სოზარ სუბარს და მიხეილ ყაველაშვილს შემდეგ უკვე სხვებიც შევუერთდით და საზოგადოებრივი მოძრაობა პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდა. პირველივე დღიდან განვაცხადეთ, რომ ჩვენ ვიქნებით ხელისუფლებასთან ოპონირების რეჟიმში და ვაჩვენებთ ქართველ ხალხს მაღალ პოლიტიკურ კულტურას, თუ როგორ უნდა პოლიტიკური პარტიის ოპონირება, იდეების შეთავაზება, იდეების დამუშავება და ა. შ. ის, რაც აკლია დღეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეს, ქართულ საზოგადოებას, რაც ენატრებათ, რაც სწყურიათ, რომ მოისმინონ, ნახავენ ჩვენი პოლიტიკური პარტიისგან! ეს იქნება კულტურული, მაღალი დონის ოპონირება სხვადასხვა დარგობრივ საკითხზე. გაგიგიათ ვინმეს ოპოზიციისგან რაიმე თემატურ საკითხზე კამათი, გარდა საარჩევნო კოდექსისა და ე. წ. რუსული კანონისა, რაც თვითონ არ აწყობდათ?! სულ ორისამი საკითხია, რომელიც „ლიბერალური“ პოლიტიკის საწინააღმდეგო იყო და ამაზე აყვირდნენ. გახსოვთ, ერთი საკითხი მაინც რომ შემოეტანოს ოპოზიციას პარლამენტში, ან მიეწოდებინოს სამთავრობო სტრუქტურებისთვის დარგობრივი კუთხით, რომლის განხორციელებაც უნდოდათ?! - თორმეტი წელია, პარლამენტში ვმუშაობ, როგორც ექსპერტი, როგორც მეცნიერი, სხვადასხვა მიმართულებით და მსგავსი შემოთავაზება მე მათგან არ მახსოვს!

ყველაზე დიდი პრობლემა ნებისმიერი ქვეყნისთვის არის მარგინალური ოპოზიცია, რომელსაც არც ძალა აქვს და არც სურვილი, შექმნას სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენები. ასეთი ოპოზიცია ამუხრუჭებს ქვეყანას და არ აძლევს განვითარების საშუალებას. მათი მიზანი ერთადერთია - შექმნან პოლიტიკური კრიზისი და კოლაფსი ქვეყანაში.

აქედან გამომდინარე, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში კონტრუქციული ოპოზიციის ადგილი იყო თავისუფალი. არაკონსტრუქციული ოპოზიციის წარმომადგენლები კი, რომლებმაც მთლიანად გაათავისუფლეს ეს ველი, დარჩებიან, როგორც მარგინალი პოლიტიკოსები ქართული პოლიტიკის ისტორიაში.

**- ოპოზიცია ამ თქვენს განაცხადს ირონიით უყურებს და არც საზოგადოების ნაწილს აქვს იმის განცდა, რომ „ხალხის ძალა“ მმართველ გუნდს რეალურ ოპონირებას გაუწევს...**

- ერთადერთი საკითხი, რაც აქამდე გამოიტანა „ხალხის ძალამ“, ეს იყო ომის თემა. ჩვენ შევწყვიტეთ, ფაქტობრივად, ოპონირება ხელისუფლებასთან, რადგან საქართველო ბეწვის ხიდზე გადიოდა, არჩევანი უნდა გაკეთებულიყო ომსა და მშვიდობას შორის. ამიტომ გადავწყვიტეთ ერთად საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მიღება. ამით ხელისუფლების პოზიციას კი არ ვამაგრებდით, საქართველოს პოზიციას ვამაგრებდით, იმიტომ, რომ საქართველოს სჭირდებოდა ეს კურსი. ჩვენ ვიყავით ერთად, რათა არ დაგვეშვა დესტრუქციული და მტრული ძალების მოსვლა ხელისუფლებაში. ამ გამარჯვებაში „ხალხის ძალის“ წილი საგრძნობლად დიდია და ამით ვამაყობთ. ამიტომ, ბრალდება იმისა, რომ „ხალხის ძალა“ დღემდე ხმას არ იღებდა და „ახლა მოუნდათ ოპოზიციონერობა“ - ტყუილია!

ამჯერად, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ვირჩევთ საგნობრივ, კონსტრუქციულ ოპონირებას ხელისუფლებასთან, როგორც ყველა განვითარებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოში ხდება. ჯერ ვერ დაგიანონსებთ, თუმცა, ჩვენ უკვე გვაქვს მომზადებული რამდენიმე საკითხი, რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა, გვაქვს იდეები, როგორც განათლების, ასევე ეკონომიკური განვითარების, ჯანდაცვის სფეროში, ასევე - დემოგრაფიული თუ სოციალური პოლიტიკის მიმართულებით, რაზეც დეპუტატები და ექსპერტები ვმუშაობთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი იდეები და რაც არ მოგვწონს, გვინდა ვთქვათ ღიად, ოღონდ არა ლანძღვა-გინებით, „გადადექის“ ძახილით და ცეცხლის გახსნით რუსთაველზე. ჩვენ გვინდა, კაბინეტებში შევიტანოთ ხალხის ხმა და საზოგადოებასთან ერთად შემუშავებული ინიციატივები წარვადგინოთ პარლამენტში. აქ იქნება, რა თქმა უნდა, ჩვენი შეხედულებები საგარეო პოლიტიკაზეც და თუ გვექნება მმართველი გუნდისგან განსხვავებული შეხედულება, ამასაც ვაცნობებთ მოსახლეობას.

**- ანუ, დიდი ხნის ნანატრი კონსტრუქციული ოპოზიცია ეყოლება საქართველოს „ხალხის ძალის“ სახით და ეს იქნება ნომერ პირველი ოპოზიციური ძალაც...**

- დიახ, „ხალხის ძალამ“ პირველმა გაანგრია ის კედელი, რასაც ჰქვია სიმართლის თქმა პოლიტიკაში. თუკი მანამდე დოგმა იყო ამერიკის ელჩზე, ევროპელებზე თუ დასავლეთზე, ზოგადად, კრიტიკული მოსაზრების გამოთქმა, რადგან პატრონყმობის რეჟიმში ვიყავით, ჩვენ დღეს საქართველო გადაგვყავს პარტნიორობის რეჟიმში. სწორედ „ხალხის ძალა“ იქნება ის პოლიტიკური პარტია პარლამენტში, რომელიც აჩვენებს საზოგადოებას ოპონირების მაღალ პოლიტიკურ კულტურას და დარგობრივ პროფესიონალიზმს. ვდგებით იქ, სადაც ყველაზე მეტად ვჭირდებით დღეს ქვეყანას!

„ქართულ ოცნებას“ 1 200 000-მდე ამომრჩეველმა მისცა ხმა, ამ ხალხმა აირჩია მშვიდობა ქვეყანაში, ტრადიციები, პოლიტიკური კულტურა... მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ამ ადამიანს ყველაფერი მოსწონს, რასაც თორმეტი წლის განმავლობაში „ქართული ოცნება“ აკეთებს. არის საკითხები, რომლებიც სადავოა. ქვეყანაში ბევრი რამ არის გასაკეთებელი და ოპოზიცია დღემდე მხოლოდ ქვების სროლით არის დაკავებული. აი, თუნდაც ერთი საკითხი, რაც მე თვითონ არ ვიცოდი, რადგან მე უმაღლესი განათლების სფეროში ვმუშაობ, როგორც პროფესორი და ნამდვილად არ ვიცოდი, რომ სავალდებულო-სასწავლო სახელმძღვანელოებიდან ამოღებული იყო ილიას ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „განდეგილი“, „აჩრდილი“, „ოთარაანთ ქვრივი“... და რაღა დარჩა იქ, რაღას ასწავლიან! როგორ ისტორიკოსებმა მითხრეს, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები, თურმე, ისეთი „გამოშიგნულია“, რომ ნახოთ, აგეტირებათ. სამაგიეროდ, ევროპული ქვეყნების ისტორიას ასწავლიან სიღრმისეულად. ეს ყველაფერი ამოღებული იქნა სახელმძღვანელოებიდან „ნაცების“ დროს, მაგრამ, როგორც მეუბნებიან, რაც შაშკინმა „დააკლო“, შემდეგ უკვე, თავისი მინისტრობის პერიოდში, მარგველაშვილმა „დაუმატა“ და აღარც არავინ იზრუნა სიტუაციის გამოსწორებაზე. მარგველაშვილისგან რაღა უნდა გვიკვირდეს, მაგრამ მას შემდეგ რამდენი მინიტრი გვყავდა, ხომ შეგვეძლო, ეს გამოგვესწორებინა!

დღეს ვინც რუსთაველზე დგას,



ეს თაობა, გამოშიგნული სახელმძღვანელოებით არის გაზრდილი. რას ვუყურებთ ამ საშინელ რიტუალებს, თავს ესხმიან ეკლესიებს, მიზანმიმართულად, ღიად წვავენ მაცხოვრის გამოსახულებას! თურმე, რა ჩუმად ზრდიდნენ ამ ბავშვებს! ყველაზე არ ვლაპარაკობ, იქ კარგი ბავშვებიც არიან, რომლებსაც მართლა სჯერათ, რომ ევროპას ვართმევთ და ამის გამო დგანან, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებმაც გაგვაოგნეს! ამიტომ არის, რომ უპირველესია განათლების რეფორმა ქვეყანაში. განათლებაზეა ყველაფერი დაფუძნებული სახელმწიფოში, ოღონდ ეს განათლება უნდა იყოს აუცილებლად ეროვნული. თუკი განათლება ეროვნული არ არის, ის მტრად ეკიდება ქვეყანას, რისი შედეგიც ჩვენ უკვე მივიღეთ.

**- ქალბატონო თამარ, ყოველთვის ხაზგასმით საუბრობთ განათლების მნიშვნელობაზე, საქართველო კი არის ქვეყანა, სადაც დიპლომი ჯერ კიდევ „ძვირად ფასობს“. სწორედ ეს თემა გახდა განკითხვის საგანი ქვეყნის მომავალ პრეზიდენტთან მიმართებით. რას გვეტყოდით თქვენი გუნდის უკვე ყოფილ წევრზე, მიხეილ ყაველაშვილზე?**

- მიხეილ ყაველაშვილის სახით საქართველოს ეყოლება ძალიან დიდი პატრიოტი პრეზიდენტი, არა თვალთმაქცი, არა შენიღბული, არამედ მართალი და პირდაპირი, უღალატო საკუთარი პრინციპებისა და ქვეყნის, ეკლესიური და მორწმუნე, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, მრავალშვილიანი მამა და ძალიან განათლებული ადამიანი. მიშა ყაველაშვილს რომ განათლება აქვს, ის რომ ნაკითხი და ერუდირებულია, ბევრი სამდიპლომიანი ადამიანიც ვერ დაიკვეხნის. შესაძლებელია, მან დიპლომის აღება ვერ მოახერხა, მაგრამ, თავის დროზე, მიხეილ ყაველაშვილმა თსუ-ის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩააბარა, რაც იმ პერიოდში მარტივი ნამდვილად არ იყო. როგორც თვითონ თქვა, ის გაჰყვა სპორტს და ამიტომაც უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება ველარ მოახერხა. ნახავდით, ალბათ, როგორ გადმოსცემდა „ბიბისი“, რომ საქართველოს პრეზიდენტი გახდა „მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელი მიხეილ ყაველაშვილი და როგორი რეაგირება ჰქონდა ხალხს ამაზე მანჩესტერში, როგორ ულოცავდნენ, როგორ უხაროდათ... ეს ადამიანი არის სერიოზული სახე სპორტში, რომელსაც დიდი ნაცნობობა აქვს საკმაოდ გავლენიან ადამიანებთან ევროპაში. 90-იან წლებში, როდესაც ევროპა რა იყო, ჯერ კიდევ არავინ ვიცოდით და იქ, ძირითადად, საქურდავად მიდიონენ ქართველები, მიშა ყაველაშვილი ბრიტანეთში ცხოვრობდა, შემდეგ კი, შვეიცარიაში და სწორედ მაშინ ეზიარა უმაღლეს ევროპულ კულტურას. ამიტომ მას ვერც ოპოზიცია და ვერც ვერავინ დედამიწის ზურგზე, ვერ ასწავლის ვერც ქართველობას, ვერც მართლმადიდებლობას და ვერც ევროპელობას! საქართველოს ეყოლება ყველაზე დიდი ქართველი და ყველაზე დიდი ევროპელი პრეზიდენტი!

ბოლოს კი მინდა, „საერთო გაზეთის“ რედაქციის მთელ კოლექტივს, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, დიდი სიყვარულით მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი, მინდა მივულოცო ჩვენს საქართველოს და ვუსურვო, უპირველესად, მშვიდობა, რასაც აქამდე ტრაფარეტულად ვამბობდით და დღეს უკვე გაზრებულად ვუსურვებთ ერთმანეთს, - მშვიდობიანი ქვეყანა, წარმატებული ქართული სახელმწიფო გვეშენებინოს, არა პატრონყმური, არამედ - პარტნიორული! დიახ, ჩვენ გვინდა ევროპა, ჩვენ გვინდა ღირსეული სახელმწიფო და ამას აუცილებლად მივაღწევთ!

**ნონა ქარქაშაძე**



# მაკრონის აჭრაჭუნებული კარიერისთვის სალომე ზურაბიშვილი მხოლოდ ბალასტია



*გვესაუბრება ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე*

**— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს?**

— ბოლო ხანს აშკარად გამოიკვეთა, რომ დასავლეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ იცვლება. მოდი, მივყვეთ მოვლენებს. ოპოზიციას არცერთი არჩევნები არ უღიარებია, მუდმივად გაყალბებაზე საუბრობს. თუმცა ახლა მას ნჯო სექტორი და ახალგაზრდობაც აჰყვა. და, რაც მთავარია, დასავლეთიდან ისმის უპრეცედენტოდ მძაფრი კრიტიკა. მათი მუქარა, თუ ხელისუფლება არ შეიცვლება, უვიზო მიმოსვლას შეგიჩერებთო, პირდაპირი ზემოქმედება იყო მოსახლეობაზე, რათა მას „ქართული ოცნება“ არ აერჩია. არაფერი გამოუვიდათ — ამ ჯიუტმა მოსახლეობამ მაინც „ქართული ოცნება“ აირჩია. ახლა ზეწოლა საზოგადოების მეორე — ხელისუფლების მოწინააღმდეგე ნაწილზე გრძელდება, რათა რევოლუცია მოხდეს და ხელისუფლება შეიცვალოს. აი, რაზე მიდის ბრძოლა. გახარიას შემთხვევით არ უთქვამს, ხელისუფლების შეცვლა 20 იანვრამდე უნდა მოვასწროთ, თორემ, მერე გვიან იქნებაო. მისმა სიტყვებმა ცხადყო, რომ, რაც ახლა საქართველოში ხდება, დასავლეთის ანარეკლია. ანუ, მათი ხელმძღვანელობის მიერ მართული პროცესია. ასე თუ არ არის, მაშინ რატომ არის განმსაზღვრელი აშშ-ის პრეზიდენტის ინაუგურაცია?! გამოდის, ეს ჩვენი კი არა, მათ მიერ მართული პროცესებია. დიახ, ეს დემოკრატების მიერ წარმოებული პროცესებია და რესპუბლიკელი ტრამპი რომ მოვა, ამ პროცესებს ხელშეწყობა აღარ ექნება. აი, ასე იშიფრება გახარიას ნათქვამი ფრაზა. რა გამოდის? — რაც აქამდე ხდებოდა, არც ეს ყოფილა ჩვენი პროცესი. ანუ, გვეუბნებოდნენ, რომ დემოკრატიის უკუსვლა გვაქვს, მოსამართლეებს ანგარიშს არ ვუწევთ, მაგრამ, სინამდვილეში, ამის გამო კი არ გვსჯიან, არამედ იმიტომ, რომ დასავლეთს აქ სხვა ხელისუფლება სჭირდება. ქაოსიც რომ იყოს, ეს უფრო აწყობთ, ვიდრე ამჟამინდელი ხელისუფლება.

საქართველომ ეს ეტაპი ერთხელ უკვე გამოიარა. მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში მემარცხენე პოლიტიკური ძალები მძლავრობდნენ, რომელთათვისაც ეროვნული თვითმყოფადობა მაშინაც მიუღებელი იყო. ერები არ უნდა არსებულიყო და ყველა ერთმანეთში გათქვეფილიყო. ვისაც ძალა შესწევდა, ეროვნული თვითმყოფადობა დაეცვა, მოკლეს. ვგულისხმობ ილია ჭავჭავაძეს. მაშინაც ორი პოლიტიკური ხაზი არსებობდა — მსოფლიო უნივერსალიზმის და ეროვნული ინდივიდუალიზმის მომხრეები. პირველის მიმდევრებისთვის ილია მტერი იყო და კიდეც მოკლეს. ახლაც იგივე მდგომარეობაა. დღეს საუბარია გლობალისტებზე, რომლებიც ბაიდენის მომხრეები არიან და გლობალური უნივერსალური ქსელის შესაქმნელად იბრძვიან. ინდივიდუალური, ეროვნული სახელმწიფო მათთვის მიუღებელია. მაშინ ილია იყო მათთვის მიუღებელი, დღეს კი მთელი ქვეყანა, რადგან საქართველომ გადაწყვიტა, ერის ინდივიდუალურობა შეინარჩუნოს. ღმერთმა დაგვიფარა, რომ ჯერ სისხლი არ დაღვრილა, თუმცა ტრამპს ორჯერ ესროლეს. ეს მძაფრი ბრძოლაა. მაშინ ეს ლოკალურად ხდებოდა. დღეს ამ პროცესმა მსოფლიო მასშტაბი შეიძინა, ორივე მხარეს უამრავი მოქმედი პირია. საქართველო აღარ არის მარტო და პოლიტიკურადაც მეტად არის გათვითცნობიერებული, ვიდრე მაშინ, როცა ეს პროცესი იწყებოდა. მაშინ ვერ ვხვდებოდით, რა ხალხი მოდიოდა სოციალისტების სახით. ჩვენც ამ დიდი ბრძოლის ნაწილი გავხდით, ფრონტის ხაზმა საქართველოზე გამოიარა. დღეს რაც რუსთაველის გამზირზე ხდება, სწორედ ამ დიდი პროცესების ექო, გამოძახილია, ვიდრე წმინდა ქართული.

**— აქციის მონაწილეებს რა სურთ?**

— აქციის მონაწილეებს შორის არიან ისეთებიც, ვისაც გულწრფელი პროტესტი აქვს და არა შეკვეთილი. ეს ადამიანები ამ ორომტრიალში არიან ჩართულნი და ეს პროცესი მათზე გავლენას ახდენს. პრობლემა ის არის, რომ ხელისუფლების შეცვლით დაინტერესებული რომელიმე პირი იქ მდგომ გულწრფელ ადამიანებს გონებაში უბეჭდავს, რომ ამ მთავრობას რუსეთისკენ მიჰყავს, ევროპის გზას უკეტავს, რაც მერე ზოგად კლიმატს ქმნის. ამ ადამიანებში ისეთ განწყობას ქმნიან, რომ მათ სხვის მიერ ჩაწვეთებული აზრი თავიანთი ნაფიქრი ეგონოთ. კი ბატონო, გარკვეული პროცენტი ხელისუფლების უკმაყოფილოა, მაგრამ 55%-მა ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა, რაც ძალიან დიდი გამარჯვებაა. როგორც მოგახსენეთ, ქუჩას თავისი წესები აქვს, ბრბოს პრინციპით, ერთი რაღაცას დაიძახებს და სხვები აჰყვებიან. მნიშვნელოვანი ის არის, რომ ხალხმა არჩევანი გააკეთა არა მხოლოდ „ქართული ოცნების“, არამედ იმის სასარგებლოდ, რომ ქვეყანამ საკუთარი პოლიტიკა გაატაროს.

**— ოპოზიცია ხელახალ არჩევნებს მოითხოვს. ეს რამდენად მართებულია?**

— ჩვენს ოპოზიციას ხშირად აქვს მოთხოვნები, ოღონდ ნაკლებად იცის, რა უნდა. ხელახალ არჩევნებს ითხოვენ. საფუძველი რა არის?! არჩევნებს 25 ათასი დამკვირვებელი ესწრებოდა, მათთვის ხელი არავის შეუშლია ობიექტური ინფორმაცია ჰქონოდათ, მაგრამ საჩივრები თითქმის არ დაწერილა. თან არჩევნებამდე გვარამიები ელექტრონული სისტემით არჩევნების ჩატარებას ემხრობოდნენ — ეს ყოველგვარ გაყალბებას გამორიცხავსო. გაყალბების ფაქტებს ვერ მიაგნეს, არც იციან, ამ სისტემაში გაყალბების რა მექანიზმია ჩადებული და ახალ მექანიზმს მოითხოვენ, — არჩევნები რომ ვერ გაყალბდესო, რაც უცნაურად გამოიყურება. დასავლეთის იმედი აქვთ, რომელიც არაღიარების პოლიტიკაში მათ მხარს უბამს. ტრამპის მოსვლით კონსერვატორები თუ გაძლიერდნენ, ოპოზიციის იმედები დაიმსხვრევა. ჩვენი ოპოზიცია ხომ იმ გლობალისტების ნაწილია, ამიტომაც ებრძვიან ეროვნულ ხელისუფლებას.

**— წინა კვირას მაკრონისა და ივანიშვილის სატელეფონო საუბარი შედგა. რას ცდილობს მაკრონი, რომელსაც თავის ქვეყანაში იმპიჩმენტს უპირებენ?**

— საუბარი ერთ საათს გაგრძელდა. რას დაეთმო ეს დრო, არავინ იცის. შესაძლოა, ამ დიალოგში ზურაბიშვილიც იყო ნახსენები. თუმცა, როგორც თქვენ აღნიშნეთ, მაკრონის პოლიტიკური კარიერა ჭრაჭუნობს. ამიტომ, ზურაბიშვილის გადარჩენა მას საფრანგეთში რეიტინგს ვერ მოუტანს. მას კი სწორედ ეს საკითხი ადარდებს. ამიტომ შესაძლოა, მაკრონმა საქართველოსა და ევროპას შორის კონფლიქტის მოგვარება საკუთარ თავზე აიღოს. მას თუ ექნება სათქმელი, ევროპას საქართველო დავუბრუნეო, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. თუ იტყვის, საფრანგეთს ზურაბიშვილი დავუბრუნეო, ეს არაფერს ნიშნავს. ისევე, როგორც 2008 წელს საქართველოს ომში სარკოზმა მშვიდობის მტრედობა იმიტომ იკისრა, რომ საერთაშორისო არენაზე სატრაბახო ჰქონოდა, კონფლიქტი მოვაგვარეო. შეიძლება, მაკრონსაც მსგავსი მოტივი ამოძრავებდეს.

**— ოპოზიცია ზურაბიშვილზე ამბობდა, არჩევნების გაყალბების შედეგად გახდა პრეზიდენტიო, თუმცა ახლა ერთადერთ ლეგიტიმურ ინსტიტუტად მიიჩნევენ...**

— ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური უნამუსობაა. ევროპელები იმას რომ იძახიან, რაც უნდათ და არა იმას, რაც რეალობაა, ესეც პოლიტიკური უნამუსობაა.

**— რამდენად რეალურია საფრთხე, მოწოდებამ საყოველთაო გაფიცვის შესახებ შეუქცევადი ხასიათი მიიღოს?**

— რა თქმა უნდა, საფრთხე რეალურია, საკმაოდ სარისკო პროცესები ვითარდება. აქვე ერთი შეკითხვა მებადება: ლიაკა ხოშტარია ფულს რუსეთიდან იღებს, რუსი ბიზნესმენია კობა ნაყოფია. ეს ორი საკვანძო წერტილი რუსეთთან არის დაკავშირებული. რუსთაველის გამზირზე აღმოაჩინეს რუსეთის ათი მოქალაქე, რომლებიც აქციაში მონაწილეობდა, სადაც მომიტინგეები ყვიროდნენ: არ გვინდა რუსეთში, ევროპის კარი გაგვიხსენითო. ეს ცოტა გაუგებარია ისევე, როგორც ლიაკას, ნაყოფიას მონდომებული სვლა ევროპისკენ და ანტირუსული რიტორიკა. თუმცა ევროპისკენ მოძრაობაც და რუსეთისგან დისტანცირებაც რიტორიკულია. არარიტორიკული არის მხოლოდ ფული, რომელსაც რუსეთისგან იღებენ. აქვე აღსანიშნავია შემდეგიც: ბევრი ადამიანი, რომელსაც შეიძლებოდა რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირი ჰქონოდა, საქართველოსთან დაპირისპირებაში აღმოჩნდა ჩართული. ჩნდება შეკითხვა: ევროპა და რუსეთი შეთანხმებულად ხომ არ მოქმედებენ?! ანუ დროშა, მიზანი, ფულიც კი, ევროპისაა, სპეცსამსახურები კი — რუსეთის.

ანალოგიური სურათი იყო „ვარდების რევოლუციის“ დროსაც — ფული ამერიკის იყო, მისი ელჩი ქართველ მინისტრებს აფრთხილებდა, შევარდნაძე გადააგდეთ, თორემ არაფერი გეშველებათო. ამ დროს მიტინგზე ივანოვი ჩამოვიდა, ხოლო საქართველოში მყოფი სპეცსამსახურები უცებ „რეფორმატორების“ მხარდამჭერებად ამოტივტივდნენ. 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ეს დასავლეთისა და რუსეთის ერთობლივი ოპერაცია იყო. ეჭვი გაზეთ „**არგუმენტი ი ფაქტი**“-ში წაკითხულმა მასალამ გამიმყარა. კერძოდ, წავაწყდი ინფორმაციას, მსოფლიოს სახელმწიფო მეთაურებიდან ვისთან რა სიხშირით საუბრობდა პუტინი. ყველაზე ხშირი საუბრები სააკაშვილთან ჰქონდა. აქვე გვახსენდება მიშას ბიძა თემურ ალასანია და მაშინვე ლოგიკური ხდება ეჭვი, რომ სპეცსამსახურები მიშას სასარგებლოდ მუშაობდნენ.

ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ჰენრი კისინჯერი საბჭოთა კავშირს და ამერიკას მოუწოდებდა: ნუ დაეტაკებით ერთმანეთს, გავლენის სფეროები ისე გაიყავით, რომ ერთმანეთი არ დააზიანოთო. არ გამოვრიცხავ, რომ ახლაც ანალოგიური ხდება, რადგან რუსეთისა და ამერიკის ინტერესში იყო, რომ ჩინეთი კავკასიაში არ შემოსულიყო. ჩინეთის გაგონებაზე რუსეთს ფეხები ეკეცება, ვერაფერს ეუბნება, არადა, მას (ჩინეთს) ნახევარი ციმბირი აქვს წაღებული. კავკასიაში რომ შემოვიდეს, შეიძლება ჩრდილოეთ კავკასიაც ხელს გააყოლოს. აქედან გამომდინარე, დავფიქრდეთ, აწყობს რუსეთს ჩინეთის საქართველოში შემოსვლა? ეს არც ამერიკას აწყობს, რადგან ჩინეთი ისედაც ძლიერი ქვეყანაა და მისი უფრო გაძლიერება არ უნდა. ასე რომ, რუსეთი და ამერიკა აშკარად არ არიან ჩინეთთან ჩვენი ალიანსის მომხრე. ამერიკამ ჩინეთის ხსენება ბოლო დროს დაიწყო, აქამდე მხოლოდ დემოკრატიის უკუსვლას გვსაყვედურობდა. კავკასიის გავლით ჩინეთის ევროპაში შესვლის თემაში, შესაძლოა, რუსეთი და დასავლეთი პარტნიორები იყვნენ და თუ ისინი პარტნიორები იქნებიან, მაშინ მათი ყველა რესურსი (რუსეთის ძირითადი რესურსი სპეცსამსახურებია, რომლებიც საქართველოში ჰყავს დატოვებული) უნდა ამუშავდეს. მაშინ საინტერესოა, ამ გულანთებულ მომიტინგეებში სპეცსამსახურების მუშაკი რამდენია?! როცა გაიძახიან, არჩევნები გაყალბდაო, პატრიოტი სულის ადამიანმა ამის მტკიცებულება უნდა მოითხოვოს. ამით იქ არავინ ინტერესდება, ე. ი. თამაში ბლეფზე მიდის. თუ ბლეფს დაიჯერებ, დამადასტურებელ დოკუმენტს აღარ მოიკითხავ. კიდევ გაიძახიან, ივანიშვილს რუსეთისკენ მივყავართო, ამისი საბუთი ხომ უნდა წარმოადგინონ. საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა არ აქვს და ივანიშვილმა როგორ უნდა წაგიყვანოს რუსეთისკენ?! ვინც უარგუმენტო ლოზუნგებს იჯერებს, მას ეს, უბრალოდ, აწყობს. ვინც იჯერებს, ის ან „ქართულ ოცნებას“ ვერ იტანს, ან მიშას ფანია. თუმცა, ახლა მიშაც აღარ არის პირველი ვიოლინო, ბოლო არჩევნებში გვარამიამ მეტი ხმა დააგროვა. ოპოზიციას გარკვეული ქვეყნებიდან დავალება აქვს მიღებული, საქართველო მმართველობის გარეშე დატოვონ. ქაოსი აწყობთ. იცით, კიდევ რა მიკვირს? იმ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლა, რომელიც იძახის, დედას გიტირებთ, დაგანგრევთ, ქუჩებს გადაგიკეტავთო, ვინმეს რატომ უნდა უნდოდეს?!



**თამარ შველიძე**

# შემდეგი სამიზნე ამიერკავკასია იქნება?!



*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი ДИМИТРИ ЛОРТКИПАНИДЗЕ*

**— ბატონო დიმიტრი, საქართველოს ხელისუფლება ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლის მოლოდინშია. რა სიკეთეებს უნდა ველოდოთ მისი გაპრეზიდენტების შემდეგ?**

— წესით, ტრამპის ადმინისტრაციის ხელისუფლებაში მოსვლით, მსოფლიოში გაჩენილი ცხელი კერები უნდა ჩაქრეს. პირველ რიგში, უკრაინა იგულისხმება, სადაც გლობალურ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომლის მთავარი ბუფერი რუსეთია, დაპირისპირება გრძელდება. ტრამპის დაპირების თანახმად, უკრაინის კრიზისი უნდა შეჩერდეს და მხარეებმა სამშვიდობო მოლაპარაკების მაგიდასთან გადაინაცვლონ. გარდა ამისა, ტრამპისთვის პრიორიტეტულია ახლო აღმოსავლეთში გამწვავებული ვითარების დასტაბილურება, რათა მან მწვავე კონვენციური ომის ფორმა არ შეიძინოს. თუმცა, ტრამპის ინაუგურაციამდე, ვხედავთ, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს, საქმე გააფუჭოს და ყველაფერი ისე არიოს, რომ გამოსწორება შეუძლებელი გახდეს.

პირველი შედეგი უკვე სახეზეა — სირიაში არამხოლოდ ხელისუფლების ძალადობრივი ცვლილება მოხდა, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მისი, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის პრინციპიც. მაგალითად, ერდოღანმა პირობა დადო, რომ 2025 წელს თურქეთი თავის ისტორიულ მიწებთან დაკავშირებით განაცხადს გააკეთებს, იმ იმპერიულ ფარგლებში, რომელშიც სირიის ნაწილი შედიოდა თურქეთის ტერიტორიის შემადგენლობაში.

სირიის ოპოზიციის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება პირდაპირ თურქეთის მოქმედებებთან არის დაკავშირებული. დიახ, ამ ყველაფრის უკან თურქეთი დგას, მის უკან კი — ბრიტანეთი. ადვილი წარმოსადგენია, რა ხდება სირიაში, სადაც ნავთობსადენისა და გაზსადენის მაგისტრალები, რომლებიც ათეული წლები დაკონსერვებული იყო, დღეს შეიძლება მოქმედებაში მოვიდეს, შედეგად, კატარის იაფი გაზი და ნავთობი ევროპის კონტინენტის მიმართულებით გატარდეს, რითაც რუსეთის ენერგომატარებლებზე დამოკიდებულება, კატარით ჩანაცვლდება. ეს ლოკალური გეგმა ახლო აღმოსავლეთის აფეთქებას უკავშირდება. ამას რა მოჰყვება, დრო გვიჩვენებს.

მანამდე კი, უკიდურესად მწვავდება ვითარება ერაყში — ათეულობით ათასი მობილიზებული სამხედრო არაფორმალურ გაერთიანებებში იყრის თავს. ირანი კბილებს ილესავს, ისრაელის წინააღმდეგ ახალი სამხედრო კამპანიის დაწყება მზადდება, რაც შეიძლება, სირიის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდოს სწორედ იქ, სადაც ისრაელმა გოლანის მაღლობების მიმართულებით საზღვრები კიდევ უფრო გადმოწია და სირიის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ხარჯზე თავისი ინტერესების ზონა გააფართოვა. სირიის სამხრეთს მთლიანად ისრაელი აკონტროლებს.

ამ ვითარების ფონზე, რთული საპროგნოზოა, როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოში. იმედია, ტრამპის მოსვლასთან ერთად, ახლო აღმოსავლეთსა და უკრაინაში ვითარება გამოსწორდება. თუმცა, შესაძლოა პირიქით, ესკალაციის სახე მიიღოს. რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ბაიდენის ადმინისტრაცია, ევროკავშირი ყველაფერს აკეთებენ, რათა 20 იანვრამდე საქართველოში ხელისუფლება შეცვალონ. სახეზეა მაიდანის სცენარის განვითარების მცდელობა. მიუხედავად იმისა, რომ 400-ზე მეტი ადამიანი დაკავებულია, ჩვენი ძალოვანები არ იყენებენ მიტინგის დასაშლელად რეზინის ტყვიებს, რასაც აქტიურად იყენებენ ამერიკაშიც და დასავლეთ ევროპაშიც.

ახლა მომიტინგეები ტოტალური დაუმორჩილებლობის კამპანიაზე გადავიდნენ, რაც მასობრივ ხასიათს იღებს. მოვლენების ავანგარდშია საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც უხეშად არღვევს კონსტიტუციას და არასრულწლოვნებს პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისკენ მოუწოდებს. სკოლებს, ბაღებს აქციებში ჩართვისკენ მოუწოდებენ, რამაც მასობრივი ისტერიკის ხასიათი შეიძინა.

**— თბილისში ჩამოსული ევროპარლამენტარები აქციის მონაწილეებს შეუერთდნენ და ხელისუფლებას სანქციებით დაემუქრნენ...**

— ეს ნაცნობი მელოდიაა, რომელსაც ადრე ვიოლა ფონ კრამონი აჟღერებდა, ახლა — რასა იუკნევიჩიენე ახმიანებს. იგი ჩამოვიდა, რათა საზოგადოებაში რევოლუციური პროცესებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება გაამძაფროს. თუკი უკრაინაში ნულანდი თაფლაკვერებს არიგებდა, აქ იუკნევიჩიენე ზურაბიშვილს აქეზებს, პრეზიდენტის სასახლე არ დატოვოს და მომიტინგეებთან ერთად დაპირისპირების კერის შექმნისკენ უბიძგებს. ეს პირდაპირ ქვეყნის კონსტიტუციაში ჩარევაა. რასას ჩამოსვლას წინ საგარეო საქმეთა მინისტრების — „კოლექტიური როთის“ ვიზიტი უძღვოდა. რუსთაველის გამზირზე ადგილი ჰქონდა პროვოკაციებს. მასპინძელი ქვეყნის მთავრობის ზურგს უკან მის წინააღმდეგ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა, არაფერში ჯდება. ჩვენს ლიდერებს მსგავსი რამ ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში რომ გაეკეთებინათ, მათ პერსონა ნონ გრატად გამოაცხადებდნენ და ქვეყანას დაატოვებინებდნენ. აქვე, მიმაჩნია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შეცდომა დაუშვა, როცა მოვლენების სიმწვავე ვერ გათვალა. შეცდომად მიმაჩნია მისი გუნდის საპარლამენტო სიასაც, სადაც ისეთი პერსონები მოხვდნენ, რომელთაც საჯარო ცნობადობა არ აქვთ. დიდ პატივს ვცემთ სპორტსმენებს, რომელთაც საქართველოს სახელი მსოფლიოში გაიტანეს, მათი სახელები ისტორიაში ოქროს ასოებით ამოიტვიფრება, მაგრამ ის, რომ ორი ოლიმპიური ჩემპიონი ამ უსახურ სიას გადაფარავდა, უტოპიაა.

**— რამდენიმე დღის წინ მომიტინგეები მსვლელობისას სამღვდელოებას დაუპირისპირდნენ. როგორ აფასებთ, ამ ფაქტს?**

— ეს იმის შედეგია, რომ ქვეყანა იდეოლოგიის გარეშე ცხოვრობდა და მომავალი თაობების აღზრდის პროცესი თვითდინებაზე იყო მიშვებული. მივიღეთ სურათი, როცა ანტითეისტების, პერვერტების, ლგბტ მოძრაობების ერთობლივი ღონისძიებით, დედაეკლესიაზე შტურმი განხორციელდა. სამარცხვინო იყო, როცა მამა შალვა კეკელიას ბოლშევიკური მეთოდებით ეკლესიაში შეუვარდნენ და წყობიდან გამოიყვანეს. სოლიდარობას ვუცხადებ, მას, ამ ბნელ ძალებთან ბრძოლაში, გამძლეობას და სიმშვიდეს ვუსურვებ. განერვიულებული ადამიანის ნებისმიერი ფრაზა, შეიძლება სპეკულაციებისთვის იქნას გამოყენებული. ეს უნდა შევაფასოთ როგორც პროცესი, რომელსაც წლების განმავლობაში არ ვაკონტროლებდით და შედეგიც მივიღეთ. როცა ქვეყანაში „ფრანკლინის კლუბი“ გაქვს, პოპოვიჩის, პიტერ აკერმანის ტრენინგები ტარდება ფერადი რევოლუციების მოსაწყობად, როცა მედიატერარიუმი გაქვს მედიაჰიდრას სახით, სხვას რას უნდა ელოდო. აგერ, „მთავარის“ მფლობელმა განაცხადა, რომ გვარამია და გაბუნია ტელევიზიას გაურკვეველი წარმომავლობის თანხის „გათეთრებისთვის“ იყენებდნენ. გვარამიას ხელფასი, თურმე, 88 500 ლარია. „მთავარი“ ის ტელეკომპანიაა, რომელიც ღვთის გმობის რუპორია და რომლის წილის მფლობელი გიული ალასანიას უნივერსიტეტია. საგანმანათლებლო პროგრამებში მობილიზებული თანხები იმ მედიაში მიემართებოდა, სადაც ამ თანხების შავბნელი საქმეებისთვის გამოყენება ხდებოდა.




ელენე ხოშტარიამ 23 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება — პიროტექნიკა შეიძინა, რომელიც ერთ კვირაში აქციებზე დაიხარჯა. სად არიან ამ დროს სპეცსამსახურები?! ცეცხლმფრქვევის ეფექტებით გამოყენებულ პიროტექნიკას მომიტინგეები პოლიციას, სპეცრაზმს უმიზნებდნენ. 42 პოლიციელი საავადმყოფოში მოხვდა, ხელისუფლება კი ამის შესახებ საზოგადოებას სათანადო ინფორმაციას არ აწვდის. ამიტომაც ხალხი იმას აპროტესტებს, რაზეც ინფორმაცია აქვს — ახალგაზრდების დაჭერებს, დაშავებას და ა. შ.



**— დასავლეთი, ოპოზიცია გვეუბნება, რომ ხალხი მასიურად გამოდის ქუჩაში ევროპული გზის დასაცავად...**

— აქ მხოლოდ ერთი ძალა ჩანს, რომელიც ქუჩაშია, მაგრამ არ ჩანს მეორე ძალა, რომელიც სიღრმისეული ქართველი ერის სახით არსებობს და რომელმაც რამდენჯერმე დაგვანახა, რა შეუძლია. მაგალითად, ამა წლის 29 აპრილს, 17 მაისს, როცა მილიონ ორასი ათასი ადამიანი ქუჩაში გამოვიდა.

ახლა, როცა ინტერვიუს გაძლევთ, აქციას ვადევნებ თვალს და შევამჩნიე ბანერი წარწერით: „გაიწვიეთ ანტილგბტ საკანონმდებლო აქტები საქართველოდან“. აი, რას ითხოვენ აქციაზე მყოფი ახალგაზრდები — კანონის გაუქმებას, რომელსაც საზოგადოება 30 წელი ელოდა და რომელიც ნეოლიბერალურ, დამპალ, დრომოჭმულ პარადიგმასა და ახალ კონსერვატიულ იდეას შორის მთავარი წყალგამყოფია. ეს უკვე კატასტროფა, მორალური ფასეულობების დეგრადაციის დემონსტრირებაა. საქართველოში ამ დეგრადაციას ამდენი მიმდევარი თუ ჰყავს, მაშინ მე მაინტერესებს, სად არის სიღრმისეული ქართველი ერი. დიახ, მინდა ვნახო, სად არის სიღრმისეული ქართველი ერი, როგორც ბუნებრივი ფორპოსტი იმ უზნეობის წინააღმდეგ, რასაც თვალს ვადევნებთ. აქამდე „ქართული ოცნებისთვის“ ხმა არასდროს მიმიცია. ახლა მხარი სწორედ ამ კანონების დაკანონების გამო დავუჭირე. ეს ნაბიჯი დავუფასე. ჩემთან ერთად, დასავლური სოდომური ფასეულობების წინააღმდეგ მილიონ ასოცი ათასმა ადამიანმა გაილაშქრა და მხარი ხელისუფლებას დაუჭირა. ეს კანონი კბილებით უნდა შევინარჩუნოთ.

**— ქვეყანაში გაჩაღებულია კამპანია — აჯანყდი, გაიფიცე, წამოდი სამსახურიდან, რევოლუციის არ შეგეშინდეს. რა საფრთხეები არსებობს ამ მიმართულებით?**

— თეორიულად, საფრთხე არსებობს, მაგრამ ბევრი რამ ხელისუფლების პოზიციაზე, იმ სწორ ტაქტიკაზეა დამოკიდებული, რითაც მან უნდა იმოქმედოს. მან მსოფლიოს უნდა დაანახოს, რომ ამომრჩეველთა მრავალათასიანი არმია ჰყავს, რომელმაც მას მხარი დაუჭირა და ტოტალური გაყალბების ბრალდება ყოვლად უსაფუძვლოა. ხელისუფლება ცდილობს, ამ აქციებს ენერგია გამოაცალოს. მან რომ დაიძახოს, ჩვენი მხარდამჭერები დაგვენახეთო, ამას გარდაუვალი სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვება. მეორე მხრივ, ასე გაგრძელებაც აღარ შეიძლება, ამას წერტილი უნდა დაესვას.

მნიშვნელოვანია ისიც, რა სტრატეგიას დაუჭერს მხარს აშშ, საქართველოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ტრამპის ინუგურაციის შემდეგ. ახლო აღმოსავლეთში ვითარება სერიოზულად იძაბება და არავის ეგონოს, სირიაში მიმდინარე პროცესები გვერდს აგვივლის. დიდი ალბათობით, სწორედ ამიერკავკასია იქნება შემდგომი სამიზნე იმ პროთურქული პროქსიძალებისა, რომელთა კონცენტრაციაც სირიის ჩრდილოეთში — ილდირის პროვინციაში მიზანმიმართულად ხორციელდებოდა, რათა შემდგომ ეს დამრტყმელი ძალა შექმნილიყო. თუ სად გამოიყენებენ შემდგომ ამ ძალას ბრიტანელები, ძნელი წარმოსადგენი არ არის — ეს შეიძლება ამიერკავკასია იყოს, რადგან სომხეთი უკვე მზადდება, როგორც პლაცდარმი ახალი ომისთვის. ასე რომ, ჩვენი მომავალი ჩვენ ხელშია. ქართველ ერს ერთსულოვნებას, გამთლიანებას და ერთი იდეის გარშემო დარაზმვას ვუსურვებ.

**თამარ შველიძე**

# ბრბოს ფილოსოფია

ლამაზი სიტყვათა კომბინაციაა „ბრბოს ფსიქოლოგია“, დიახ, მხოლოდ სიტყვებია, რადგან რეალურად, ბრბოს ფსიქოლოგია არ აქვს, ის იმპულსური ინსტინქტებით არსებობს.

ბრბომ უკვე მერამდენედ მიიტანა პარლამენტთან კუბო და დაწვა;

ბრბომ უკვე მერამდენედ მიანგრ-მოანგრია რუსთაველის პროსპექტი;

არის რაიმე, რაც არ ჩაუდენია ბრბოს რუსთაველის პროსპექტზე?

კახა კალაძის მიმართ მტრობის გამო საქართველოს ფეხბურთის ნაკრების მაისური დაწვეს მხოლოდ იმიტომ, „კალაძე“ რომ ეწერა, საქართველოს დროშა და გერბიც რომ მიაყოლეს — ეგ არაფერი;

უახლესს ვგულისხმობ, თორემ, რასაც რუსთაველის პროსპექტი მოსწრებია, „სიკვდილის პროსპექტი“ უნდა ერქვას, ყველაფრის სიკვდილისა, ან „ფენიქსის პროსპექტი“, როგორც ფენიქსივით მრავალჯერ ფერფლიდან აღმდგარს...

ჯადოქრობა გვაკლდა და ისიც ვიხილეთ. თუნდაც ცრუ ჯადოქრობა, როდესაც ნაჭრის თოჯინას ქინძისთავებს არჭობს ვიღაც, უსიამოვნო დასანახია, თუმცა, მაინც ვიტყოდი, გაუშვით, ეგონოთ, რომ ჯადოქრობენ და გაიხარონ-მეთქი, მაგრამ უწიგნურ ბრბოში ყველანაირი მავნებლური ელვისებურად გადამდებია, რადგან დამნაშავე

ის გავიგე, როგორც იქცევა პოლიცია დემოკრატიულ ქვეყნებში, როდესაც მოქალაქეების მხრიდან ძალადობას აქვს ადგილი და იგივენაირაიდ მოქცევა რატომ აქვთ აკრძალული საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს?

სციპიონ სიგელეს ნაშრომის გადაკითხვა რად უნდა იმას, რაც მის გარეშეც ყველამ შესანიშნავად ვიცით — მავნე ჩვევები ადვილად გადამდებია...

სიგელესი შთაგონებითი მიბაძვის ანალიზი მომწონს, თორემ თვითმკვლელობა, სიგიჟე და დანაშაული რომ არის ის სამი ძირითადი სფერო, რაც შთაგონებითი მიბაძვის ფორმებია, რაც გონება სხვა ის თვისებები, რაც მხოლოდ პირველყოფილ ადამიანს ახასიათებს.

ბრბოს კოლექტიური არაცნობიერი აქვს და, აქედან გამომდინარე, მოქმედებს საერთო მიზეზები.

ამ დღეების განმავლობაში რასაც ვხედავთ — სათითაოდ რომ გამოვხშიროთ ბრბოდან თითოეული ინდივიდი, აღმოჩნდება, რომ მათ არ იციან, რატომ არიან ბრბოს შემადგენელი ნაწილი. არ აქვს მნიშვნელობა, რა პიროვნებაა ცალკე აღებული ერთი ადამიანი, ბრბოში იგივე ინსტინქტებამდე დადის, რაც პირველყოფილ ადამიანის ინსტინქტებს უტოლდება და აუცილებლად ძალადობისკენ არის მიმართული.



მომეცა, მას შემდეგ მაგალითებით მაქვს ნანახი და განცდილი.

რეალურად, რა ხდება — მიბაძვა კი არ არის განმსაზღვრელი, არამედ ადამიანში მოცემული, მაგრამ არაცნობიერში გადატანილი ინსტინქტები, რომლებშიც ბოროტი სჭარბობს კეთილს — ამიტომ არის ბრბოში კეთილ საქმეებში მიბაძვა მცირე.

ბრბო ყოველთვის აღზნებულია.



ბრბოს ინსტინქტი სხვანაირია და ახლა ამ ჯადობაზობას შემოიღებენ „მოდად“.

ამიტომ მზარავს და ამიტომ ვარ ყოველგვარი აქციის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე და მათი აკრძალვის მომხრე.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების კანონი“ დემოკრატიის ნიღბით შემოგდებული ის მოცემულობაა, რაც ადამიანების გაცხოველებისთვის, ძალადობის გამოსავლენად არის მოგონილი, ძალადობა შობს ძალადობას და ტრიალებს დოლურა.

სერიოზულ და მნიშვნელოვან საკითხებს ქუჩა ვერ და არ წყვეტს, ქუჩა მხოლოდ ძალადობას ახალისებს და სისხლი მოაქვს რევოლუციის სახელით, რომელსაც, რატომღაც არასოდეს არ ეწირება არცერთი რევოლუციონერი... ამაზე დაფიქრების უნარი კი არავის აქვს გამოსაყენებელ მასაში, სწორედ ამიტომ ხდება მათი ერთობლიობა ბრბო... დემოკრატიაზე აკიდებულ მთავრობებს, როგორც ჩანს, არ შეუძლიათ ამ კანონის ჩახსნა, ანდა მათაც აწყობთ.

ბევრ რამესთან ერთად, ვერც ეს აღზნება გადადის რისხვაში და კულმინაციას რომ აღწევს, ყველაფერს წალეკავს ხოლმე, რაც გზაზე ხვდება.

ყველა სახისა და შინაარსის ბრბო ისეთი დანაშაულისკენ მიდრეკილი ხდება, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ ჩაიდენდა ბრბოს შემადგენელი ერთი ან რამდენიმე ერთად შეკრებილი ადამიანი. ბრბოს გარეშე ყველა ინდივიდი პასუხისმგებლობის გრძნობას ექვემდებარება და გარკვეული შიშიც აკავებს, ბრბოში კი ეს შემაკავებელი ბარიერი ქრება.

იმის გამო, რომ ბრბო ანონიმურია და პასუხს არ აგებს არანაირ დანაშაულზე. პირადი ინტერესები ბრბოში და განწყობები ელვისებურად გადამდებია. თითქოს ჰიპნოზირებულები არიან, გადაბრუნებულია მათი ცნობიერება და ყველა მოქმედებს, როგორც ყველა — ინდივიდი ბრბოში ცივილიზაციის სამდენიმე საფეხურით დაბლა ეშვება. ბრბოსგან იზოლირებულ მდგომარეობაში მყოფი ცივილიზებული ადამიანი ბრბოში ხდება ის ბარბაროსი, რომელსაც აღმოაჩნდება თვითნებობის, სისასტიკის და

რამდენი მოლოტოვის კოქტეილის მსროლელიც ვნახეთ, ან ქვაფენილის ამყრელი, ჯებირების მომრღვევი და ყველაფრის ჩამდენი, რაც ვიხილეთ, გოგო-ბიჭები ყოველგვარი ძალდატანების გარეშე სიხარულით რომ ასრულებდნენ, იგივენი იგივე საქციელს არადროს სჩადიოდნენ და არც გაიმეორებენ ცალკე, ინდივიდუალურად, ბრბოში კი ხარობენ, ერთმანეთს უმტკიცებენ „გმირობას“.

ბრბოში ინფორმაციის აღქმის დიაპაზონი იმდენად იზღუდება, რომ აბსოლუტურად იკარგება საღი აღქმების უნარი. ბრბო იმ ფარას ემსგავსება, რომელიც ვაცს მისდევს ანგარიშმიუცემლად და ხევშიც გადაჰყვება გაუაზრებლად.

ბრბოს შემადგენელს საკუთარი ტვინით აზროვნება ეკეტება, აღარ სჭირდება და ავტომატურად ითიშება, რადგან ამისთვის არსებობს ე. წ. ლიდერი. ამიტომ იყო და არის, რომ გამუდმებით ისმოდა „შემდეგი გეგმა როგორია?“ ლიდერებიც დინჯად პასუხობდნენ „ხვალ გაგაცნობთ გეგმას“ და ა. შ.

ბრბოს ყოველთვის მართავს ლიდერი, რომელმაც საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად შექმნა ბრბო და რომელიც ყოვლთვის აგრესორია ბუნებით. სხვათა შორის, რამდენადაც უსუსურია აგრესიული ლიდერი ფიზიკურად, პირდაპირპროპორციულად და უფრო მეტადაც აგრსიულია სხვისი ხელით შესასრულებელ ქმედებებსა და მოწოდებებში.

შესაძლოა, ლიდერი საერთოდ არ ჩანდეს, საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ის იდეური და-ძმები გამოიყენოს, რომელთაც ბრბოს მართვა შეუძლიათ.

როდესაც ბრბოს ეცლება დაქირავებული მოხალისეების გარსი, რჩება ბრბოს ძირითადი ნაწილი, რომლის მართვის მექანიზმი უმარტივესია — ის, ვისაც იმისათვის სჭირდება ბრბო, რომ პირადი ინტერესებისთვის მოიხმაროს, ან შექმნილი სიტუაციის გასაწელად უნდა, რომ მუდმივად ჰყავდეს არენაზე, პირად ინტერესებს, საგულდაგულოდ შეფუთულს აწვდის ბრბოს შედარებით აზროვნებაშერჩენილ ნაწილს და თვითონ დატრენინგებული, ტრენინგის სტილში შთააგონებს მათ, რომ მის მიერ მითითებული ქმედებები ერთადერთი სწორი და მართებული გზაა ყველას ნათელი მომავლისთვის.

ბრბოს მოსწონს პატრიოტული შინაარსის მყვირალა ფრაზები და შეძახილები, რადგან თითოეული მათგანის წარმოდგენაში საკუთარი პერსონის განდიდებით გმირის სახება იხატება — მას ხომ შთააგონეს, რომ ის ერთ-ერთი მათგანია, ვინც ქვეყნის ბედ-იღბალს წყვეტს...

ბრბოს აღზნება ფიზიკურ ძალადობასთან თანდართულ ბილწსიტყვაობას ერწყმის, რადგან იმ ძლიერი აღზნების მხოლოდ ქმედებით გამოდევნა ვერ ხერხდება, ყოველმხრივ დაცლა სჭირდება... ადამიანებს რომ უკვირთ, ომების დროს რატომ ხდება მასიური გაუპატიურებები, იმ ტყვიების წვიმაში რანაირად იღზნებიან სექსუალურადო, — აი, ასე, უკვე აღზნებულები არიან და ბოლომდე იცლებიან...

ბრბო ლიდერის გარეშე ვერ იარსებებს კი არა, მცირე ხნით რომ დარჩეს ლიდერის გარეშე, უხმაუროდ დაიშლება და მალევე ისეთივე თვინიერ მოქალაქეებად გადაიქცევიან ბრბოს შემადგენლები, როგორებიც მანამდე იყვნენ, სანამ ბრბოს წევრები გახდებოდნენ. შემდეგ უკვე ინდივიდუალუერია, ვინ როგორ გადახარშავს ბრბოში ყოფნის დროს. ნაწილი გააცნობიერებს, რომ ინსტრუმენტად გამოიყენეს პირადი მიზნებისთვის და მსგავსს აღარ დაუშვებს; ნაწილს შიში მოეძალება როგორც კანონმორჩილ მოქალაქეს, — ეს რა ჩავიდინეო; ნაწილს კი განმეორებით მოუნდება ბრბოს ნაწილად ყოფნა, რადგან მძაფრი შეგრძნებებისას სიამოვნება განიცადა. სწორედ ამიტომ არის, რომ პიკიდან ყოველდღიურად დაბლა ეშვება ხოლმე ბრბოს მრუდი.

ამაზე უკეთ ვერ ავხსნი იმის აუცილებლობას, რატომ უნდა აიკრძალოს ბრბოს პარპაში და გზების გადაკეტვა.

აუხსნელია, რა უნდა დაღამებულზე პარლამენტის შენობასთან მყვირალა დამნაშავე ბრბოს, როდესაც იქ მხოლოდ ცარიელი კედლებია, ათასობით რიგით მოქალაქეს კი მხოლოდ პრობლემას უქმნიან, პირველ რიგში, ადგილზე და მიმდებარედ მცხოვრებლებს. თუ ცივილურად არ შეუძლიათ მოქცევა, დიალოგი და ა. შ. მათთვის გამოყონ შემოკავებული ადგილი ქალაქის შემოსასვლელში და იკიჟინონ გაფიცულ-გასაფიცებლებმა, რამდენიც უნდათ...

„დღეს ჩემი ქვეყანა ჰგავს პატარა საგიჟეს, რომელსაც ექიმი ესაჭიროება, მაგრამ ამ ექიმებს თვითონ ესაჭიროებათ ექიმი და აღარ ვიცი, რა ვუშველო ჩემს საბრალო ხალხს“, — მე მინდოდა ამ სიტყვების დაწერა, მაგრამ უკვე დაუწერიათ დიდი ხნის წინათ...



ზურა ოზხერელი

# საკუთარი თავის გარდა, ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს



*გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების მცოდნე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი გოგავა*

**– ბატონო ირაკლი, გამუდმებით გვესმის მწვავე და კრიტიკული შეფასებები ჩვენი „მეგობრების“, პარტნიორი ქვეყნების მხრიდან, რომლებიც კარგა ხანია, ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ ამინდს ქმნიან. სავარაუდოდ, საქართველოში პროცესების ნორმალიზებაც მათზეა დამოკიდებული...**

- პირველ რიგში, სიტყვა „მეგობრები“ უნდა დავივიწყოთ. საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში „მეგობრობა“ არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ინტერესები და თუ ამ ინტერესების თანხვედრაა, კონკრეტულ საკითხში სტრატეგიული პარტნიორობაც შესაძლებელია. აქედან გამომდინარე, არავინ ჩვენი მეგობარი არ არის. მხოლოდ საკუთარ თავს უნდა ვენდოთ. არავინ არის დაინტერესებული იმაში, რომ საქართველოში აღმშენებლობა და სიკეთე იყოს, ყველას საკუთარი ინტერესები ამოძრავებს, ჩვენს ხარჯზე სარგებლის მიღებას ცდილობს. დღეს კოლექტიური დასავლეთის მთავარი ინტერესი არის რუსეთის დამარცხება უკრაინაში, სადაც ვერ აღწევენ მიზანს და სჭირდებათ რუსეთის პროვოცირება საქართველოში სამხედრო ინტერვენციის ჩასატარებლად, რასაც ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია, ნგრევა და დიდი მსხვერპლი მოჰყვება. მათი მიზანია, რომ რუსეთი იძულებული გახდეს, სამხედრო მოქმედებების მთავარი თეატრიდან გარკვეული ძალები და ტექნიკა საქართველოსკენ გადმოისროლოს. რუსეთის სამხედრო დოქტრინის მეორე თავის მე-12 პუნქტში პირდაპირ ჩაწერეს, რომ რუსეთის საზღვრებთან ფერადი რევოლუცია რუსეთისთვის სამხედრო საფრთხეს წარმოადგენს. ეს იციან დასავლეთში და სწორედ ამის პროვოცირებას ლამობენ.

ახლა ვხედავთ, რომ ფერადი რევოლუციის სცენარი ხორციელდება, რომელიც იმართება და ფინანსდება დასავლეთიდან. მართალია, მეხუთე კოლონის წამყვანი სახეები გადამალეს, რომლებიც ალაგ-ალაგ მაინც ჩნდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ფასადად სპეციალურად მომზადებულ ახალგაზრდებს იყენებენ, რეალურად, ამ პროცესების ბირთვი უცხოეთის ჯამაგირზე მყოფი მეხუთე კოლონაა, რომელიც უცხოურ ინტერესებს ემსახურება. მათი მიზანია სახელმწიფო გადატრიალების მოხდენა, შემდეგ კი საქართველო უნდა ჩაერთოს რუსეთის წინააღმდეგ ომში. ეს არის მათი გეგმა.

**– თუმცა, დასავლეთმა და მისმა ხელქვეითებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ომი საქართველოში, მათ ინტერესებში არ შედის...**

- ოცდაათ წელზე მეტი ვიმუშავე ევროპელ პოლიტიკოსებთან და შემიძლია ვთქვა, რომ მათი პოზიციები, უმეტესწილად, ტყუილზეა აგებული. ისიც ტყუილია, რომ ევროკავშირში ჩვენ მიღებას აპირებენ. ფრაზა „ევროკავშირის კარი ღიაა“ დიდი ტყუილი და აფიორაა, რასაც იყენებენ მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენი ხალხი გააბრიყვონ და ხელისუფლებას გააკეთებინონ ის, რაც მათ სჭირდებათ. აქედან გამომდინარე, ეს არის ხელოვნურად შექმნილი კრიზისი. არსებობს სოციალური ინჟინერია და საზოგადოების მართვის და პროპაგანდის ტექნოლოგიები, რომლის სამიზნეც ჩვენ, კარგა ხანია, ვართ. ამ ტექნოლოგიების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადი ახალგაზრდები არიან, რომელთაც ცოდნა და გამოცდილება არ ყოფნით იმისთვის, რომ ტყუილ-მართალი გაარჩიონ. ზოგადად, სპეცსამსახურების სტილია, როცა ყალბ ორიენტირებს დაუსახავენ ადამიანებს და მათი ენერგია ფუჭი მიმართულებით იხარჯება. ეს ევროკავშირის წევრობაც ერთ-ერთი ასეთი ყალბი ორიენტირია. ბრიუსელი არასდროს აპირებდა და არც აპირებს საქართველოს წევრად მიღებას.

არსებობს სახელმწიფო გადატრიალების ორი სახის ტექნოლოგია: ამერიკელი პროფესორის ჯინ შარპის მშვიდობიანი სახელმწიფო გადატრიალება და მეორე აკერმანის ძალადობრივი გზით სახელმწიფოს გადატრიალების მეთოდი. ჩვენთან აკერმანის სცენარით მოქმედებენ, რაც გულისხმობს რამდენიმე აუცილებელი პირობის შესრულებას იმისათვის, რომ ხელისუფლების დამხობა წარმატებით განხორციელდეს. ესენია:

• „დუმილის სპირალის“ მიღწევა. წესი: „გადატრიალებას ახდენს აქტიური უმცირესობა, თუ უმრავლესობა დუმს;“

• ქუჩის აქციების მასობრივი ხასიათი და მთელი ქვეყნის მოცვა;

• სიმპათიის გამოწვევა პროტესტანტების მიმართ;

• გაწვრთნილი „შტურმავიკები“ ძალოვანი აქციებისთვის;

• საინფორმაციო დომინაცია მედიასივრცეში;

• ხელისუფლების ვერტიკალის ჩამოშლა;

• საზოგადოებრივი აზრის ლიდერების აღმავალი მხარდაჭერა;

• ძალოვანი სტრუქტურების დემორალიზაცია და ფიზიკური გამოფიტვა;

• სრულმასშტაბიანი საგარეო მხარდაჭერა;

• „საკრალური მსხვერპლი“.

**– ჩამოთვლილთაგან, ფაქტობრივად, რადიკალებმა ყველაფრის გამოყენება სცადეს, თუმცა, მცდელობის მიუხედავად, მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. დარჩა „საკრალური მსხვერპლი“, რასაც, იმედია, არ გარისკავენ და შესაბამისი ორგანოებიც ფხიზლად იქნებიან, რომ გეგმის ეს ნაწილი ვერ განხორციელდეს.**

- მთავარი ფაქტორი, რის გამოც „მეხუთე კოლონამ“ უკვე წააგო, არის ის, რომ მთელი მათი რიტორიკა და ორიენტირები სიყალბეზეა დაფუძნებული.

„დუმილის სპირალს“ ვერ მიაღწიეს, რადგან უმრავლესობა არ დუმს. თითოეული ჩვენგანი, ვინც აქტიურობს მედიაში, სოციალურ ქსელში, სამსახურებში, სამეზობლოში, „ჩათებში“ - ცალკე „საცეცხლე წერტილია“ და ერთობლიობაში მათ დომინაციის საშუალება არ აქვთ. აქციების მასობრიობას ვერ მიაღწიეს. ამიტომაც მიადგნენ სკოლებს, არასრულწლოვნების გასაბრიყვებლად, რათა სკოლის მოსწავლეები ბიომასად გამოეყენებინათ აქციაზე. ესეც ჩაუვარდათ. საქართველოში 161 000 სტუდენტია და მათ აქციებზე 1-2% მონაწილეობს. 305 000 სკოლის მოსწავლიდან კი მხოლოდ რამდენიმე ათეული მიიზიდეს. პირველ დღეს, პარასკევს, პიკზე, პარლამენტის წინ 10 000 ადამიანი ჰყავდათ აქციაზე, შაბათს - 8 000, კვირას - 5 000. მას შემდეგ პროტესტანტთა რაოდენობა ხუთი ათასს არ სცდება. ცნობისთვის, პარლამენტის წინ მოედანი 5000 კვ. მეტრია, სასარგებლო ფართი კი, უფრო ნაკლები.

სიმპათიის ნაცვლად პირიქით, ანტიპათია გამოიწვიეს, რადგან პირველივე დღიდან ძალადობრივ მეთოდებზე გადავიდნენ, ყოველ ღამე წვავდნენ მთავარ გამზირს და ანადგურებდნენ ქალაქს... ამან მათ მხარდამჭერებიც კი ჩამოაშორა. დაბალ რეიტინგული ნაცების, „ენჯეოშნიკების“ სახეები გულდასმით კი გადამალეს და წინ დაფიონ-ფრანკლინის ახალგაზრდები წამოსწიეს, მაგრამ ხალხი მაინც ნაცების აქციას და „ნაცრევოლუციას“ ეძახის ამას. მშვიდობიანი პირველი ფაზა გამოტოვეს, სადაც პატარძალი უნდა მიეყვანათ აქციაზე, ქუჩაში პიანინოზე დაეკრათ, პოლიციელის ფართან პომადა წაესვათ და ასე შემდეგ. ახალგაზრდა წყვილის სასიყვარულო კოცნის ნაცვლად, ორი ლესბოსელი და ორი მამათმავალი „აკოცნავეს“. როგორც ჩანს, ეს აუცილებელი მოთხოვნა იყო უცხოელი სპონსორებისგან, თორემ ასეთი იდიოტებიც არ არიან, ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ეს ხალხს, პირიქით, გააღიზიანებდა. მაგრამ რას იზამ?! ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს. პატრონი კი მონურ მორჩილებას მოითხოვს. მოკლედ, სიმპათიის მოსაპოვებელი ღონისძიებებიდან მხოლოდ ქაღალდის თვითმფრინავების გაშვება მოასწრეს. შემდეგ სპეცრაზმს „შტურმავიკები“ ეკვეთნენ და პირველ-მეორე დღეს მაგრად გაილახნენ. მესამე დღიდან ახლოს ვეღარ მიდიან სამართალდამცველებთან და შორიდან ჩინურ ფოიერვერკებს, ქვებს და მეტალის ბურთულებს ესვრიან. არადა, უცხოელი სპონსორი ფულს პოლიციასთან უშუალო კონტაქტისთვის იხდის. მოკლედ, სიმპათიის ნაცვლად, მოსახლეობისგან აგრესია მიიღეს, რაც უბნებში ფანჯრებიდან უცენზურო სიტყვების კორიანტელში მრავალგზის გამოიხატა.

„შტურმავიკები“ კარგი ამუნიციით არიან, კარგადაც უხდიან, მაგრამ სპეცრაზმთან პირველი ორი დღის ურთიერობის გამოცდილების შემდეგ, ისინი დისტანციაზე ყოფნას ამჯობინებენ და იქიდან ისვრიან ფოიერვერკებს, ქვებს და რკინის ბურთულებს. „ფიზიკური შენიშვნები“, რომელიც პირველ ორ დღეს მიიღეს, მათ მოგონებებში დიდხანს დარჩება. სავარაუდოდ, გასამრჯელოს მაინც მიიღებენ, მაგრამ პრემიებს აღარ მისცემენ. თუმცა, ეს უფრო რენტაბელური გამოვა მათთვისვე, რადგან მკურნალობა საკმაოდ ძვირი ჯდება და პრემია მას არ ეყოფა. დისტანციაზე გასვლა გონივრულ გადაწყვეტილებად უნდა ჩავუთვალოთ.

საინფორმაციო დომინაციას მედიასივრცეში ვერ ახერხებენ. „იმედი“ დაბალანსებულად და აკადემიურად მუშაობს. ეს იგრძნეს და „იმედის“ ჟურნალისტებს აგრესიულად, ზოგ შემთხვევაში, ძალადობრივად ექცევიან. „საზმაუსთან“ მივარდნა კი ძველი კლასიკური სქემის ნაწილი იყო: ადრე მიღებული იყო, რომ ტელეგრაფს, „ვაგზალს“ და მთავრობის სახლს თუ აიღებდი, ხელისუფლება შენი იყო. ამ სქემით იმოქმედეს, შეცვივდნენ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“, ხელში ჩაიგდეს ეთერი და ისეთები ილაპარაკეს, რომ უცხოური მართვის ცენტრიდან აუცილებლად საყვედურს მიიღებდნენ. განსაკუთრებული „შედევრი“ ბატონი სავანელი იყო, რომელიც გარეგნულად სალვადორ დალის ნახატს ჰგავს, ხოლო შინაგანად დემონთა შორის უარესს.




ხელისუფლების ვერტიკალის ჩამოშლას დიდი ძალისხმევა მოანდომეს და აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. სამსახურებში მიდიოდა ხალხის ბულინგი, დამუნათება, დარცხვენა, ლანძღვა. შედეგი: 420 000 საჯარო მოსამსახურისგან 1200-მა მოაწერა პროტესტს ხელი. თბილისის მერიის სტრუქტურებში 32 000 ადამიანი მუშაობს და ხელმოწერა 259 კაცმა „იჩქარა“. ამ ხალხს ახლა დიდი რაოდენობით ადრენალინი გამოეყოფა გამოცხადებული რეორგანიზაციის მოლოდინში და ისინი „სიტყვა და საქმეში“ ვაკანსიის განცხადებებს უკვე ეძებენ.

საზოგადოებრივი აზრის ლიდერების ნაწილში, ძირითადად, ჰუმანიტარული მიმართულების სასარგებლო იდიოტები გამოიყვანეს. 100-მდე დანიშნული პოეტი, მწერალი.... თვალშისაცემი იყო სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის, ზურაბ ხონელიძის მოწოდება სტუდენტებისადმი, რომ „სახლში დარჩენა დანაშაულია“ და ამირან გამყრელიძის ოდა ამერიკის მიმართ, რომელმაც მიმოიხილა ჯანდაცვის სფეროში უცხოეთთან თანამშრომლობის ასპექტები, მაგრამ იმავე უცხოეთის ფარმაკოლოგიური კომპანიების მიერ ქართველი ხალხისგან ამოღებული მილიარდების შესახებ მორცხვად დუმილი ამჯობინა. ასევე დუმს პატივცემული ექსპერიმენტული პრეპარატების კლინიკური ცდების შესახებ, რომელიც უცხოურ ფარმაკოლოგიურ კომპანიას ერთ ექსპერიმენტულ პაციენტზე 40 000 დოლარი დაუჯდებოდა წამლის გამოცდა, მაგალითად, ამერიკაში რომ გაეკეთებინა. სპორტსმენებს რაც შეეხება, ჩვენ ისინი გვიყვარს და ვგულშემატკივრობთ, მაგრამ მათგან პოლიტიკასა თუ გეოპოლიტიკაზე მოსაზრებების მოსმენა საინტერესო არ არის, რადგან ისინი ამაში ისე ერკვევიან, როგორც მე და თქვენ ტაილანდური ენის გრამატიკაში. ამიტომ, ეს მათ მსუბუქად გავუტაროთ და სპორტულ ასპარეზზე კვლავ მხარი დავუჭიროთ, სადაც ჩაუქნი არიან.

**– ახლა, მაგალითად, გიორგი ვაშაძე გამოვიდა განცხადებით, რომ მათი მთავარი სამიზნე არის პოლიცია და „მათ რყევაზე არის დამოკიდებული ამ ქვეყნის ხსნა“ და, ფაქტობრივად, სამართალდამცველებს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა...**

- ვერც ძალოვანი სტრუქტურების დემორალიზაცია და გამოფიტვა მოხერხდება. დიდი ალბათობით, თავდაცვის სამინისტროდან ორმოცამდე სამოქალაქო თანამშრომელი შეუერთდება შრომით ბაზარს, ხოლო შსს-იდან ორი ჯეელი უკვე ეძებს სამსახურს. ვფიქრობ, რომ ქართულ ძალოვან სტრუქტურებს უკვე შეუძლიათ ევროპელ კოლეგებს საპროტესტო გამოსვლების მართვის კურსის მასტერკლასები ჩაუტარონ კომერციულ საფუძველზე. ევროპულ ქვეყნებში ისე მშვიდობიან აქციებსაც ვერ მართავენ, როგორ ქართულმა სამართალდამცავმა სისტემამ ძალადობ-

11 გვ. →

# ზურაბიშვილს ვეკითხები: მილიონ ასოცი ათასი ამომრჩევლის ხმა ლეგიტიმაციას არ ნიშნავს?!



*გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი*

**— ბატონო მერაბ, განათლების სისტემა რომ სავალალო მდგომარეობაშია, ეს დღევანდელმა მოვლენებმაც ცხადჰყო. რას გვეტყვით სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაფიცვაზე?**

— განათლების სისტემაში არსებული პრობლემები ახალი არ არის. დღევანდელმა ვითარებამ პროცესები გაალღვივა და ყველაფერი ზედაპირზე ამოატივტივა. ეს რომ არ გამომჟღავნებულიყო, საქართველოს განათლების სისტემა უკვე უფსკრულისკენ მიდიოდა. ქვეყნის მომავალი განვითარება განათლებაზეა დამოკიდებული. მიმდინარე პროცესებმა დაგვანახა ის მცდარი იდეოლოგია, რითაც უნივერსიტეტებში ჩაბუდებული პროფესორ-მასწავლებლები (ნაცების ყოფილი მაღალჩინოსნები) სტუდენტებს კვებავენ. სახელმწიფომ ევროპაში ინტეგრაციას ბოლო დროს დიდი ყურადღება დაუთმო, ხან 12-პუნქტიანი დავალების შესრულება მოგვთხოვეს, ხან — 9 და სხვა მნიშვნელოვან სფეროებზე ყურადღება მინელდა. იმედია, განათლების სისტემის კუთხით კურსი შეიცვლება და ეროვნულ რელსებზე გადავალთ. ჩვენ ეროვნულ საფუძვლებზე დაყრდნობით პატრიოტულად მოაზროვნე ქართველი ერი უნდა გავზარდოთ, რომლის საძირკველი, ამოსავალი წერტილი სწორედ ქართული განათლება, პატრიოტიზმი და, რაც მთავარია, ენა, მამული სარწმუნოება უნდა იყოს. განათლებაში ჩანერგილმა იდეოლოგიამ ის შედეგი გამოიღო, რასაც ახლა ვიმკით. ეს იცით, რას ჰგავს? — ადამიანს შიგნიდან დაბუდებული დაავადება გარეთ გამონაყარის სახით რომ გამოუვლინდება, რასაც მკურნალობა სჭირდება. მთავარია, რომ პრობლემა დროულად გამოაშკარავდა. ვიმეორებ, ახლა მთავარი სწორი საგანმანათლებლო კურსის აღებაა.

**— სტუდენტებისა და პროფესორების ქუჩაში გასვლის მიზეზი, როგორც თავად ამბობენ, ხელისუფლების მიერ ევროპული გზის ჩაკეტვა გახდა...**

— სინამდვილეში, მათი პროტესტის მიზეზი საფუძველს მოკლებულია. არც ცდილობენ, გაიგონ, რომ მათი აღქმები მცდარია. ყალბ იდეოლოგიაზე დაფუძნებულმა სწავლებამ ის მოიტანა, რომ, რაც ჭეშმარიტება არ არის, ჭეშმარიტებად ირწმუნეს. როცა მთავარი ფასეულობები წაშლილია, როცა მათთვის დედა ნომერ პირველი მშობელია და მამა — ნომერ მეორე, იგნორირებულია ქართული ტრადიციები, ეროვნულობა, კულტურა, მაშინ ის სიცრუე, რასაც მათ თავში უჭედავენ, ადვილი დასაჯერებელია. ამის მიზეზი სწორედ ეს გაუკუღმართებული, ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი განათლებაა. ჩემს ბავშვობაში, საბჭოთა კავშირის პერიოდში სკოლაში ინგლისურსაც ვსწავლობდით, ფრანგულსაც, საქართველოს და მსოფლიოს ისტორიასაც, რაც ჩვენს ეროვნულობასთან, კულტურასთან, წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან შერწყმული იყო. ახლანდელი ახალგაზრდები კი ეროვნულ ფესვებზე დაფუძნებულ განათლებას მოკლებულნი არიან და შედეგიც სახეზეა.

**— სალომე ზურაბიშვილმა გაფიცვისკენ სკოლის მოსწავლეებს მოუწოდა — სწავლას თავი დაანებეთ და გარეთ გამოდითო...**

— ეს კატასტროფაა, არც კი ვიცი, ამ უმსგავსობაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო. ეს, პირველ რიგში, ქვეყნსადმი მის არასახელმწიფოებრივ, არაქართულ, არაადამიანურ მიდგომაზე მიუთითებს. წარმოუდგენელია, ასე მოექცე იმ ხალხს და ქვეყანას, რომელმაც პრეზიდენტობა გიბოძა. ზურაბიშვილი საქართველოს ისტორიაში შავ ლაქად შევა. მას ლიდერობა არ ეთმობა. სააკაშვილსაც სწორედ იმიტომ არ იწყალებს, რომ „დიდების“ კვარცხლბეკიდან არ ჩამოვარდეს. დიახ, იგი დომინანტის როლის მორგებას ცდილობს — ამისთვის საჭიროა, მიშა ციხეში დარჩეს. ზურაბიშვილი აცხადებს, არსად მივდივარ, ერთადერთი ლეგიტიმური ინსტიტუტი ვარო, მომიტინგეებსაც ამაში არწმუნებს. ამით ხომ დაპირისპირების კერას ქმნის. გაიძახის,პარლამენტი, პრემიერი — კობახიძე, ახალარჩეული პრეზიდენტი ყაველაშვილი, ყველანი არალეგიტიმურები არიანო. თურმე, მილიონ ასოცი თასი ამომრჩევლის ხმა ლეგიტიმაციას არ ნიშნავს! ქვეყნის უმრავლესობის არჩევანის იგნორირებით, ზურაბიშვილის გარშემო საგანგებოდ დარაზმული მზაკვარი ოპოზიცია ცდილობს, არეულობა მოაწყოს და სახელმწიფოებრიობა ჩამოშალოს. თავად ზურაბიშვილი ცდილობს, თავი ერთადერთ ლეგიტიმურ ინსტიტუტად გაასაღოს, მათ შორის, დასავლეთის თვალშიც, შედეგად, ხალხი დარაზმოს, პრეზიდენტის სასახლიდან არ გამოვიდეს და ამით დაპირისპირების პროვოცირება მოახდინოს. ხელისუფლებამ კანონის ფარგლებში უნდა იმოქმედოს და ვადის ამოწურვის მერე სასახლიდან მისი გაყვანა უზრუნველყოს. სულხან-საბა ორბელიანის იგავი ხომ გახსოვთ, „მაოხრებელი მკვდარი“. ზურაბიშვილიც იმ სოფლის გზირივით არის.

**— ზურაბიშვილმა განაცხადა, ორ კვირაში ახალ არჩევნებს დავნიშნავო. მგონი, ვერ იაზრებს, რომ ამ დროისთვის, მას ფუნქცია აღარ ექნება...**

— რა არჩევნებს დანიშნავს, ახალ ცესკო-ს შექმნის, თუ მილიონ ასოცი ათას ადამიანს ახალ ბიულეტენებს გამოგვიგზავნის?! 26 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ მილიონ ასოცი ათასმა ამომრჩეველმა მისცა ხმა, მაგრამ ახლა ხელახალი არჩევნები რომ ჩატარდეს, ოპოზიცია იმდენად ამაზრზენად იქცევა, რომ მმართველ ძალას მხარს მილიონ ოთხასი ათასი და კიდევ მეტი ადამიანი დაუჭერს. ყველა ხედავს, რომ ეს ოპოზიცია მტარვალი, ქვეყნის დამაქცევარია, რომელიც საქართველოსთვის მხოლოდ ზიანის მიყენებაზე ფიქრობს. ამათ ჭკუათმყოფელი ვინ აირჩევს. როგორც ჩანს, სალომე ორხელისუფლებიანობის დამკვიდრებას ცდილობს. ან იქნებ, თავისი გადადგმული ნაბიჯებით, ამ სისულელეების გაცხადებით, ჰგონია, რომ საფრანგეთიდან დაურეკავენ და მსუყე თანამდებობას შესთავაზებენ. იქნებ, ამ პროცესს ბიზნესის კუთხითაც უყურებს და ქვეყნის არევისთვის ფულად ჯილდოს ელის.

**— რამდენიმე დღის წინ საქართველოს, ევროპარლამენტარების ექვსკაციანი დელეგაცია ესტუმრა. ოპოზიციამ მათ შეხვედრაზე მოსთხოვა: თუ უნგრეთი ვიზალიბერალიზაციას ვეტოს დაადებს, თქვენ ბალტიის ქვეყნების მსგავსად, ცალ-ცალკე დაგვასანქცირეთო...**

— დიახ, მათ არაფრის რცხვენიათ, მეტიც, ამ ევროპარლამენტარებს მოახსენეს, ხელისუფლება მშვიდობიან მომიტინგეებს უსწორდებაო. გარდა ამისა, განაცხადეს, კი ბატონო, რეზოლუციებს რომ იღებთ, მადლობლები ვართ, მაგრამ სანქციები დროულად დააწესეთო. რა უნდა ვთქვა ამაზე, გარდა იმისა, რომ ქვეყნის ღალატის გამოხატული მაგალითია. აქვე გეტყვით, რომ ევროკავშირი არ არის ის გაერთიანება, საითკენაც დიდი ოპტიმიზმით უნდა მივილტვოდეთ. ევროკავშირში დაბუდებული მარგინალური ძალები ცდილობენ, მსოფლიო მართონ. თუმცა ახლა მათ თავზე ტრამპი დამოკლეს მახვილივით ჩამოეკიდა. ამიტომ მაქსიმალურად ცდილობენ, მას გაპრეზიდენტებამდე უზარმაზარი პრობლემები დაახვედრონ, ტრამპის მახვილს პირი მოუცვდეს და მან ვერ შეძლოს იმ გეგმების განხორციელება, რის გამოც ამერიკელებმა მხარი დაუჭირეს. ამ გეგმის ერთი ნაწილი ჩვენც ვართ.



ევროკავშირსა და ტრამპს შორის იდუმალი პოლიტიკური გლობალური ბრძოლა მიდის. ევროპარლამენტარების გეგმა შემდეგია: უკრაინაში ომი გახანგრძლივდეს, საქართველოში კი ვითარება უფრო გამწვავდეს. ჩვენი ქვეყანა დიდი წნეხის ქვეშ არის. დარწმუნებული ვარ, ამ რთულ პროცესებს საქართველოს ხელისუფლება თავს გაართმევს. დალხინების საფუძველი არ გვაქვს, თუმცა ჩვენ გაუტეხელი ხელისუფლება გვყავს და მჯერა, მილიონ ასოცი ათას ამომრჩეველთან ერთად, სამშვიდობოს იოლად გავა.

**— როგორ ფიქრობთ, რა განვითარება შეიძლება მოჰყვეს ჩვენთან მიმდინარე აქციებს?**

— ჩვენ ეს პროცესები 90-იან წლებში უკვე გავიარეთ და იმდენად დიდი გამოცდილება მივიღეთ, იგივეს გამეორებას არც ქართველი ხალხი დაუშვებს და მით უმეტეს, არც ხელისუფლება. მაშინ სტუდენტი ვიყავი, ბევრი რამ არ მესმოდა და ახლა ვნანობ, ნეიტრალური პოზიცია რომ მეჭირა და სამოქალაქო დაპირისპირების ინიციატორების წინააღმდეგ ხმა არ ავიმაღლე. ლეგიტიმური ხელისუფლება დაამხეს და მას მერე ერთსა და იმავე წრეზე ვტრიალებთ. 90-იან წლებში მომხდარი პროცესების გამეორება ქვეყნის დასამარების ტოლფასი იქნება, რასაც ვერ დავუშვებთ. აი, რისი მიღწევა სურს დასავლეთს და მის მონამორჩილ ოპოზიციას. წარმოიდგინეთ, რა მოხდება ხელისუფლებამ სისუსტე რომ გამოიჩინოს და უკან დაიხიოს — ხალხი გარეთ გამოვარდება, პროცესები უმართავი გახდება და სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზრდება.

უკრაინის მაიდანს რაც შეეხება, იქ სამოქალაქო დაპირისპირება არ მომხდარა — იანუკოვიჩი გააგდეს და არჩევნების შედეგად სათავეში ზელენსკი მოვიდა. საქართველოში საშინელება დატრიალდება — ქრისტესგამოსახულებიანი სასახლის დამწველებს, მჩხიბავებს, ტვინგამორეცხილ ადამიანებს, თავი ლიდერები რომ ჰგონიათ, მთავრობაში ვინ მოუშვებს?! ჩემზე უკეთ შესაძლო შედეგები ხელისუფლებას აქვს გათვლილი და მჯერა, ამ ეტაპს მშვიდობიანად გავივლით. 90-იან წლებში დაშვებული შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ. სისხლისღვრა, დაპირისპირება არ უნდა განმეორდეს. ვიმეორებ, ე. წ. ოპოზიციას ხელისუფლებაში არავინ მოუშვებს. ეს რომ მოხდეს, ხალხი სახლში აღარ გაჩერდება. პირადად მე, თუ დავინახე, რომ ქვეყანას ვკარგავთ, ველარ გავჩუმდები, ქუჩაში გავალ და თავს შევწირავ, რადგან ამ მტარვალების დაბრუნების შემთხვევაში ქვეყნის, მომავალი თაობის გადარჩენის კონტურებს ველარ ვხედავ.



**— ოპოზიცია განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს, ყველას მონებს, რუსებს ეძახის...**

— ეს საშიში თემაა. საზოგადოებაში დაძაბულობის კერები გაჩნდა, რაც არ უნდა გამწვავდეს. მეტი მოთმინება გვმართებს. თუ ჩვენი ქვეყანა, უფალი ჭეშმარიტად გვიყვარს, სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ.

ორიოდ დღის წინ გორგი გაბუნიამ „მთავარი არხის“ დახურვის საფრთხეზე ისაუბრა. მინდა გითხრათ, რომ ესეც მაიდანიზაციის ერთ-ერთი გაწერილი გეგმაა, რათა მერე სათავისოდ გამოიყენონ და ყვირილი ატეხონ: ხელისუფლებამ თავისუფალი, დამოუკიდებელი ტელევიზიები დახურაო. რეალურად, მოდავე ზაზა ოქუაშვილია. აქ ხელისუფლება არაფერ შუაშია. მე თუ მკითხავთ, „ფორმულადან“ და „მთავარი არხიდანაც“ ტყუილის, ცილისწამების, არაპროფესიონალიზმის ისეთი ღვარცოფი მოედინება, ეს ტელევიზიები ადრეც უნდა დახურულიყო.

**თამარ შველიძე**

# იწყება ომი – ყველა ყველას წინააღმდეგ, რაც გლობალურ დაპირისპირებას გამოიწვევს



*გვესაუბრება ისტორიკოსი, ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე*

**— ბატონო სოსო, ბაშარ ალ ასადის რეჟიმი დაემხო. ამბობენ, სირია რუსეთს ხელიდან გამოეცალაო. როგორ ხედავთ მოვლენების განვითარებას?**

— ბევრს, რატომღაც, ჰგონია, რომ სირიაში ცენტრალური მოთამაშე რუსეთი იყო. სინამდვილეში, ასე არ არის. ბაშარ ალ ასადზე, ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზე გაცილებით დიდი გავლენა ირანელებს ჰქონდათ, ვიდრე რუსებს. ასადის რეჟიმმა სირიისთვის ახალი პარადიგმის შეთავაზება ვერ მოახერხა. ბაშარი ამბობდა, რომ სირია ყველასთვის იქნებოდა, მაგრამ „ახალი სირიის" იდეის განხორციელება არ მოხდა. თავი იჩინა მთელმა რიგმა საკითხებმა. ჰაფეზ ასადის დროს სირია დაყოფლი იყო. ის კონფესიური სახელმწიფოა. ალავიტები 90-იან წლებში ირანელებმა შიიტებად ცნეს. მანამდე მათ სექტანტებად მიიჩნევდნენ. ალავიტები ძალოვან სტრუქტურებს აკონტროლებდნენ. გარდა ამისა, იქ არიან ლიბანელი ქრისტიანები მარონიტები, დრუზები, ქურთები. ეს ძალიან რთულად შედგენილი სახელმწიფოა. აღსანიშნავია, რომ სირიას, თავის დროზე, ძალიან ძლიერი არმია ჰყავდა. როდესაც ბაშარ ალ ასადმა პრივატიზაციის პროცესი დაიწყო, შიდა მოწყობის ეს პრინციპი დაირღვა და ალავიტმა ძალოვნებმა ბიზნესის კონტროლი დაიწყეს, რასაც გარკვეული შიდა უკმაყოფილება მოჰყვა. თუმცა „არაბული გაზაფხულის" დროს ამ ყველაფერს გარე ფაქტორები დაემატა, ვინაიდან სირიის მიმართ, რომლის ცენტრალური ქვეყანაა ე. წ. შამა, რომელიც სირიისა და ერაყის ნაწილია, დიდი ინტერესები ჰქონდა თურქეთს, რომელსაც იმპერიული, ფანტომური ტკივილები აწუხებს. სირიის მიმართ, ასევე, ყოველთვის დიდი ინტერესები ჰქონდა ისრაელს და ირანს.

როცა სირიის სამოქალაქო ომი დაიწყო, ასადის რეჟიმი, ფაქტობრივად, განწირული იყო, რუსეთი და „ჰეზბოლა", ანუ ლიბანში განთავსებული შეიარაღებული დაჯგუფება რომ არ ჩარეულიყო. ლიბანის რევოლუციური გუშაგების კორპუსმა ასადის რეჟიმის შენარჩუნებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. ამის მერე ასადს შიდა კონსენსუსის მისაღწევად არაფერი გაუკეთებია. სირიის არმია დღითიდღე სუსტდებოდა, კორუფცია კი უფრო და უფრო უმართავი ხდებოდა. შედეგად მივიღეთ ის, რომ ასადის რეჟიმი თორმეტ დღეში დაემხო. სირიაში, ასადის გაქცევის შემდეგ, ხელისუფლებაში ადრე ყველასგან ტერორისტულ დაჯგუფებებად ცნობილი პროთურქული „ჰაიათ თაჰრირ ალ შამი" და „ჯაბჰათ ალ ნუსრა" მოვიდნენ. ამას მოჰყვა ის, რომ დღეს ნეთანიაჰუ გოლანის მაღლობებიდან სირიას კმაყოფილი გადაჰყურებს. ისრაელის არმია გოლანის მაღლობებზე გადავიდა და სირიის ტერიტორიაზე კონტროლის ზონა გააფართოვა, ის დამასკოს ოც კილომეტრზე მიუახლოვდა.

თურქეთის პროქსიძალებმა ალეპო აიღეს. ჩრდილოეთ სირიას თურქეთი აკონტროლებს. ამერიკელები ქურთებით დასახლებულ რეგიონებში გამაგრდნენ. რუსები ტარტუსსა და ხმეიმიმში მოვლენების განვითარებას ელიან. დაიწყო დამასკოს, ჰომსის, ჰამასა და სხვა ქალაქების ძარცვა. ისლამისტი მებრძოლები ტყვე ქალებისგან ჰარამხანებს ქმნიან. ალავიტები, დრუზები და ქრისტიანები გენოციდის საფრთხის ქვეშ არიან. აშკარაა, სირია ძველი სახით ვეღარ იარსებებს და იწყება ომი ყველა ყველას წინააღმდეგ, რაც გლობალურ დაპირისპირებას გამოიწვევს. ეს მოვლენები მსოფლიო მედიის მიერ არ ტირაჟირდება, რადგან არ აწყობთ. რაც შეეხება ლატაკიას, ანუ ე. წ. სასარგებლო სირიას, ეს ზღვისპირა ქალაქია, სადაც რუსული ბაზები მდებარეობს და ალავიტები ცხოვრობენ. ამჟამად უცნობია, როგორ განვითარდება იქ მოვლენები. დიდი ალბათობით, შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყება. იქ, ძირითადად, ალავიტური და ქრისტიანული მოსახლეობა ცხოვრობს და რას გამოიწვევს ისლამისტებსა და მათ შორის შეტაკებები, ჯერ არ ვიცით.

რუსებმა, თავის მხრივ, ასადი დიდი ქონებითა და ოჯახით შეიფარეს. ამავე დროს, კავკასიური წარმომავლობის ოჯახები წერენ ვიდეოებს, რომ ისინი მალე კავკასიაში დაბრუნდებიან და ქართველ ხალხს თავსუფლებისთვის ბრძოლაში „დაეხმარებიან" და რომ საქართველო ჩრდილოეთ კავკასიის რუსეთისგან გათავისუფლებისთვის პლაცდარმი უნდა გახდეს. ამას ჩვენი ზოგიერთი ბრიყვი თანამემამულე მხარს უჭერს ისე, რომ წარმოდგენაც არ აქვს, ყოველივე რას გამოიწვევს ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობისთვის. აი, ასეთი მძიმე ვითარებაა, რამაც შესაძლოა, დიდი გეოპოლიტიკური ძვრები გამოიწვიოს.

**— გეოპოლიტიკურ ძვრებში რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ შემდეგს: ირანმა უსასტიკესი მარცხი განიცადა. ფაქტობრივად, მისი ე .წ. წინააღმდეგობის ღერძი გაწყდა. „ჰეზბოლა" ლიბანში უპატრონოდ დარჩა. სირიაში მისი მხარდამჭერი ალავიტური მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაშია, მან ევაკუაცია თავად განახორციელა და არავინ მალავს, რომ ირანი ერთ-ერთი შემდგომი სამიზნეა. რაც შეეხება ისრაელს, მან სირია, როგორც მოწინააღმდეგე, სერიოზული არმიის მქონე სახელმწიფო, თავიდან მოიცილა. მისი პოტენციალი ისე გაანადგურა, რომ რაიმე ტიპის სერიოზული არმიის შექმნას წლები დასჭირდება. ამაში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმებიან შეიარაღებული მებრძოლები. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სირიას სერიოზული არმია ჰყავდა. ისრაელმა სირიის საჰაერო ძალები, ფლოტი გაანადგურა და გოლანის სიმაღლეების პრობლემა, რაც მას მუდმივად აწუხებდა, გადაწყვიტა. საინტერესოა ისიც, რომ ერთ-ერთ პროვინციაში, სადაც დრუზები ცხოვრობენ, ისრაელმა შეიძლება ჯარები შეიყვანოს. მას დრუზებთან განსაკუთრებული ურთიერთობები აქვს. ცხადია, ამას მოჰყვება ის, რომ ისრაელი აისრულებს ოცნებას „დიდი ისრაელის" თაობაზე, რაც დამალული არავისგან არის. ეს მთლიანი ღაზას სექტორის „ეთნიკური წმენდა" იქნება, რასაც გოლანის სიმაღლეებისა და სირიის ნაწილის კონტროლი მოჰყვება. აი, ეს არის ისრაელის ოცნება.

აქვე კიდევ ერთი ნიუანსი არსებობს — ახალი ახლო აღმოსავლეთისა და შუა აღმოსავლეთის სქემა, თუ როგორ ხედავენ ამერიკელები უკეთეს ახლო აღმოსავლეთს. ბრძოლა სწორედ ამ გადაფორმატებისთვის მიმდინარეობს. თურქები, რომელთაც მის ტერიტორიაზე, ცხადია, დიდი ქურთისტანის აღმოცენება არ ხიბლავთ, შეიძლება დასავლეთთან გარკვეულ შუალედურ ვაჭრობას აწარმოებდნენ იმისთვის, რომ ამ გეგმების იმპლემენტაცია არ მოხდეს. ცხადია, რუსეთისთვის ეს ძალიან მძიმე სცენარი და მარცხია. თუმცა, დეზინფორმაციაა, თითქოს თურქეთი ხმელთაშუა ზღვაში რუსულ ხომალდებს არ უშვებს. რუსეთი, ამ შემთხვევაში, აბუ-მოჰამად ალ-ჯოლანის დე ფაქტო ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აწარმოებს. ის ფაქტი, რომ თითქოს ჯოლანის ხელისუფლება რუსულ ბაზებზე შტურმის დაწყებას აპირებდა, ჯერჯერობით არ დასტურდება, თუმცა გამორიცხულიც არაფერია. ეს ვითარებაა სირიაში.





აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მაგალითად, ჯოლანს, აშშ-სთან საკმაოდ საეჭვო ლინკები აქვს. იგი ხუთი წელი ამერიკულ ციხეში იჯდა, გამოვიდა და უეცრად უამრავი ფული აღმოაჩნდა, თან, ლიდერი გახდა. აქედან გამომდინარე, ასეთი დაჯგუფებების კონტროლი, როდესაც ისინი დაფინანსების სხვა წყაროებს მოიპოვებენ, ძალიან ძნელია. როგორც წესი, ჩვენ იგივე „ალ ქაიდას" შემთხვევიდან ვიცით, რომ ასეთი დაჯგუფებები მერე თავიანთ დამფინანსებლებს და შემქმნელებს ცუდად შემოუტრიალდებიან ხოლმე. იგივე მდგომარეობაა „ჰამასთან" დაკავშირებითაც. მოგეხსენებათ, რომ „ჰამასი" სწორედ ისრაელის სპეცსამსახურების შექმნილია. იმავე ითქმის „ისლამურ სახელმწიფოზეც", რომლის შექმნაში ტრამპმა ბრალი ბარაკ ობამას დასდო და არცთუ უსაფუძვლოდ. იგივე მოხდება ახლაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სირიაში თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, დიდი ალბათობით დაიწყება ყველას ომი ყველას წინააღმდეგ და სირია, ისედაც იყო, მაგრამ ახლა მთელი ახლო აღმოსავლეთისთვის დესტაბილიზაციის წყაროდ გადაიქცევა. იმიტომ, რომ მებრძოლების ის რაოდენობა, რომლებიც ამ პროცესებში არიან ჩართული, ელემენტარულად, მათ სჭირდებათ ფინანსები, არსებობა, საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილება. ასეთი მოვლენების შემდეგ გარდაუვალი პროცესია ხოლმე დიდი სისხლისღვრა და უბედურება. მთავარია, ეს ყველაფერი ჩვენზე არ გადმოვიდეს. თუმცა, ამის ნიშნებს საქართველოში დღევანდელი პროცესების გათვალისწინებით, ვერ ვხედავ.

**— საქართველოსთან მიმართებით გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ამ პროცესების გეოპოლიტიკური კონტექსტის გარეშე განხილვა არ შეიძლება. საქართველოს ორი პერსპექტივა აქვს: ერთი, ეს არის, იყოს თანამშრომლობის ადგილი და დიდი ტრანზიტის არე. ჩვენი მდებარეობა ეს არის ძაბრის ყელი თორმეტი ქვეყნისთვის დიდ სივრცეში გასასვლელად. მოგეხსენებათ, შავი ზღვა სტრატეგულად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ზღვაა დედამიწაზე. და მეორე პერსპექტივაა, რომ საქართველო ევრაზიაში ამ ინტეგრაციული პროექტების ბლოკატორად, ჩრდილოეთ კავკასიის პარტიზანული ომების არეალად და ზოგადად, რეგიონის აფეთქების დეტონატორად გადაიქცეს. აი, ეს ორი პერსპექტივა გვაქვს. თუ რომელი სცენარი განვითარდება, ეს მეტწილად შიდა სტაბილურობაზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს, რა შეიძლება მოხდეს და სწორედ ამ ნგრევის იმპულსებს ექვემდებარება. ჩვენზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

მთავარია, მაიდნის სცენარი არ განვითარდეს და პროცესი შეიარაღებულ დაპირსპირებამდე არ მივიდეს. თორემ, უკრაინა და სირია მონაგონი იქნება, ისეთი რაღაცები შეიძლება მოხდეს საქართველოში, ჩვენი რესურსებისა და ტერიტორიული მდებარეობის გათვალისწინებით. ამიტომ ეს სცენარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვითარდეს. ხელისუფლებამ ძალადობა და პროტესტის თავის ნებაზე მიშვება არ უნდა დაუშვას. ეს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. მომიტინგეების მხრიდან პასუხისმგებლობის შეგრძნებას ვერ ვატყობ. ისინი ამ სისულელის — ევროპაში მოსვლისა და წასვლის ნარატივში არიან.

**თამარ შველიძე**

# საკუთარი თავის გარდა, ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს

8 გვ.

რივი ხასიათის აქციები მართა. ცხადია, იყო რამდენიმე დასანანი ინციდენტი, რომელიც გაირჩევა სამართლებრივად. საქართველოს სპეცსამსახურებმა კი, ბრძოლაში, რომელიც ფართო მასებისთვის ხილული არ იყო, ხუთი ქვეყნის სპეცსამსახურს აჯობეს.

გარდა ამისა, რადიკალებს ქვეყნის გარეთ თითქოს სრულმასშტაბიანი მხარდაჭერა აქვთ, მაგრამ არა - აბსოლუტური. გამოირჩევა ეუთო-ოდირის, ორბანის, ლუქსემბურგის, სლოვაკეთის, იტალიის, ბულგარეთის პოზიციები, რაც კონსენსუსს ხელს უშლის. ბოლომდე უცნობია, ასევე, ტრამპის გუნდის პოზიცია, თუმცა ის ფაქტი, რომ პოზიცია უცნობია, უკვე საინტერესოა.

რაც შეეხება „საკრალურ მსხვერპლს", ესკალაციისთვის ეს აუცილებელია. ამაზე წამსვლელები არიან. ჩვენ ვნახეთ ვიდეოჩანაწერები, სადაც აქციის არა რიგითი წევრები ამ უკიდურეს ზომებზე მსჯელობენ. თუმცა აქაც მთავარი მომენტი ის არის, რომ თუ ვინმეს მოკლავენ თავიანთ რიგებში, 100%-ით სახელმწიფოს უნდა დაბრალდეს, რის ორგანიზებაც მარტივი არ არის!

ასე რომ, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ჩავარდა. შესაბამისად, ამ ეტაპზე საქართველოს ომში ჩათრევის სცენარიც ჩაიშალა. უცხო ქვეყნების გადასახადის გადამხდელთა ფული უმიზნოდ დაიხარჯა. აქციები უკვე ინერციით მიმდინარეობს და მუხტი იკლებს, ქალაქის მოსახლეობა გაწამებულია ამათი ხლისტებივით სიარულით და ქუჩების გადაკეტვით. თანაც ბოლო დღეებია, მათში სულ რაღაც 1500-2000 კაცი მონაწილეობს, რომლებსაც ყოფენ 200-300-კაციან ჯგუფებად და განსაზღვრული მარშრუტით ატარებენ მთელ ქალაქში, ილუზიის შესაქმნელად, რომ თითქოს ყველგან არიან. სავარაუდოდ, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე კიდევ შეეცდებიან გაფაფხურებას, მაგრამ ეს უკვე „მომაკვდავის რეფლექსიები" იქნება. ჩვენ შევდივართ ახალ პოლიტიკურ რეალობაში, სადაც ქართულ სახელმწიფოს გაცილებით მეტი სუვერენიტეტი ექნება, სადაც ჩნდება ახალი „ქართული პროექტის" დაწყების შანსი. შესაძლოა, ურჩობისა და საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვის გამო, სხვადასხვა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სადამსჯელო ქმედება განხორციელდეს, მაგრამ ეს არაფერი იქნება იმასთან შედარებით, რაც გადატრიალების მცდელობის წარმატებით დასრულების შემთხვევაში გველოდა.

**- ირაკლი, კონკრეტულად რა შანსი აქვს ამ პატარა ქვეყანას იმისა, რომ სუვერენიტეტის დაცვის ეგიდით, გვერდით ასეთი გაღიზიანებული პარტნიორები ჰყავდეს და მაინც ვითარდებოდეს, როგორც სუვერენული, ყველასგან დამოუკიდებელი სახელმწიფო?**

- სამი წლის წინ, მაგალითად, 2021 წელს, არანაირი შანსი არ გვქონდა, მაგრამ 2022 წლიდან მსოფლიო გეოპოლიტიკური ვითარება შეიცვალა, ერთპოლუსიანი სამყარო დაინგრა და მივიღეთ მრავალპოლუსიანი სამყარო, რომელიც, სამომავლოდ, მხოლოდ გაძლიერდება. პატარა და საშუა-

13 გვ.

# ღირსება თუ მორჩილება?!

მოწოდებულ ინფორმაციაში გიზიარებთ იმას, რაც ჩანს და იმასაც, რაც არ ჩანს, ამიტომ წინასწარ გაფრთხილებთ „რაც არ ჩანს, ჩემი ვარაუდია".

...საპრეზიდენტო მარათონში ბაიდენს არაერთხელ უთქვამს, „ტრამპს სიბრძნით ვჯობივარო", მაგრამ დემოკრატებმა მისი კანდიდატურა უფრო ძლიერი კანდიდატით, ხარისხით შეცვალეს. მიუხედავად ამისა, ტრამპმა გაიმარჯვა და ინაუგურაციის შემდეგ დანაპირებების შესრულებას დაიწყებს. ერთ-ერთი დანაპირები უმოკლეს ვადაში უკრაინის ომის დასრულება იყო. იმ ომის უმოკლეს ვადაში დასრულება, რომელიც, ბაიდენის თქმით, ოთხი წელი უნდა გაგრძელებულიყო, ხელს შეუშლის საკუთარი გეგმების რეალიზებაში გავლენიანი ადამიანების კონკრეტულ ჯგუფს. ამ ჯგუფის გეგმებში შედის მთელ მსოფლიოში წესრიგის დამყარება და ამ წესრიგის კონტროლი. ადამიანთა ჯგუფისთვის ეს მძიმე ტვირთიც არის და უტოპიური იდეაც, ამიტომ მიზნის მისაღწევად აშშ-ს იყენებენ.







როგორ ახერხებენ ამას? იმ პოლიტიკური პარტიების მეშვეობით, რომლებსაც აფინანსებენ და ხელისუფლებაში მოჰყავთ. შედეგად, იღებენ მორჩილ პრეზიდენტს, კონგრესში კი კონგრესმენების მორჩილ უმრავლესობას, ანალოგიურად იქცევაინ ევროპაშიც, არ ერიდებიან ფერადი რევოლუციების მოწყობასაც.

ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში, კანადასა და ევროპაში ამ ჯგუფის მიერ კონტროლირებადი წესრიგი სწრაფად მყარდება, დანარჩენ მსოფლიოში კი — არა. საუბარია კონტროლირებად წესრიგზე ყველა მიმართულებით, მათ შორის, ტრანსგენდერიზაციის გზით მსოფლიოს მოსახლეობის გონივრულ რაოდენობამდე დაყვანაზეც და განსაკუთრებული წარმატება სწორედ ამ მიმართულებით იგრძნობა.

გავიხსენოთ პარიზის ოლიმპიადა, რომლის გახსნის ცერემონიის მაგივრად გეების აღლუმი ვიხილეთ. მსოფლიო ბევრად მეტია, ვიდრე ამერიკის ორი ქვეყანა და ევროპა. ასეთ წესრიგს დანარჩენი სახელმწიფოები არ იღებენ და სწორედ ამაზე მეტყველებს 11 სექტემბრის ტერაქტები. რა თქმა უნდა წესრიგის დამყარების იდეა კარგია, მაგრამ კარგია მაშინ, თუ დიდი და პატარა ერები ფუნდამენტურ ფასეულობებს ინარჩუნებენ, გეოპოლიტიკით და გეოეკონომიკით გადატვირთულ სამყაროში კი ეს შეუძლებელია, ამიტომ ჯერ მშვიდობის გარანტიები უნდა შეიქმნას მსოფლიოში, რაც არც ისე მარტივი საქმეა. მიუხედავად ამისა, ეს ჯგუფი აშშ-ის გამოყენებით დიდი ხანია, მუშაობს კონტროლირებადი წესრიგის დამყარებაზე და აქეთკენ მიმავალ გზაზე ხელისშემშლელ ფაქტორად ჯერ რუსეთს მიიჩნევს, მერე კი ჩინეთს. ამიტომ ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ რუსეთი უკრაინაში შეჭრილიყო და ომი დაეწყო. მათივე გათვლების თანახმად, ომი არ უნდა დასრულებულიყო ოთხ წელზე ადრე, რათა რუსეთი მაქსიმალურად დასუსტებულიყო. მაგრამ მოვიდა ტრამპი, რომლის ინაუგურაციის შემდეგ ამ გეგმის გაყინვა მოუწევთ მანამდე, სანამ კვლავ არ გააპრეზიდენტებენ მორჩილ ადამიანს, ისეთს, როგორიც ობამა იყო და ისეთს, ბაიდენი რომ არის. ამიტომ ბაიდენმა გადაწყვიტა, არ დაუშვას ინაუგურაცია, ან გაამწვავოს მდგომარეობა ყველგან, სადაც კი ამის საშუალება მიეცემა, მაგალითად, უკრაინასა და საქართველოში. ამ მიზნით, მან ნება დართო ზელენსკის, გამოიყენოს ამერიკული რაკეტები რუსეთის ტერიტორიაზე. თუ პუტინი ამით გამწარდება და კიევზე ბირთვულ იერიშს მიიტანს, ბაიდენი ატეხავს ბირთვული თავდასხმის საშიშროების ისტერიკას და აშშ-ის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს. ასეთ შემთხვევაში ინაუგურაცია გადაიდება საგანგებო სიტუაციის მოხსნამდე, პრეზიდენტობას განაგრძობს ბაიდენი, არჩეული პრეზიდენტი კი ხელოვნურად შექმნილ „აფსაიდში" აღმოჩნდება. თუ ამ გეგმამ არ იმუშავა, ბაიდენი ისეთ მემკვიდრეობას დაუტოვებს ტრამპს უკრაინაშიც და საქართველოშიც, რომ ახალ პრეზიდენტს დიდი დრო დასჭირდეს საქართველოში სიტუაციის დასალაგებლად, უკრაინაში კი ომის დასასრულებლად.

საქართველოში სიტუაცია უკვე არეულია და კიდევ უფრო აირევა „მეგობრების" ინიციატივით. ხელისუფლება, რომელიც წინა პლანზე საკუთარი ქვეყნის ინტერესებს აყენებს, არც ბაიდენის ამერიკას სჭირდება და არც ბაიდენის მიერ კონტროლირებად ევროპას. მათ მორჩილი ხელისუფლება სჭირდებათ იმ იმედით, რომ ტრამპის ინაუგურაციამდე მოახერხებენ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას. ამ ეტაპზე უკრაინასაც და საქართველოსაც უყურებენ როგორც პოლიგონს, სადაც უნდა იომოს და დასუსტდეს რუსეთი. უკრაინელებს და ქართველები კი „საზარბაზნე ხორცად" მიაჩნიათ. თუ არ ჩავთვლით ახალგაზრდებს, რომლებსაც გულწრფელად სჯერათ, რომ ხელისუფლებამ გააყალბა არჩევნები, უარი თქვა ევროინტეგრაციაზე და რუსულ ვექტორზე გადავიდა, ყველა დანარჩენმა, ოპოზიციის და დასავლური „მეგობრების" ჩათვლით, იციან, რომ ასე არ არის, მაგრამ ასე სჭირდებათ. რაც შეეხება ახალგაზრდებს, მათთან იდეალურად იმუშავეს უმაღლეს სასწავლებლებში და სკოლებში შესვლით, ამიტომაც დაარწმუნეს იმაში, რაც სიმართლისგან ძალიან შორს არის. პრემიერის და „ოცნების" სხვა ლიდერების ბრიფინგები თუ კომენტარები ახალგაზრდებამდე არ მიდის, ახალგაზრდებს იგივე გზით უნდა მიეწოდოს სიმართლე, რომლითაც ტყუილი მიასაღეს სიმართლედ, ანუ მათთან უმაღლეს სასწავლებლებში და სკოლებში მუშაობაა საჭირო. სწორედ ახალგაზრდები უნდა დაიყენოს გვერდში ხელისუფლებამ იმისთვის, რომ შეაწყვეტინოს „მეგობრებს" საქართველოს დასჯა იმ ორმაგი სტანდარტით, რომელსაც დემოკრატიად გვაწვდიან და რომელსაც დემოკრატიასთან არავითარი საერთო არ აქვს. ასეთი დასჯა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს. თუ ხელისუფლება გაუძლებს გამწვავებულ ზეწოლას, რომელსაც გარედან განახორციელებენ „მეგობრები", შიგნიდან კი გადატრიალების მსურველები, გაიმარჯვებს საქართველო და მას ბრწყინვალე მომავალი ექნება. თუ ვერ გაუძლებს, საქართველო გადაიქცევა დასახლებულ პუნქტად და მისი ახალი ხელისუფლება შეასრულებს ნებისმიერ დავალებას, რომელსაც მიიღებს „მეგობრებისგან", ნებისმიერს, რუსეთისთვის მეორე ფრონტის გახსნის ჩათვლით. ახლა მინდა ვუთხრა ახალგაზრდებს, რომ საქართველოს ორი შესაძლო მომავალი აქვს და ორივე მომავლისთვის მიმდინარეობს ბრძოლა, რომელშიც თქვენც ხართ ჩართულები და ვალდებულიც ხართ, იბრძოლოთ უკეთესი მომავლისთვის.

ამიტომ უნდა ჩამოყალიბდეთ, შესაძლო ორი მომავლისგან რომლისთვის გიღირთ ბრძოლა.

1. უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობის სწორად გამოყენებით მიღწეული ბრწყინვალე მომავლისთვის;

2. თუ უცხო ქვეყნის დავალებების შემსრულებელი ტრანსგენდერების მომავლისათვის.

და ბოლოს, ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ ევროკავშირის წევრობა ყველა იმ ამომრჩევლის სურვილია, ვინც 2024 წლის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. „ოცნება" უმტკიცებდა ამომრჩეველს, ევროკავშირში ქართული ღირსებით უნდა შევიდეთ, როგორც მათი თანასწორი და არა ყურმოჭრილი მონაო. ოპონენტები ეუბნებოდნენ ამომრჩეველს, „ევროპის ნაწილი რომ გავხდეთ, მათი მოთხოვნები უნდა შევასრულოთ, თუ რაიმეს მოგვთხოვენ, ჩვენდა სასიკეთოდ მოგვთხოვენო".

ამომრჩეველთა 54%-მა „ქართულ ოცნებას", ანუ ევროკავშირში ქართული ღირსებით შესვლას მისცა ხმა. თქვენ, ახალგაზრდებო, ხმის მიცემის უფლება რომ გქონოდათ, რას აირჩევდით — ღირსებას თუ მორჩილებას?

**როლანდ ნიკოლაიშვილი**

# ქათმის ფეხებიდან – ჩემ ფეხებამდე...



შსს-სთან მსოფლიო მნიშვნელობის თურქი ტოპმჩხიბავი რომ მიიყვანეს, რომელიც ქათმის ფეხებს ისროდა, ჯერ იმ ჯადოს ამოხსნის ინტერესმა მომკლა, მერე კი ჩემს ახლობლებსა და ჩემს კატას დავუწყე ამლაცერად ყურება, რადგან უამრავი ქათმის ფეხი აქვთ ნაჭამი...

ნელ-ნელა, აზრებში ჩამოვყალიბდი და მივხვდი, იმ ტოპმჩხიბავის ჯადომ რატომ არ გაჭრა და ყველაფერი პირუკუ რატომ შემოუბრუნდათ, — შვიდი ქათმის ფეხი უნდა ყოფილიყო!

საიდან ვიცი?

წყალქვეშა მეხანძრეობის კურსებზე რომ ვსწავლობდი, სამთოსაბალეტო ხელოვნების ლექციაზე თურქი ლექტორისგან ბევრი საინტერესო რამ გავიგე.

მაჯიდე ჰანიმმა გვითხრა: გონჯა ჰანიმის დიდი პაპა 1877-ში რუსეთ-თურქეთის ომის დროს ტყვედ ჩაიგდეს პეტკამ და ვანიამ, 5 წელი ტყვედ იყო ასტრახანში და იქიდან რომ დაბრუნდა, სულ გაიძახოდა, „ვონტკა მომიტანეთ, ვონტკა ხაჩუო.“ „ვონტკას“ არა უშავს, თან ახალგაზრდა იყო, იტანდა, მაგრამ მერე 1921 წელს, მომდევნო რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ვიღაც მიხოს ჩაუგდია ტყვედ და იმას ღვინის სმაზე გადაუყვანია.

მუსლიმანისთვის ღვინის დალევა როგორ შეიძლება!

ჰანიმ ეფენდი გადარეულა, შევრცხვებით მთელ თურქეთშიო და



დიარბაქირში ჩასულა ხოჯასთან, გვიშველეო. იმას ხელები გაუსავსავებია, მაგ სასმელს რაც ეხება, მე ვერაფერს ვიზამ, ხომ ხედავ, სიტყვადაც არ ვახსენებ, ისპარტაში წადი ნაზლი ჰანიმთანო.

ჩასულა ისპარტაში, ნაზლი ჰანიმი უპოვია და უთხოვია, ღვინის დალევას გადააჩვიე ჩემი ქმარიო და აიო, — მაჯაზე ჩამოსაცმელი ოქროს რგოლები აურიჩხინებია, ამით დაგაჯილდოებო. იმას თავის მხრივ ქოჯაელი გამომლოცველი მიუყვანია მეორე დღეს. იმას შვიდი მამლის ფეხი, შვიდი საფლავიდან აღებული მიწა და შვიდი სანთელი მოუთხოვია, ოღონდ, იმ საფლავებში მისი ქმრის მოსახელეების ნეშტები უნდა ყოფილიყო. ჰანიმ ეფენდი გადარეულა, ისე მეშინია მკვდრისა და კუბოსი, მე საფლავებზე წამსვლელი არა ვარ და მით უმეტეს, სანთლის ამნთები, ფერხატ ბეის ჭკუაც ვატირე, სვას ღვინო და გაფშიკოს ფეხი! მე რატო უნდა შემრცხვდეს, მთელი საქართველო ღვინოს სვამს, რცხვენიათ კი არა, სუფრის თავში სხედან და ყანწით მიირთმევენო. 120 წლამდე იცოცხლა ფერხატ ბეიმ, იქით დამარხა ჰანიმ ეფენდი და მის საფლავზე ღვინოც მოასხა, მიხომ ეგრე მასწავლაო.

ფიასკო განიცადა შსს-ის არაშვიდქათმისფეხა მოჯადოების ცდამ და მიმავიწყდა კიდეც.

სად არის ეკლესია! — აქციიდან რომ მომესმა, ჩემი ოთახიდან გავძახე: მადანაა, მადანა! მარა შით შესვლა თქვენ არ გინდათ და იგენს გარეთ რეიზა ეპაიჟებით-თქვა.

ეკლესია და წმინდანთა დასი გულში უნდა გყავდეს პირდაპირ კონტაქტზე, უფალთან შუამავლებს სად უძახი, დედაქალაქისა და მისი დარაჯების გადასაწვავად?

აბა, სხვა მხრივ, იქ ჰყავდათ: უკრაინის ახლადშექმნილი მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმსახურიც, ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსიცა და მთავარეპისკოპოსიც, ვალეს კათოლიკური ტაძრის მღვდელმსახურიც „ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის“ დამფუძნებელიც, მეტი რაღა უნდოდათ ნაცსექტანტებს.

გავიხედე და, გასულ კვირას, შუაგულ თბილისში, პარლამენტის წინ დადგმულ ნაძვისხესთან, როგორც თქვეს, მაცხოვრისგამოსახულებიანი კუბო მიიტანეს და დაწვეს, — პერფორმანსი რქმევია ამგვარ გამოსირებულობას.

კუბოს აღწერილობაში წერია, რომ მასზე გამოსახულია მაცხოვარიო, ანუ იმთავითვე განსაზღვრული იყო, რომ აღნიშნული კუბოს მწარმოებელი ამ გამოსახულებას ურთავდა მიწაში ჩასადებად. ასეთ კუბოს დაწვავ თუ დამარხავ, რა განსხვავებაა?

პარლამენტთან კუბოს მიტანა, ეს იყო ქრისტიანობისა და ქრისტიანების დაცინვისა და მასხრად აგდების მცდელობა, რომელსაც რელიგიურ გრძნობებზე უნდა ეთამაშა. ეს იყო ორმაგი დატვირთვის ტესტი და მისმა დამგეგმავმა სამუშაო შეასრულა — ტესტის შედეგებით გაშიფრულია საზოგადოების სიმწიფისა და მართლმადიდებელ რელიგიასთან ხარისხ-კავშირი!

ვინ რას დაარქმევს, სახელით არ განისაზღვრება სიწმინდეები!

ვიღაცისთვის წმინდა გიორგის ქანდაკება დგას „თავისუფლების მოედანზე“, მაგრამ საპატრიარქო მას წმინდანად არ ცნობს, ჩემთვის კი „ხვლიკი და კაცია“, გნებავთ, გველეშაპთან მებრძოლი მოხეტიალე ევროპელი რაინდი...

აუცილებლად სათქმელი!

უპირველესად, ხელისუფლებლებას და შემდგომ ზედმეტად აჟიტირებულებს მივმართავ: „თვითმკვლელი ღვთისმშობელი“ გამოფინეს. ვერ დაინახეთ; წმინდანები პრეზერვატივზე დაგიხატეს — ვერ დაინახეთ; ტაძარში ხატს საღებავი შეასხეს 500 ლარად; პატრიარქს და სამღვდელოებას ღიად აგინებენ; წმინდა ნინოს სიმბოლურ ჯვარს დროშის ტარს ისე გამეტებით ურტყამენ, ტარი უტყდებათ; სამშობლოს ისტორია ისე გაგიყალბეს, საამაყო ეროვნებაც თავზე ჩამოგახიეს; ყველაფერი ქართული დასაცინი გაგიხადეს; რაც რამე ხდება, ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლურია — რომელი ერთი ჩამოვთვალო? ამიტომ კუბოსაც დაწვავენ და ქაშუეთსაც მიაყოლებენ.

მე კი, მაცადეთ ამ ჯადოჟრიამულებზე გართობა! ვაჰ!

გაუმარჯოს მაჯიდე ჰანიმს, რა კარგი რამეა ცოდნა!

მთელი რიგი წესებია, რაც აკრძალულია თუნდაც არარსებული დაკრძალვის დროს, მაგრამ მაგას ვინ აქცევს ყურადღებას, ჰოდა, ამ გამოპერფორმანსებულებს თუ რამე შეემთხვევათ, მე და მაჯიდე ჰანიმი არაფერ შუაში ვიქნებით.

ცხადში, როდესაც რეალურად არის მიცვალებული, რა არის აკრძალული და რატომ, ამას არ შევეხები, მაგრამ ამ შემთხვევაში ასეა — ის, რაც ან ვინც იგულისხმეს, რომ იმყოფებოდა კუბოში და დაწვეს, იმ წარმოსახვით ეთერულ სხეულს შეუძლია „გაათრიოს“ ის ადამიანები, რომლებიც ატარებდნენ იმ კუბოს...

რა ვქნა, ამ ჭკუათხელებს წაკითხვა არაფრისა უნდათ და პერფორმანსებით რა ნიბლია ჩიტსაც დაიხატავენ, საკუთარ თავებს დააბრალონ, — ერთმანეთს საჯაროდ აფურთხეს, მაგათი გადამკიდე გამორთულ ტელეეკრანს ვეღარ ვუყურებდი კაიხანს, გული მერეოდა და ესენი კიდე, პერფორმანსი იყოო... ჰოდა, კი დადიან დღემდე შეფურთხებულები...

კუბო ჩამწვარი არ იყო, გამოვიხედე და, ვიღაცას ბიძინა ივანიშვილის გამოსახულებიანი თოჯინა დაუდია წინ და ვუდუობს.

დიდი ხანია, აღარაფერი მაკვირვებს, მხოლოდ ინტერესის შეგრძნება მაქვს დარჩენილი, — ეს ხალხი ასე რამ გამოაქლიავა?

ჯადობაზობის სიაფანდი შემსრულებლები ჯიგრები არიან, კაი თანხის საფასურად სიამოვნებით აგოიმებენ იმ ბნელ მასას, ძალიან განათებულების სახელით შიგ ევროპაში რომ მიდიან, მაგრამ მეორე მხარეც მებრალება, ამ სირთაოზობების რომ სჯერა და ეშინია.

ჯერ ხომ „ქაუნთერი“ ითამაშეს, ახლა რაღაც ფანტასტიკური ფილმების ჯადო-სიუჟეტებში არიან გადავარდნილები და წინ „ჯეკ ბეღურას“ დროშა მიუძღვით.

დაუდევს იმ ვიღაცას წინ ივანიშვილის თოჯინა იდუმალ გარემოში, ჩიფჩიფებს და ქინძისთავებს არჭობს. ეტყობა, შემკვეთი ან შემკვეთები იქვე დგანან, ესწრებიან „დიდ რიტუალს“ და თან ვიდეოს იღებენ სოცქსელში გამოსაქვეყნებლად, — ფსიქოლოგიურ გაგებაში პარტიზანობენ.

ბიჯო, გამოვიხედე და ახლა რუსთაველის პროსპექტზე წამოუწყია ვიღაცას ვუდუობა. ცოტა ჩავცდი და შუა პროსპექტზე ჯამ-ჭურჭელი გამოუშლია მორიგ ჯადოქარს და ჯადო-სამსალას ხარშავს — გარეკეს ამათ!

დაუსწრებლად დავიწვი მათი საცოდაობით, ჯადობაზს კი სულ ჰაეროვანი კოცნები ვუგზავნე მათი გამოთაყვანებისა და ფულში გვარიანად გაწეწვისთვის...

თვითონ ხომ არიან და არიან სრული უცოდინარები, დატრენინგებული ლაქლაქის იქით ვერ მიდიან, მაგრამ თავისნაირივე ჯადოქრებს სადღა პოულობენ? ან ბიძინა ივანიშვილის ბიოლოგიური მასალა საიდან მოიპოვეს, ან მისი სამოსი... აბა, რა შელოცვებს აკეთებენ და ვისზე, პლაკატიდან ამოჭრილ სახეზე? ვაჰ, ამათი კაი კი მოვაჯადოვე, რა წინ წაუყვანიათ მაგიის ტექნიკა!

ამათ ისე ესმით ოკულტიზმისა, როგორც მე ჩინური იეროგლიფებისა!

ამათი ჯადოქრები და ვუდუს ყველა სპეციც „ქოცია“, გეუბნებით!

რისი შემლოცველ-გამომლოცველები არიან, ყველაფერს ისე უკუღმა აკეთებენ, შემკვეთებს მისდით.

ყველაფერი მე როგორ უნდა ვასწავლო ამ გამობენტერებულებს თავიანთი ცრუ მაგებიანად, — არადა, როგორ მართობენ თავიანთი სიბრიყვით...

ვუდუს თოჯინის ასე დადება ვუდუს რომელ სახელმძღვანელოში ამოიკითხეს „დიდმა ქართველმა ვუდუს მაგებმა“, ეს ხომ იგივეა, რომ შემკვეთისკენ შებრუნდეს ზემოქმედება, მაგრამ გოიმებს ხომ ახევენ ფულს და რა ენაღვლებათ — მას შემდეგ, რაც მკითხველისთვის საახლებელი წინამდებარე უსტარის წერა დავიწყე, დროდადრო ისე ვიცინი, ჩემი კატა, სახელად „კრუჟინა“ შეფიქრიანებული მიმზერს.

ამათი ამბავი ისეა, ჩამჩიაშვილს ძაღლმა რომ შვილი დაუცოფა და აქიმი დედაკაცი მიუყვანეს, რომელმაც მკითხაობაც იცოდა. ის ჯადოს მპოვნელი ლამაზისეულმა მიიყვანა თათქარიძეების მამულში, მაგრამ ამ ე. წ. რადიკალური ოპოზიციის, რეალურად კი „ნაცმოს“ ცენტრალურ ოფისში რომელმა ლამაზისეულმა მიუყვანა ჯადობაზთა დასტა, რომ დაუსრულებელი შავი კვამლი ამოუდით? გაიმურებიან ყველანი ნოშრევან კუჭუხიძევივით და ელოდონ მერე ბროწეულის ოყნებსა და ტრიფონს, ელიტოპოლის მატარებელი როდის ჩამოდგება პრეზიდენტის სასახლესთან, რომ ატა-ატაში ერთად წავიდნენ ევროპებში...

ისე, ევროპებში საწამლავი იყო მოდაში, ხოლო ინკვიზიცია ჯადოქრობაში ეჭვმიტანილებს ხოცავდა, — შიგ ევროპაში მიმავლები ფარსაგს არაფერს გადაეყარონ. იქნებ სჯობდეს, რომ აზიისკენ გადაუხვიონ, მაგარი ჯადოქარი მეგულება შუაგულ დაშთ-ლუთში, მარ-ილიან, მარილზე მკითხაობს და მარილის ჯადოსნურ სკვნილებს ამზადებს, პირდაპირი კავშირი აქვს ჯოჯოხეთის პირველ მაშხალასთან...

რას არ იფიქრებს მოფიქრალი კაცი — ნეტავ, ის დასაწვავი კუბო ნიკა გვარამიას შეკვეთა ხომ არ იყო?

რა ვიცი, ციმციმ გაარბენინეს მარნეულის წინასწარი გამოძიების იზოლატორშიო და იქნებ, გვერდზე საკანში ზაურ დარგალის „ქოცი“ ჯადოქარი ნამდვილად იჯდა „ნასედკად“?

კი, ასე იქნებოდა — გამოჰკითხა გვარამიას ჭმუნვის მიზეზი, ყასიდად შეწუხდა და ხვაშიადის შეტყობის შემდეგ, გარკვეული მაგრამ დიდი საზღაურის ფასად, წამლად ჯადობაზური მომსახურება შესთავაზა.

ნიკა კარგი ბიჭი იყო ოდესღაც, ხუთიანებზე სწავლობდა, წიგნებს კითხულობდა და იცის, რომ სიტყვას უპირველესი დიდი ძალა აქვს, ჭეშმარიტი მაგია კი სიტყვებისა და სარიტუალო ქცევების ნაკრებია. ნიკამ იფიქრა, ჩემგან რა მიდის, ცდა ბედის მონახევრეაო, მაგრამ სიხარბემ დაღუპა!

აი, ვიხდი მაგდენ ათასს, მაგრამ ჯადოს მოქმედების არსი ასეთი უნდა იყოს: „დაიწვას და დაიფერფლოს ყველაფერი ქოცური, მათ შორის, ქოცების ღმერთიც და „ფორმულას“ გაქრობის ხარჯზე ორმაგად აღვზევდეთ მე და ჩემი „მთავარი არხი“, ვითარცა ფენიქსიო, მაგრამ გვერდზე მიზიხარ და ვის აბოლებ, რანაირადო?

დავიყვირებ ახლა ჯადოსნურ სიტყვას და გამიშვებენო. მართლა იყვირა რაღაც აზერბაიჯანულად. შემოვარდა „კლუჩნიკი“ და გაარბენინა ჯადოქარი, რომელმაც წაყვანისას მარცხენა თვალი ჩაუკრა, მარჯვენა კი დაუჭყიტა.

იცოდა იმ ქოცჯადოქარმა, რომ ნიკამ იმ კუბოს შიგნიდან „მთავარის“ ლოგო ჩუმად ამოაკვრევინა მარნეულელ ნაცაქტივისტს, რომელსაც დავალება თავის მხრივ, ნიკას ადვოკატმა გადასცა.

დაიწვა კუბო და დაიწვა ჯიგარი! — მარნეული ახლოსაა თბილისთან და ეგრევე გაჭრა. გვარამიას ისეთები გამოუქვეყნა „მთავარი არხის“ დირექტორმა, გიორგი ქურდაძემ, რომ დავიდაგე ნაცსექტის მდუმარებით.

შე მფლანგველო, ფინანსურო მაქინატორო, მოძალადევ, „ვიგოდნიკო“, მოღალატე, მატყუარავ, შე არაევროპელო შენაო! შე „გნიდა“, შენა, „მთავარი არხის“ დაზიანებისთვის და პირადი და პოლიტიკური სარგებლის მიღების მიზნით მოიპოვე ივანიშვილისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მფარველობაო;

დასტურ ეგრეა! აბა, მე სკლეროზი კი არ მაქვსო.

მაგრად ავიბენი, მაგრამ ჯადოქრებისას რას გაიგებ, მგონი, იმ გიორგი ქურდაძესაც გადასწვდომია უკუღმა გაკეთებული ჯადო...

ეკა კვესიტაძემ დაგვამშვიდა, ნუ გეშინიათ, მეგობრებო, მე და ჩემი „აიქიუს“ მზემ, რაღაცას აუცილებლად მოვიფიქრებთო.

რაღა მოფიქრება უნდათ — კუბოები იქ აქვთ, საკუბოვეები ასარჩევად ჰყავთ, „ვენოკები“ — უფასოდ, ნანუკას ლობიანები და კონკრეტულად ნანუკას მფლობელობაში მყოფი ცხვარი — თუ უკვე შეჭმული არ ჰყავთ, კარგი ჩადუმაებული იქნება. ჰოდა, შილა აკლიათ და ეგაა! კახელი კაცის ღვინოს ეგენი ვერ დალევენ შიშით და კოკა-კოლას დასჯერდნენ, ამბობენ, კაიფში ასწორებსო...

კიდევ მოვუფიქრე — წანწალი ამათ უყვართ, ჯადო-მკითხავები, „ბორია, ბორიას“ ესენი გაიძახიან, ჰოდა, დაიკავონ ხელში „ბორია-გადაი“ და იციგნონ მთელ დუნიაზე, მეტი მაინც აღარაფერი დარჩენიათ, სულ ცოტაც და ბოლომდე ამოეკეტებათ ყველა ღიობი...

ეჰ, ასეთია ბედის უკუღმართობა!

გვარამია აზრზე არ იყო, რომ ის დარგალის ქოცი ჯადოქარი ახალი ჩამოსული იყო ტრამპისტ ფილადელფიელ ჯადოქრთან კონსულტაციიდან, რომელიც, იმავდროულად, ანტისემიტი იყო. მასთან პირადად იხილა ვედრებით მისული დავით კეზერაშვილი, რომელიც, ფაქტობრივად, იგივეს ითხოვდა იმ ტრამპისტი კუდურისგან, რაც გვარამიამ მოითხოვა მარნეულელისგან და ისიც სიხარბეს ჰყავდა გაფუჭებული.

დაგენაცვლე, ისე გამომიწყვე საქმე, რომ შეწყდეს ჩემზე თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი მილიონების მითვისების გამო ლაპარაკი და ჩემზე გამოცხადებული ძებნა; ქოლცენტრების საქმეც მომიხსენი და ბარემ „ფორმულაც“ დამილოცეო.

იმ ტრამპისტ ანტისემიტ ჯადოქარს სათვალეების ზემოდან გადაუხედავს და უკითხავს: ოქეი, მაგრამ ეგ მრავალწახნაგოვანი სამუშაოა და მაგდენი ფული გაქვსო?



ახლავე გადმოგირიცხავ ოფშორიდანო.

გადმომირიცხო არა, ჭროღა მტრედს გამოატანო კონვერტით, ქეშად ჩამითვალეო.

შენ ხომ არ გადარეულხარ, მაგდენ ფულს ჩემოდნით ხომ არ ვატარებო? — გაოგნებულა დავითი.

მაშინ ბრილიანტები დაიდოს სტოლზეო! — ხელი დაურტყამს მაგიდაზე აღშფოთებულ მაგს.

რა „სტოლი“, რუსი ხარო? — თვალისმოჭუტვით უკითხავს შეცბუნებულ დავითს.

შენ გამომძიებელი ხარ თუ ჯადოს მათხოვარი! რუსი ვარ თუ ლორელაის მამიდა, რა შენი საქმეა, დაიდოს გარგლის კურკისტოლა ბრილიანტიო, — უარესად აღშფოთებულა ფილადელფიელი.

მე ეჭვიანი და ფრთხილი კაცი ვარ, ამასთანავე, ფულისმოყვარე — არაფერი აღარ მინდა, სულ გუდბაიო, — თავის მხრივ აღშფოთებულა დავითი.

„დატო, მაგების ატამანს ნუ აუხირდებიი!“ — წამიერად მოზმანებია დავით ზელენსკის ნეტარი სახე და ნეტარივე ხმაც ჩაესმა თურმე.

დავაი, რა, შენ რაღაც გადამეკიდეო, — აუქნევია ხელი ზელენსკის ზმანებისთვის დავითს და გამოუსვრია კიდევ მაგს ქუჩაში.

დავით კეზერაშვილის გარეთ გატყორცნის შემდეგ მარნეულელ ქოც ჯადოქარს უთქვამს ფილადელფიელი ტრამპისტი ჯადოქრისთვის, ეგ ტიპი, კეზერაშვილი, „პა ჟიზნი“ დასასჯელიაო და წინსწრებით გადაბჟირებულან სიცილით, მოდი ვიკაიფოთო და სოფო ჭყონიასთვის ჯადოსნური კოლაკოკა გაუგზავნიათ. სოფოს უფიქრია, მამაჩემმა ხომ არ გაუბერა, ეს რაღა მოიგონაო, მაგრამ ენა მაინც ჩაუწია. რად გინდა, წამსვე ვატო წერეთელი გაახსენდა...

ამათი, ამ ქათმის ფეხებისა და კუბო-ვუდუს მიმდევარი ნაცნახირის შემხედვარემ, ვიფიქრე, თიმსალ-ზურაობა ხომ არ დავიწყომეთქი, მაგრამ ჩემი ამბავი რომ ვიცი, შუა სიაფანდობაში სიცილი ამიტყდება და ყოვლისშემძლე ჯადოქრის სახელს შევარცხვენ, ვერ გავქაჩავ. აფსუს, რა ფულს ვმაზავ!..

ბიძინა ივანიშვილის პინგვინზე ღადაობით თავი გადაგვჭამეს, ამ დროს, ყველა გასაპინგვინებელი რომ გააპინგვინა ბიძინამ, იმას ვერ ხვდებიან...

ბიჯოოოო, ღმერთი არ არსებობს, ცაში აეროპლანიაო და მისი საწინააღმდეგო რანაირადღა არსებობს ამათ უწიგნურ უტვინო ტვინში?

ვუდუსი და გრი გრის ყოვლისშემძლეობის სჯერათ, შავ კატებს კლავენ და ხარშავენ, მაგრამ რომ უსაბუთებ რომელიმეს, დაზომბებული ხარო, არ სჯერა — როდის მოვკვდიო? — შემოგხედავს დამცინავად.

მკვდარი ხარ, ბიძია და ცოცხალი დაიარები, სხვანაირად როგორღა მოკვდები, სანამ არ ჩაგრგავენ...

გარდაცვალება ის საიდუმლოა, რომელსაც ყველა ვერ ეზიარება...

ზოგჯერ კუბოსაც კი ვერ ეღირსება ადამიანი, უბრალოდ, ქრება...

ქათმის ფეხებით დაიწყეს და ჩემი ფეხები შერჩათ...

**ზურა ოუხერელი**

# საკუთარი თავის გარდა, ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს

11 გვ.

ლო ზომის ქვეყნებისთვის მრავალპოლუსიანობა არის ყველაზე კარგი გარემო, იმიტომ, რომ ჩვენ შეგვეძლება, ბალანსის პოლიტიკა გავატაროთ. პატარა ქვეყნისთვის ბალანსის პოლიტიკა არის გადარჩენის საშუალება ისე, რომ სუვერენიტეტი არ დაკარგო. ეს ნიშნავს, რომ ყველასთან კარგი, ნორმალური ურთიერთობები უნდა გქონდეს და არცერთ ბანაკში არ უნდა ვიყოთ. ქართველ ერს აქვს სიბრძნე, მადლობა ღმერთს, რაც გენეტიკურად მოგვდგამს. სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობა ტყუილად კი არ გვაქვს. გამჭრიახი გონების ხალხი გვყავს და მე მჯერა, რომ ელიტის როლი, ზოგადად, პოლიტიკაში მნიშვნელოვანია. ასევე, მნიშვნელოვანია პიროვნების როლი და როცა ვხედავთ, რომ პატრიოტი კაცია ქვეყნის სათავეში, ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის უკეთეს რეალობას შევქმნით. ჩვენ ჩვენს ეკონომიკურ გეგმებს დავალაგებთ, ჩვენი პროექტითა და დიზაინით აშენდება ეს სახელმწიფო და გარწმუნებთ, რომ გაცილებით სწრაფი ეკონომიკური ზრდა გვექნება, ვიდრე ახლა. ჩვენ ვართ 12 სახელმწიფოს ჩამკეტი, 12 სახელმწიფო იღებს ჩვენგან გასასვლელს მსოფლიო ოკეანეზე შავი ზღვით. ამას გამოვიყენებთ ჩვენ უნიკალურად, ისე, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი, - საქართველო, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად, გახდეს ყველაზე სწრაფად განვითარებადი და ყველაზე მდიდარი რეგიონი მსოფლიოში. ამის რეალური შესაძლებლობა არის, თუ მოვახერხებთ სუვერენული პოლიტიკის გატარებას.



**- ანუ თქვენ ამბობთ, რომ თუკი საქართველო რომელიმე კონკრეტული გაერთიანების წევრი არ იქნება, ჩვენ, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას, გვაქვს განვითარების პერსპექტივა? თქვენი აზრით, არსებობს მოდელი, საიდანაც ჩვენი ქვეყანა მეტ სარგებელს მიიღებს?**

- ევროპასთან ურთიერთობები საჭიროა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შენ შენი სუვერენიტეტი დათმო. კავშირის წევრობა მოითხოვს, რომ შენი სუვერენიტეტის ნაწილი გადაულოცო ბრუსელს და ფონ დერ ლაიენმა გადაგიწყვიტოს შენი ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, საბაჟო, ენერგეტიკული თუ სატრანსპორტო პოლიტიკა... რომ ვუყურებთ აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანას, ბულგარეთს თუ რუმინეთს, რომელიც ბოლოს, 2007 წელს შევიდა ევროკავშირში, არცთუ ისე სახარბიელო სიტუაციაა ამ ქვეყნებში. კალკულატორზე რომ დავითვალოთ, საქართველო რომელი მოდელიდან უფრო მეტ სარგებელს მიიღებს, ეს ცალსახად არის სამხრეთ კავკასიის სამეული - საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთის საერთო ბაზარი. მეტ-ნაკლებად თანაბარუფლებიანი სახელმწიფოები ვართ და საერთო ბაზრით, რომელიც 17-მილიონიანი იქნება, ჩვენ უკვე პოზიციონირებას შევძლებთ გარე სამყაროსთან, უშუალო მეზობლებთან თუ დასავლეთის ქვეყნებთან. ეს არის, ჩემი აზრით, საუკეთესო მოდელი. სამხრეთ კავკასია უნდა გახდეს ის, რაც „ცივი ომის“ დროს ავსტრია იყო, როდესაც არცერთ მხარეს და არცერთ სამხედრო ბლოკში არ იყო და ყველა იქ ვაჭრობდა, ატარებდა კონფერენციებს, მოლაპარაკებებს. დღეს ავსტრია „დავარცხნილი“ ქვეყანაა.

რაც შეეხება ევროკავშირში გაწევრიანებას, დარწმუნებული ვარ, ეს არის ტყუილი! ევროკავშირს არასდროს ჰქონია მსგავსი განზრახვა და არც მომავალში ექნება, თუკი ის იარსებებს საერთოდ. თუ ასეთი გზით წავედით, ველოდები, რომ აფხაზებთან და ოსებთან დიალოგი 2025 წლის პირველ ნახევარში დაიწყება. დააკვირდით პროცესებს და მიხვდებით, რომ ეს ასეა. უკვე ყველა მიხვდა, რომ კონფლიქტების არსებობა დამაზიანებელია და ამ ფაქტორებს „ომის პარტია“ გეოპოლიტიკურ თამაშებში ოსტატურად იყენებს, რათა არ დაუშვას კავკასიის რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების სიღრმისეული ნორმალიზება. ეს პროცესები, რაც ქუჩაშია, ამიტომაც ხდება, რომ ქვეყნის გამთლიანება არ დაუშვან და პირიქით, ომში ჩაგვითრიონ.

**ნონა ქარქაშაძე**

# განწბილებული აშშ-ის საჩუქარი ევროპას



არეულობაა საქართველოში, არეულობაა რუმინეთში, საუბარია ახალ გაღვივებულ არეულობაზე მოლდოვაში — ეს ის რეგიონებია, რომლებიც რუსეთის საზღვრებთან მდებარეობს და აშშ ფარულ აქტიურ ოპერაციებს მართავს, ან აქტიურად არის ჩართული ისეთი ინსტიტუტების მეშვეობით, როგორიცაა, მაგალითად, „დემოკრატიის ეროვნული ფონდი“, რომლის მიზანი რუსეთისთვის პრობლემების შექმნაა.

ვისაც გონება უჭრის და ოდნავ მაინც ესმის დიპლომატიურ-პოლიტიკური ხრიკებისა, მხოლოდ ის მიხვდება, რამდენად საინტერესო ამბავი მოხდა კორეაში.

ქვეყნის ლიბერალმა პრეზიდენტმა იუნ სოკ იელმა სამხედრო მდგომარეობა შემოიღო, რომელიც პარლამენტმა გააუქმა. შემდეგ პრეზიდენტმა დაპატიმრების ორდერები გასცა პარლამენტის თავმჯდომარესა და ორი უმსხვილესი პარტიის ლიდერებზე — პოლიციამ ბრძანება არ შეასრულა.

საქმე ის იყო, რომ დასავლეთის მოთხოვნით, პრეზიდენტი ჩრდილოეთ კორეასთან სამხედრო ესკალაციას აპირებდა, რაც ქვეყნის მოაზროვნე ნაწილმა არ დაუშვა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი მიხვდა, რომ უნდა გადამდგარიყო. ახლა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი განიხილება, ხოლო პრეზიდენტის ნაცვლად პრეზიდენტის მოვალების შემსრულებელი ჰყავთ. სავარაუდოდ, იუნ სოკ იელს დააპატიმრებენ, მაგრამ, თუ არ დააპატიმრეს, მაშასადამე, კრებსით დასავლეთს გონიერი კორეული სპექტაკლი გაუთამაშეს და ომის გაჩაღებაზე ამ ფორმით თქვეს უარი, გააწბილეს აშშ...

სამხრეთ კორეას შეზღუდული სუვერენიტეტი აქვს, რის გამოც მისი ნებისმიერი მმართველი დასავლეთის სრულ მორჩილებაშია...

საქმე ის არის, რომ ჩრდილოეთ კორეა რუსეთს აწვდის სამხედრო იარაღს და არა მხოლოდ იარაღს, ცოცხალ ძალასაც უგზავნის, რადგან სამხედრო ალიანსი აქვთ. თუ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის ომი გაჩაღდებოდა, ეს რუსეთისთვის კიდევ ერთი ფრონტის გახსნა იქნებოდა, მაგრამ საქართველოში გასახსნელი „მეორე ფრონტივით“, იქაც ჩაეშალათ.

ვარიანტებს რა გამოულევთ, — სირიაში რაც ხდება, ის ცალკე ამბავია, მანამდე კი, რუსეთის ავიაციამ მიწასთან გაასწორა, ნაპალმითა და ფოსფორით გადაწვა ასადის მოწინააღმდეგეების მიერ კონტროლირებადი სოფლები და ქალაქები, თურქეთი კონფლიქტში ასადის წინააღმდეგ იყო ჩარეული, რომელსაც აშშ უჭერდა მხარს და ა. შ. ისეთი წინააღმდეგობრივი სამხედრო კავშირები და სამხედრო მოქმედებებია ღიად გამოკვეთილი, ამას რომ მივყვეთ, სხვა მხარეს გადამახვევინებს, ამიტომ აქ შევწყვეტ.

აღარ არის ასადის სირია, ასე გადაწყვიტა პუტინმა. უბრალო მაყურებელს სხვადასხვა ქვეყნიდან, ვერ აუხსნია, რა დაუშავა სირიის კანონიერმა პრეზიდენტმა ბაშარ ასადიმ ევროპას, მანამდე სადამ ჰუსეინმა და ა. შ.

ბირთვული იარაღის ძიების საბაბით ერაყის დემოკრატიზაცია განიზრახეს და დაამხეს პრეზიდენტი ჰუსეინი — სად ნახეს ბირთვული იარაღი?

კარგი, ბატონო, შეეშალათ, დაზვერვამ გადაუმოწმებელი ინფორმაცია გაავრცელა და ამ საბაბით დაამხეს, სხვა სამარცხვინო ქმედებებს აღარ გადავწვდები, მაგრამ სად არის დაპირებული დემოკრატია ერაყში?

იმის ნაცვლად, რომ შეჩერებულიყვნენ — ბოდიშს ვინ ჩივის, მიაყოლეს და იმავე სცენარით დაიწყეს ტუნისით და დაამთავრეს ლიბიით, შეიჭრნენ და ააოხრეს სირია!

რატომ კლავენ უდანაშაულო ხალხს, მათ შორის, ბავშვებს და რატომ ცდილობენ, დაამხონ კანონიერი პრეზიდენტები და მთავრობები?

ვთქვათ, საუდის არაბეთზე ან კატარის დიქტატორულ რეჟიმზე რატომ არ წუხან, რადგან მათ (დასავლეთის) დიქტატს ემორჩილებიან?

კარგად მახსოვს, ტელეკომპანია ჩ-სთან ინტერვიუში რესპუბლიკელმა მილიარდერმა, მაშინ აშშ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, ახლა კი წუთი-წუთზე აშშ-ის მიერ მეორედ არჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა პირდაპირ რომ განაცხადა, მივესალმები რუსეთის მიერ „ისლამური სახელმწიფოს“ დაბომბვის ფაქტსო: „მომწონს, რომ რუსეთი მიწასთან ასწორებს „ისლამურ სახელმწიფოს“ სირიაში, რადგან მან კარგად უწყის, რომ ეს საფრთხე მის ქვეყანამდეც მივიდოდა ერთ დროს. ნახეთ, რა ხდება ახლო აღმოსავლეთში — ლიბიაში, ერაყში — ყველგან ქაოსია. უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა, სადამ ჰუსეინი და მუამარ კადაფი რომ არ დაემხოთ. სწორედ ერაყის კატასტროფამ შვა ე. წ „ისლამური სახელმწიფო“...

სირიის ამბავი ასე არ ჩაივლის...

საქართველოსთვისაც რომ აქვს მნიშვნელობა, რა მოხდება ე. წ. ახლო აღმოსავლეთში, ამიტომ ვეძიები, თორემ რა მრჯის...

გამოცემა „ალ-ახბარის“ ცნობით, მაშინ რუსეთის ავიაციამ სამი დღის განმავლობაში 60 საავიაციო გაფრენა განახორციელა და გაანადგურა „ისლამური სახელმწიფოს“ 50-მდე ბაზა, რის შემდეგაც პანიკა შეიქნა და ტერორისტები სირიიდან ერაყის ქალაქ მოსულში გადავიდნენ.

მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს, რატომ არავინ ჩაეძია ამ ამბავს, რას ნიშნავდა ის, რომ იგივე მიზნით ე. წ. ცივილიზებული დასავლეთის 7000 საბრძოლო გაფრენიდან, საშუალოდ 0,4 „ბოევიკი“ იყო განადგურებული თითოეულ გაფრენაზე, ხოლო წელიწადში მხოლოდ 15 კმ ტერიტორია იყო „გამოტაცებული“?



და კიდევ, რატომ ატყდა გარკვეულ წრეებში ცრუ განგაში, არიქა, რუსეთი მშვიდობიან მოსახლეობასაც ბომბავსო? თითქოს, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები მარსიანელებს ხოცავდნენ, ან თვითონ „ცივილიზებულებს“ არ დაუბომბავთ განურჩევლად მოსახლეობისა, ქორწილები, უწყინარი სოფლები და საავადმყოფოები, თან ბომბავდნენ აბსოლუტურად არაფრის გამო...

მაშინ ამბობდნენ, აშშ-მა რუსეთი კიდევ ერთ ომში ჩაითრიაო. ახლა რომ ველარ ჩაითრია და ასადი მოსკოვში წაიყვანა, ეს რაღას ნიშნავს, ნეტავ, დემოკრატიული ანალიზით?

რაც შეეხება „ჩათრევას“ — თავის დროზე საქართველოსთან ომშიც „ჩაითრიეს“ რუსეთი, მერე უკრაინასთან ომშიც, ჰოდა, დარჩა რუსეთს სოხუმი და ცხინვალი, ყირიმი და დონბასი და ვაცადოთ, ჯერ ხომ არ დაუსრულებიათ...

რა უცნაურ ომებში „ითრევენ ხოლმე“ რუსეთს, ისეთში, ახალ-ახალი ტერიტორიები რომ „მიითრიოს“...

ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვა მაქვს მუდმივად: როგორც კი სირიაში ომი ატყდება, პლანეტის უმდიდრესი ქვეყნები: არაბთა გაერთიანებული საემიროები, საუდის არაბეთი ან ქუვეითი, რომლებიც, გარდა იმისა, რომ სირიის მეზობლები არიან გეოგრაფიულად, სხვა მხრივაც ახლობლები და თითქმის ერთნი არიან კულტურული, რელიგიური და სხვა თვალსაზრისით, რატომ არ იღებენ სირიიდან დევნილ სირიელებს, რატომ უნდა შეიფაროს ისინი მაინცდამაინც ევროპამ? ვინ და რატომ, რა მიზნით აიძულებს ევროპას, რომ შეიფაროს ადამიანთა ნაკადი, რომელთა ვინაობა იდენტიფიცირებული არასდროს არის?

დავიჯერო, მხოლოდ მე მახსოვს გერმანიის კონტრდაზვერვის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ სირიელი მიგრანტების სახით ევროპაში რადიკალი ისლამისტები შეედინებიან? სწორედ გერმანიის კონტრდაზვერვამ დააფიქსირა აგიტაციის გატარებისა და გადაბირების შემთხვევები — ისლამისტები მოხალისეებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების თანამშრომლების იმიჯს ირგებენ და ასე ამყარებენ კავშირს ლტოლვილებთან, რაც, ხშირ შემთხვევაში, პოლიციის თანამშრომლების ყურადღების მიღმა რჩებოდა.

ამ დღეებში პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის დროს ორი ირანელი „ამფეთქებელიც“ რომ დააკავეს რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ბრიტანელი და ამერიკელი „მშვიდობიანი მომიტინგე ბავშვების“ სახით, ვინ და რატომ იყვნენ იმ დროს იმ ადგილზე, ჩვენ — ჯანდაბას, ნუ გვეტყვიან, როგორმე ჩვენით გამოვიტანთ დასკვნებს, მაგრამ თვითონ მაინც იცოდნენ სახელმწიფო უსაფრთხოებაში ...

მეცოდება უბრალო სირიელი ხალხი, რომლებიც გაურბიან ომის საშინელებას, აუტანელ პირობებში როგორღაც გადალახავენ ხმელთაშუა ზღვას, იძრომიალებენ უცხო ქვეყნების სასაზღვრო მავთულხლართებში, დამშეულები, ხახაგამშრალები და მისავათებულები როგორღაც ჩააღწევენ მყუდრო ევროპაში და უცბად, სირიელი ლტოლვილების დასახმარებლად გაგზავნილი ამანათებიდან ამოდის და ამოდის საბრძოლო იარაღი. გაჭირვებულებს დასახმარებლად იარაღს რომ უგზავნიან, რა ვიგულისხმოთ, ვითომ, იმიტომ უგზავნიან, შუბლში დაიხალეთო?

მოკლედ რომ ვთქვათ, ისე ჩანს, აშშ-მა ტერორისტების სახით „მაგარი“ საჩუქარი არაერთხელ გაუკეთა ევროპას და კიდევ ბევრჯერ გაუკეთებს მანამ, სანამ ევროპა აშშ-ის ვასალი იქნება...

მე საქართველო მანაღვლებს!

გადამთიელ კრებსით დასავლეთს სრულებით არ ანაღვლებს, რა მიზეზით და რა მოუვა საქართველოს, მათ მხოლოდ თავიანთი ქვეყნებისთვის სასარგებლო მიზნები ამოძრავებთ და მხოლოდ ამიტომ ამხობენ დაუმორჩილებელ მთავრობებს!

ვთქვი ერთხელ, თქვეს სხვებმაც, მაგრამ ვატყობ, გასამეორებელია დილა-საღამოს — დიპლომატიურ ენაზე სამჯერ გაგვაფრთხილეს ჩვენი სამეზობლოდან თურქეთმა, აზერბაიჯანმა და კასპიის ზღვის გადაღმიდან ირანმა, რომ საქართველოს ტერიტორიიდან ფინანსდებოდნენ იქაური სოროსისტები და მათი ქვეყნებისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ.

როდესაც სახელმწიფო საქართველოს მხრიდან შედეგი ვერ დაინახეს, უკვე ღია ტექსტით გამოაქვეყნეს, რომ ამ ტერიტორიიდან, საქართველოდან სირიაში ფინანსდებოდა ტერორისტული ორგანიზაციები: „ალ-ქაიდა“, „ჯეფხატ ალ-ნუსრა“, „ნუსრა“ და „დაიში“, რომლებიც საქართველოში აკრძალულია. ჩამოვიდა აზერბაიჯანის უშიშროების საბჭოს მდივანი საქართველოში და შეხვდა შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს; ამის შემდეგ ჩვენი პრემიერი ჩავიდა აზერბაიჯანში, შეხვდა ილჰამ ალიევს და ამის შემდეგ შემოვიდა ე. წ. გამჭვირვალობის კანონი. საქართველოს უკან რომ დაეხია, ეს ნიშნავდა, რომ საქართველო აკეთებდა განცხადებას: „ვარ სამეზობლოს მტერი ქვეყანა! ვერ გავუძელი ზეწოლას, ამიტომ, ჩემი ტერიტორიიდან ელოდეთ საფრთხეს!“ ახლა კი სრულიად სხვა შედეგი დაიდო — ვერაფერს იტყვი, ორმაგი სტანდარტი მუშაობს...

ყველა დაჩაგრული მეცოდება, მაგრამ ისევ იმ კრებსითმა დასავლეთმა და ახლა უკვე თურქეთმაც მიხედონ იმ სირიელ ლტოლვილებს, თვითონვე რომ აქციეს ლტოლვილებად!..

**მაია ჭელიძე**



# კლიმატის ცვლილება და ამოუცნობი საქართველო

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N43)

როდესაც სოციალურ ქსელში მარმარილოში ჩარჩენილი იმ ნიჟარის ფოტო დაიდო, რომლითაც მეტრო „რუსთაველია“ მოპირკეთებული, სოციალურ ქსელში დავა დაიწყეს შროშის (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) მარმარილო იყო თუ სალიეთის (ჭიათურის მუნიციპალიტეტი). ასე გავიგე, რომ მეტრო „რუსთაველის“ გარდა, სალიეთის მარმარილოთი ყოფილა მოპირკეთებული მოსკოვის მეტროს სადგურები; „ელექტროზავოდსკაია“, „კიევსკაია“, „კრასნოპრესნენსკაია“, „სერპუხოვსკაია“ და „პლოშჩად ილიჩა“, ხოლო შროშას მარმარილო გამოყენებულია პარლამენტისა და „იმელის“ ინტერიერის მოსაპირკეთებლად, ასევე, მოსკოვის მეტრო „კრასნიე ვოროტას“ შესამოსად. ასეა თუ ისე, თვალით რომ გადაზომო, იხატება სურათი, რომ შავი და კასპიის ზღვა განცალკავებული არ იყო.

ვინაიდან ლინგვისტი ვარ, ჩემთვის უპირველესი ამოსავალი ეთნო-ლინგვისტური მასალაა, რასაც აუცილებლად ერთვის ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული წერილობითი ცნობები (ჩვენთან შედარებით ახლოს იყვნენ „ძველ ამბებთან“) და ტოპონიმიკა. როგორც ჩანს, აფხაზეთის უძველესი მოსახლეები სუანო-კოლხები ყოფილან. ჩემი ვარაუდით, მოხდა რაღაც ისეთი, რაც ჩემთვის „წყარი-ღვნაა“ და სუანო-კოლხებმა დღევანდელი სვანეთის მთებს შეაფარეს თავი.



მარმარილოში გაქვავებული ნიჟარა მეტრო „რუსთაველის“ ბაქანზე

ძველი ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის, სტრაბონის ცნობების მიხედვით, სუანო-კოლხები კოლხეთის მეფეს ემორჩილებოდნენ, მაგრამ თვითმყოფადობასა და უძველეს ადათ-წესებს ინარჩუნებდნენ. სვანები ბატონობდნენ ირგვლივ მოსახლე ხალხებზე და ეკავათ ვრცელი ტერიტორიები ზღვისპირეთიდან ამიერკავკასიის ბარამდე და დიოსკურიის ზემოთ კავკასიის მწვერვალები.

ამ ინფორმაციაზე, რატომღაც სალვადორ დალის ცნობილი ტილო მახსენდება „ახალი ადამიანის დაბადება“, სადაც სვანური კოშკი მოჩანს, ხოლო უსქესო არსება თითით მიანიშნებს საქართველოს ტეროტორიაზე. თითით მინიშნებას დამთხვევა შეიძლება დავარქვათ, „სადღაც ხომ უნდა მიენიშნებინათი“ გამართლება, მაგრამ სვანური კოშკი? ხოლო მთლიანობაში — სვანური კოშკი, საქართველო და „ახალი ადამიანის დაბადება“, პირადად ჩემთვის ისეთ მოცემულობას იძლევა, რომ მიზეზთა გამო, გახსნილად ამისი თქმა არ მსურს.

დანარჩენი, მთელი ნახატი ისეა გაშიფრული როგორც ხელოვნებათმცოდნეების, ისე სასულიერო პირების მიერ, რომ ჩემეული განმარტება არ სჭირდება.

სტრაბონი წერს, რომ სუანო-კოლხები მთელ კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანნი ყოფილან...

მიუსერა — სვანური სიტყვაა და თოვლიანს ნიშნავს. მიუსერას სიახლოვეს მაღალი გორაკია, სადაც თოვლი დიდხანს ნარჩუნდება;

აჩირხა — სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტში. „ჩირხა“ სხვანურია და ქვის ბროლს, თეთრ ქვას ნიშნავს;

ჟაბნა — სოფელი გუდაუთაში. სვანურად „აღმოსავლეთის უბანს“ ნიშნავს;

ლეჩქოფი — სოხუმის ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული, წარსულში ჭაობიანი ადგილი. „ლეჭყოპი“ სვანურია და ჭაობიანს ნიშნავს;

ცხუმი — სოხუმის უძველესი სახელი. „რცხილას“ ნიშნავს.

ტყუბუსი — ადგილი სოხუმის სიახლოვეს. ნიშნავს „ტყუპს“ და უკავშირდება ტყუპ ძმა დიოსკურებს, რომლებმაც ქალაქი დიოსკურია დააარსეს. ეს ქალაქი ამჟამად ზღვაშია ჩაძირული;

ლაკადა — ჰქვია აფხაზეთისა და სამეგრელოს მთის ტყიან ზოლს. ნიშნავს ნაჯახს;

მერხეული — სოფელი გულრიფშის რაიონში. „მერხელ“ სვანურია და ჭინჭარს ნიშნავს, რომელიც ამ ადგილებში დღესაც მრავლად არის;

ტამიში — სოფელი ოჩამჩირის რაიონში. ნიშნავს ადგილს, სადაც მოსავალი არ მოდის. „ტამ“ სვანურია და ნიშნავს შიმშილს;

ლაბრა — სოფელი ოჩამჩირის რაიონში. სვანურად ასაკლებ ადგილს ნიშნავს.

გარდა ამისა, სვანური სახელებია: ბაბუშერა, ბაჩა, დუმურიში, ლათა, გერგეში, გენწვიში, ფუსტა, აჩადარა, გაგრა...

„მთის ხალხს“ ნავის სახელიც აქვს „ფილიკვაი“, რაც აჩენს ვარაუდს, რომ სუანო-კოლხებს ანტიკური ხანის განთქმულ მეზღვაურებთან, ფინიკიელებთან ჰქონდათ კავშირი. ამ ფონზე „ძუღა“ — ზღვა და „ცუზ“ — თევზი, გასაკვირი აღარ არის.

ამდენი რატომ ვილაპარაკე წარღვნასა და მასთან დაკავშირებულ ამოუხსნელ ამბებზე? აი, ამ ინფორმაციის გამო, რომელიც ვიღაცას სასაცილოდ მოეჩვენება, მე კი სულაც არ მეცინება:

2005 წლის 12 ნოემბერს, ორმა მეცნიერმა, ამერიკელმა კერტ დონოვანმა და სამხრეთკორეელმა კუნგ ფომ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, წარმოადგინეს თეორია, რომლის მიხედვითაც, 2030 წლისთვის, გოლფსტრიმის თბილი დინება ჯერ მიმართულებას შეიცვლის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ორ წელიწადში კი საერთოდ გაქრება. თბილი დინების ცვლა დედამიწის ყინულოვანი საფარის სრულ დნობას გამოიწვევს, რაც დედამიწაზე არსებული წყლის რაოდენობას სამჯერ გაზრდის. უკანასკნელი კვლევებით დადგენილია, რომ ხმელეთის 90% წყალქვეშ მოექცევა. ადამიანის ცხოვრება შესაძლებელი იქნება დარჩენილი 10%-იდან მხოლოდ 3%-ზე.

ბუნებრივია, გაჩნდა შეკითხვა: სად არის დედამიწის ის ადგილი, რომელიც წარღვნას გადაურჩება?

მეცნიერების პირველი სამიზნე ბიბლიური წარღვნისას ნოეს კიდობნის გაჩერების ადგილი — არარატის მთა გახდა, თუმცა დედამიწის ღერძის რამდენჯერმე გადახრამ ეს ადგილი 500 კმ-ით ჩრდილო-დასავლეთით გადასწია.

2011 წელს, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების პრეზიდენტები „ბირთვული ენერგიის სამიტზე“ შეიკრიბნენ. თავიდანვე გაოცება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ამ სამიტზე მიწვეული იყო ისეთი არაბირთვული სახელმწიფოს პრეზიდენტი, როგორიც საქართველოა. სინამდვილეში, საიკაშვილი სახელმწიფოს ლიდერებმა იმ ფაქტის გასაცნობად დაიბარეს, რომ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე იყო ის ჩრდილო-დასავლეეთით გადახრილი წერტილი, რომელიც წყლისგან არ დაიფარებოდა — სვანეთის მთები!

თეთრმა სახლმა ამ მიმართულებით დაუყოვნებლივ დაიწყო მოქმედება. სვანეთი აშშ-ის №1 ინტერესი გახდა. 2005 წლის 1 ნოემბრიდან, აშშ-ის სენატორი მაკკეინი სამჯერ იმყოფებოდა სვანეთში, 2007 წლის 2 მარტსა და 2009 წლის 3 იანვარს...

ქართული ნავიგაციის რადარებს ჰქონდათ და დღემდე შემორჩენილი ექნებათ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტისას მისი თვითმფრინავის უცნაური მარშრუტი — თვითმფრინავმა სამჯერ შემოუფრინა სვანეთის მთებს და ისე დაეშვა თბილისში.

ვითომდა ტურისტების მოზიდვის მიზნით, სვანეთში დაიწყო ასეთი პატარა ფართობისთვის უპრეცედენტო მასშტაბის სათხილამურო ტრასების მშენებლობა. სინამდვილეში, ეს ყველაფერი მხოლოდ ფასადია იმ საიდუმლო მიწისქვეშა ობიექტების შესანიღბად, რომელთა მოწყობაც უნდა მოესწროს კატასტროფის დადგომამდე.

ინფორმაცია იმდენად კარგად არის დაცული და მისი საიდუმლოება ისეთ დონეზეა უზრუნველყოფილი, რომ მის შესახებ, არცერთი დოკუმენტი თვით ვიკილიქსსაც არ ჩავარდნია ხელთ.

2011 წელს საქართველოს მთავრობამ მესტიაში დახარჯა 32 მლნ ლარი, რაც ერთ მესტიელზე, საშუალოდ, 10 000 ლარია. მესტიაში გაიხსნა სასტუმროები, იუსტიციის სახლი, უცნაური კობსტრუქხიის სათხილამურო ტრასები, თანამედროვე საბაგიროები. ისტორიაში პირველად დაიგო ზუგდიდი-მესტიის თანამედროვე სტანდარტების გზა. 10-ჯერ გაიზარდა უცხოელი ტურისტების რიცხვი...

ჩვენ არცკი ვიცით, რას ვფლობთ და როდესაც ამას მივხვდებით, შესაძლოა, უკვე ძალიან გვიანი იყოს...

**P.S.** რითიც დავიწყე, იმით დავამთავრებ, ამჯერად ბატონი დავით ქართველიშვილის სიტყვებით: „ერთმა საინტერესო ინგლისურმა სიტყვამ: **“Earnmonger”** (შიშების გამყიდველი) - წარმოშვა მეტად საინტერესო ფენომენი “ფობიანომიკა”. ეს ფენომენი მართავდა მსოფლიოს პანდემიის დროს, როდესაც სიცოცხლის/ჯანმრთელობის მასობრივი დაკარგვის შიშებით ხდებოდა ასობით მილიონობით ადამიანის “დაშანტაჟება”. ამის გასანეიტრალებლად გამოყოფილი და ათვისებული იქნა ასობით მილიარდობით თანხა. შემდეგ, როდესაც გამოყოფილი ფულის ათვისება წარმატებულად დასრულდა - დასრულდა პანდემიაც.

“ფობიანომიკა” განაპირობებს ამჟამინდელ მსოფლიო სამხედრო ბიუჯეტებსაც. სწორედ ამ მოტივაციით ითხოვენ “შიშებით გამყიდველები” ამერიკის კონგრესისაგან მორიგ 66 მილიარდი დოლარის გამოყოფას. ითხოვენ “დაშინებით” - თუ არ გამოყოფენ, რუსეთი გაიმარჯვებს.

უკრაინაში მიმდინარე ომი, პანდემიისა არ იყოს, დასრულდება სწორედ მაშინ, როდესაც ათვისებული და გადამუშავებული იქნება ამ ომისთვის გამოყოფილი უკანასკნელი ცენტი. ამერიკული 66 და ევროპული 50 დამატებითი მილიარდი მხოლოდ გაახანგრძლივებდა ამ თანხების ათვისების და შესაბამისად, ომის გაგრძელების პერიოდს. ასე რომ, ჰორიზონტზე რეალურად ჩნდება ამ ომის დასრულების კონტურები.

მაგრამ, არც ესაა პრობლემა: “ფობიანომიკის” დაინტერესების უფრო მსუყე სფერო - “კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლაა”, რასაც უკვე ალბათ ტრილიონობით დოლარის ათვისება დაჭირდება. შუალედებში კი არავის არ გაუუქმებია არც რომელიმე ახალი პანდემია, ან სადმე ახალი ომი - მით უმეტეს, რომ “შიშებით გამყიდველებმა” მომხმარებელი-კაცობრიობა ამისთვის უკვე მოამზადეს და “ფობიანომიკის” მძევლებად გახადეს: “ნუ გეშინიათ - როდის არ გადაგვირჩენიხართ!”



მაია ჟღენტი

# მწვანე ფერი სიმშვიდის, მოქნილობის, ჰარმონიის, მშვიდობისა და ზრდის სიმბოლოა

აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, 2025 წელი ხის მწვანე გველის წელია. ხე ზრდის, წარმატებისა და განვითარების ელემენტად მიიჩნევა, ხოლო მწვანე ფერი სიმშვიდის, მოქნილობის, ჰარმონიის, მშვიდობისა და ზრდის სიმბოლოა.

აღმოსავლურ კულტურაში გველი ხასიათდება როგორც გონიერი, ბრძენი, გამჭრიახი და ერთგული არსება, რომელმაც იცის, როგორ დატკბეს ცხოვრებით.

ასტროლოგები გვირჩევენ:

ახალ წელს შევიცვალოთ სამუშაო ადგილი, შევიცვალოთ გარეგნული შტრიხები, ვიყოთ სხვა სახლში ან სხვა ქალაქში;

ახალი წლის ღამეს კარგია თავის შექცევა ისეთი თამაშებით, რაც ფულთან არის დაკავშირებული — გველს უყვარს მონეტების ხმა და მზად არის, დაეხმაროს მას, ვისაც გამდიდრება სურს;

გველის წელი, თუნდაც ხის იყოს, კონფლიქტურია. შეეცადეთ დაიცვათ როგორც თქვენი, ისე სხვისი პირადი საზღვრები;

წლის გამორჩეული თვისებაა ბასრი, შხამიანი ენა. დაფიქრდით, სანამ ვინმეს გესლიან სიტყვას ეტყვით ცხელ გულზე;

კარგი სტრატეგიაა გველის სტრატეგია — გველი გაუნძრევლად საათობით წევს, შემდეგ გადაეწყობა, გამოთვლის და არჩეულ მიზანს ათიანში აზვედრებს.

უპირველესი და უმთავრესი — სამყაროს წონასწორობის კანონების დაცვა, შინაგანი ჰარმონიის შენარჩუნება, სიკეთის კეთებაა!

## სამოსი

ვინაიდან გველი ჰარმონიულობის სიმბოლოა, ასტროლოგები გვირჩევენ, რომ მის წელს სადა სამოსით შევხვდეთ, მაგრამ არც ბრჭყვიალა დეტალებით გაფორმებული სამოსი იქნება ურიგო. ასევე, შეგიძლიათ შეარჩიოთ სამოსი, რომელიც შუქზე ბზინავს.

გველს სამკაულები მოსწონს, ამიტომ, სადა, ბუნებრივ ვარცხნილობაზე თმის ბრჭყვიალა დეტალებით გაფორმება მისთვის სასურველი იქნება.

## ფერი

სახლის მორთვისა და სამოსის არჩევისას შეეცადეთ, მწვანე ფერი გამოიყენოთ მისი სხვადასხვა ვარიაციით, დაწყებული ღია მწვანიდან, დამთავრებული ზურმუხტისფერით.

გველს ქვიშისფერი, ნაცრისფერი, ყავისფერი და შავი ფერები უყვარს, მაგრამ არა მოჟამული, უხალისო ფერები. გარდა ამისა, ვინაიდან ფუფუნებაც უყვარს, არც ოქროსფერსა და წითელზე ამბობს უარს.



## სუფრა

გველი ნატურალურ საკვებს ანიჭებს უპირატესობას. განსაკუთრებულად უყვარს ქათმის, ინდაურის, იხვის ხორცი. კარგი ვარიანტია ღუმელში შემწვარი კურდღელი და რაც შეიძლება მეტი ახალი ხილი, ბოსტნეული და მწვანილი. მნიშვნელოვანი დეტალია — სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს, მაგრამ სტუმრებს ინდივიდუალურად უნდა მიართვათ კერძებიცა და ნუგარიც.

## სასმელი

სასურველია მსუბუქი სასმელები და კოქტეილები.

## დესერტი

დესერტის არჩევისას ან მომზადებისას დომინატია კენკროვნები, რაც მენიუში სხვადასხვა ფორმით უნდა ჩართოთ.

## ჭურჭელი

სუფრის სერვირებისას გაითვალისწინეთ, რომ მაგიდის გადასაფარებელი და ჭურჭელი მწვანე, წითელ და ოქროსფერ ფერებში გადაწყვიტოთ; სუფრაზე წლის მთავარი სიმბოლო დეკორატიული სანთლებია.

## საჩუქარი

გველი პრაქტიკულ საჩუქრებს ირჩევს. რადგან გველს ოჯახური გარემო, კომფორტი და სიმყუდროვე უყვარს, ახლობელ ადამიანებს აჩუქეთ ნებისმიერი რამ, რასაც პრაქტიკულად გამოიყენებს ოჯახში. ვინაიდან გველს სამკაულებიც უყვარს, ბრჭყვიალა სამკაულების ჩუქებაც გაუხარდება.

## სტუმრები

გველს მეგობრული, მხიარული და ხალისიანი ატმოსფერო მოსწონს, ამიტომ სადაც მოაწყობთ წვეულებას, შინ თუ გარეთ, შეეცადეთ, ასეთი განწყობის მომტანი ადამიანების წრე შეკრათ. ამის გათვალისწინება განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ სახლში აპირებთ საახალწლო დღეების გატარებას. ამით თქვენ სახლში დაამუდებთ ხალისიან ატმოსფეროს და მთელ წელს ჰარმონიულად გაატარებთ.

## როგორ მოვიზიდოთ იღბალი

მნიშვნელოვანია, რომ დეკორაციებად არ გამოიყენოთ გასული წლის სიმბოლოები, რადგან შესაძლოა, გველმა იეჭვიანოს. სახლი გააფორმეთ ყვავილებით და რაც შეიძლება მეტი მწვანე და ნათელი ფერები გამოიყენეთ. ასევე, აუცილებლად განათავსეთ მონეტები იზოლირებულ ადგილზე.



გველს საკუთარი პერსონის სხვადასხვა ფორმით დანახვა უყვარს, ამიტომ კალენდარი გველის გამოსახულებით, თვით სიმბოლოს ფიგურები და ყველაფერი, სადაც გველია წინა პლანზე, სახლის ყველა კუთხეში განათავსეთ, რადგან ასე მისი კეთიგანწყობა მთელ საცხოვრებელ სივრცეში გავრცელდება.

## როგორი წელი იქნება

გველს განსაკუთრებით ცვლილებები უყვარს, ამიტომ ამ წლის პირველი სამი თვე, შესაძლოა, არასტაბილური იყოს და ისეთი გადაწყვეტილებების მიღება მოგიწიოთ, რაც დაგეგმილი არ გქონდათ.

ეს წელი კარგია დაოჯახებისა და შვილების გაჩენისთვის, ასევე, ახალ ბინაში გადასვლისთვის.

## ნაძვის ხე

სასურველია, რომ საახალწლო ნაძვისხე იყოს ნატურალური და მასზე ყავისფერი, ნარინჯისფერი, თეთრი და კრემისფერი ბურთულები ჩამოჰკიდოთ. სპილენძისფერი და ოქროსფერი „წვიმა“ კი მას ბზინვარებას შეჰმატებს.

ფენ შუის მიხედით, სად დადგამთ საახალწლო ნაძვის ხეს, დიდი მნიშვნელობა აქვს. კართან, სინათლის ან ხმის წყაროებთან ახლოს დადგმული ნაძვისხე აძლიერებს დადებით ტენდენციებს, რამაც შესაძლოა, მოულოდნელი ფინანსური მოგება, ახალი შესაძლებლობები ან შემოქმედებითი შთაგონება მოიტანოს.

თუ მას დადგამთ სამხრეთ-დასავლეთით ან ჩრდილოეთით, ეს მიმართულებები ხელს შეუწყობს კარიერულ წარმატებას, გავლენიანი ნაცნობების გაჩენას და პირადი მიღწევების გააქტიურებას;

სამხრეთი — ამ ზონაში ნაძვისხის დადგმა გაზრდის სხვების მხარდაჭერას და ხელს შეუწყობს თქვენი კავშირების გაძლიერებას.

თუ ამ სექტორებში არ ხერხდება ხის განთავსება, დადებითი ენერგიის გასააქტიურებლად გამოიყენეთ გირლიანდები ან სხვა მბზინავი დეკორაციები.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნაძვისხისა და დეკორის ფერთა სქემაც. არის ადგილები, სადაც უმჯობესია, რომ უპირატესობა მიანიჭოთ ნათელ, ცივ ან თბილ ფერებს.

მაგალითად, ჩრდილო-დასავლეთში, აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში ნაძვისხე ვერცხლისფერი და ოქროსფერი სათამაშოებით უნდა მოირთოს;

ჩრდილოეთისთვის, სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთისთვის წითელი ტონები გამოგადგებათ;

დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს ლურჯი და მწვანე ფერის დეკორაციები და სათამაშოებია მართებული.

## როდის დავდგათ ნაძვის ხე

ნაძვისხის მორთვა ნებისმიერ დღეს შეგიძლიათ, მაგრამ არსებობს ენერგიის გასაძლიერებელი დღეები.

მაგალითად, წმინდა ნიკოლოზის დღესასწაულზე (19 დეკემბერი), თუ გწამთ მისი ძალის, ამ დღეს დადგით, მიიჩნევა, რომ მის მხარდაჭერას მიიღებთ.

25 დეკემბერს დადგმა კარგია მატერიალური კეთილდღეობის მიღების თვალსაზრისით. ნაძვისხეს ამ დღეს თუ მორთავთ, დეკორისთვის გამოიყენეთ მბზინავი ოქროსფერი, მწვანე და მეწამული ფერები.

31 დეკემბერი განსაკუთრებული შემთხვევაა. ამ დროს გველოდება ახალმთვარეობა. თუ გრძნობთ, რომ მზად ხართ ტრანსფორმირებისთვის და არ გეშინიათ სპონტანური გადაწყვეტილებების, წლის ბოლო დღეს ნაძვისხის მორთვა განახლების მძლავრ რიტუალად იქცევა. ამ დღეს შეგიძლიათ გადაუხვიოთ ყველა წესს და ენდოთ თქვენს ინტუიციას.

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99